ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 26 მაისი, 2011 №123 (5504) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+ „სერვანტესი“
8 ლარი
16 მაისიდან 30 მაისამდე




# უკან დახევას არ ვაპირებთ! ალღუმი ხალხმა უნდა ჩაიბაროს!



გვ.2

## გუნცაძემ და კიწმარიშვილმა ერთმანეთს სცემეს





## ირაკლი ოქრუაშვილმა პარტიას „კონტროლკა“ დაახალა

გვ.3



## როგორ დატოვა დავით ბაქრაძემ პარლამენტის შენობა

გვ.5



## თემურ შაშიაშვილი: ხელისუფლებამ 4 პალოში იშოვა

გვ.4



## ბურჯანაძის შეცდომები ხალხს არ დაავიწყდება

გვ.6

### თბილისის საკრებულოში სპეცრაზმი განთავსდა

თბილისის საკრებულოს შენობაში სპეცრაზმია განთავსებული. როგორც „მედიანიუსს“ საკრებულოს ერთ-ერთი ოპოზიციონერი დეპუტატის აპარატიდან აცნობეს, სპეცრაზმი მთელ შენობაშია განლაგებული.

სპეცდანიშნულების რაზმის წარმომადგენლები სხვადასხვა ოთახში არიან განლაგებულნი და ფოიეში მორიგეობენ.

**მედიანიუსი**

## ოქრუაშვილმა ბურჯანაძის განეიტრალება სცადა

გვ.10

3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## საქართველოში რევოლუცია არ მოხდება



გვ.8

## არეულობა სააკაშვილს გააძლიერებს

გვ.7



ISSN 1987-9385
9 771987 938006

**2** მიხეილ სააკაშვილი: არც ერთ ეპოქაში არ გვქონია ისეთი აღმშენებლობა, როგორიც არის დღეს თბილისში

**3** ეკა ხერხეულიძე რუსთაველის გამზირზე აღლუმის ჩატარების კატეგორიული წინააღმდეგია

**3** გრიგოლია ხელისუფლებას აღლუმის ჩატარებისგან თავის შეკავებას ურჩევს

**14** საქართველომ მსოფლიო მოგებით დაიწყო

# უკან დახევას არ ვაპირებთ! აღლუმი ხალხმა უნდა ჩაიბაროს!

ნათია ხურცილავა

„სახალხო კრებამ“, ნინო ბურჯანაძემ და აქციის მონაწილეებმა პარლამენტის შენობის წინ აღლუმისთვის განკუთვნილი სცენა დაიკავეს. ბურჯანაძემ თავის მომხრეებს მოუწოდა, ქუდზე კაცი გამოვიდეს პარლამენტის შენობის წინ და შეჰფიცონ ერთმანეთს, რომ ფეხს არ მოიცვლიან.

კოსტავას გამზირიდან აქციის მონაწილეები კოლონით თავისუფლების მოედანზე შეკრებილებს უნდა შეერთებოდნენ. თუმცა, ეს ერთგვარი ხერხი იყო, რომ პარლამენტის წინ აღლუმის სცენა დაეკავებინათ.

— თუ ბევრნი ვიქნებით, ვერავინ ვერ დაგვარბევს, თუ ცოტანი ვიქნებით, დაგვარბევენ და გადაგვივლიან, — ამ ფრაზებით მიმართავდნენ გამომსვლელები აქციაზე შეკრებილებს.

— ჩვენ სააკაშვილს აღლუმს არ ჩავატარებინებთ. ეს იქნება პირველი გარდატეხა. მე მოვუწოდებ ყველა პარტიის წევრს, პარტიების ლიდერებს ახლა შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება, შეცვალონ ვითარება და დადგნენ ხალხთან. თუ ლიდერები არ მოვლენ, მოვიდნენ ის ადამიანები, რომლებიც იდგენენ ქუჩაში და ვისაც რეალური ცვლილება სურთ. მოვიდნენ, ყველას კარგად შევხვდებით, — ასე მიმართა ოპოზიციის ლიდერებს ნონა გაფრინდაშვილმა.



ნინო ბურჯანაძე:

— ჩვენ ჯარის საწინააღმდეგო არაფერი არ გვაქვს. თუ ჯარს უნდა, რომ ჩაატაროს აღლუმი, შეუძლია, რომ ხალხს ჩააბაროს. ხალხს აქვს გადაწყვეტილება, რომ ღამე გაათენონ აქ. პრეზიდენტმა ვერ უნდა ჩაიბაროს ეს აღლუმი. ჩვენ ვაპირებთ შევასრულოთ ხალხის ნება, რომ ვიდგეთ აქ, ბოლომდე. „სახალხო კრება“ არ აპირებს უკან დახევას, ყველაფერი ხალხზეა დამოკიდებული. მოვა უფრო მეტი ხალხი, გარწმუნებთ, ძალიან მოკლე ხანში სააკაშვილი ამ ქვეყნის პრეზიდენტი აღარ იქნება და ჩვენ ჩავატარებთ თავისუფალ არჩევნებს. ჩვენ სამართლებრივი უფლება გვაქვს, რომ ვიდგეთ აქ. არაკონსტიტუციურს არაფერს არ ვაკეთებთ, რამდენადაც ეს უნდოდეს ამ ხელისუფლებას. პასუხისმგებლობა ყველაფერზე ხელისუფლებას ეკისრება, ქვეყანა ნეობოლშევიზმის დიქტატურად, ჩემი პასუხიმგებლობა ჩემი შვილების წინაშე არის ის, რომ თუ საჭიროა მოვკვდე, რომ ღირსებააყრილებმა არ იცხოვრონ.

ელიზბარ ჯაველიძე:

***— როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

— ისეთი ხელისუფლება გვყავს, რომ როდის რას მოიმოქმედებს, რთული სათქმელია. კონსტიტუციის ჩარჩოებში კი არ მოქმედებენ, პირადი განწყობებით და მიზნებით. ამ ხელისუფლების მთავარი მიზანია სავარძლების შენარჩუნება, ამისთვის კი ყველაფერზე არიან წამსვლელები, მაგრამ ჩვენ ვართ ის ხალხი, რომლებსაც ერთი მიზანი გვაქვს არავითარი თანამდებობა, მხოლოდ სამშობლოს გადარჩენა, ქართული ცნობიერების, ზნეობის და ერის დაცვა.

ნინო ბურჯანაძემ ოპოზიციის ლიდერებს მოუწოდა, რომ მოვიდნენ და ხალხის გვერდით დადგნენ.

— მინდა ყველა პოლიტიკურ პარტიას ვუთხრა, ნამდვილად არის ის დრო, რომ მიიღონ გადაწყვეტილება. დადგნენ ხალხის გვერდით და არა რომელიმე ლიდერის გვერდით. მოვუწოდებ ყველა პოლიტიკურ ლიდერს, რომელიც ნამდვილად შეებრძოლება სააკაშვილის ხელისუფლებას, ეს გადაწყვეტილება არასდროს არ არის გვიან, — განაცხადა ბურჯანაძემ.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა აქციის მონაწილეებს მიმართა და აქციაზე მისვლისთვის მადლობა გადაუხადა.

— ბევრი ტყუილი თქვა ხელისუფლებამ, რომ არ ჩატარდება ეს შეკრებაო, ბევრი ეცადა, რომ ადამიანები დაეშინებინა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო ამ ხალხის დაშლა. ჩვენ ვიბრძოლებთ ბოლომდე და დავიბრუნებთ ჩვენს ქვეყანას. ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ჩვენი უფლებები, ღირსება. ეს კი მხოლოდ ბრძოლით, მხოლოდ გამბედაობით, მხოლოდ ძლიერი სულით არის შესაძლებელი. ქართველ ხალხს აქვს აქ დგომის უფლება. ჩვენ სამართლებრივი უფლებაც გვაქვს, ნებართვა, ფორმალური და მორალური უფლება, გაცილებით მეტი, ვიდრე სააკაშვილს, რომელმაც სამშობლოს უღალატა, რომელმაც დაანგრია ეს ქვეყანა, რომელმაც მხოლოდ ფასადი ააშენა, მაგრამ საძირკველი გამოთხარა. ერთმანეთის გვერდით უნდა დავდგეთ, ჩვენს სამშობლოს ღამე უნდა გავუთენოთ. ახლა გულგრილობა ღალატის ტოლფასია, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

თემურ შაშიაშვილმა დანარჩენ ოპოზიციას ხალხთან მოსვლისკენ და შემოერთებისკენ მოუწოდა.

— ჩვენ რისკიანი ნაბიჯი გადავდგით. ვთქვით, რომ ძალა ხალხშია. დღეს ამ ადგილიდან მივმართავთ ჩვენს კოლეგებს, მეგობრებს, ვისაც აქვს ღირსება და თვლის, რომ არ შეიძლება ამ პრეზიდენტმა აღლუმი ჩაიბაროს, აქ უნდა მოვიდეს. არ შეიძლება აღლუმი იმ კაცმა ჩაიბაროს, რომელიც მიწაზე ფორთხავდა, როდესაც ჯარისკაცებისთვის უნდა მიეცა ძალა და მხნეობა. არ შეიძლება



ჩვენი ჯარისკაცები, ჩვენი შვილები მას აბარებდნენ აღლუმს. თუ ბევრნი ვიქნებით, ჩვენ შევძლებთ 26 მაისს დიდი ქართული დღესასწაულის მოწყობას, ტანკის გარეშე, წინააღმდეგობის გარეშე, — განაცხადა შაშიაშვილმა.

აქციის ლიდერების განცხადებით, ისინი ქართულ ჯარს არ დაუპირისპირდებიან. 26 მაისი ეკუთვნის ქართველ ხალხს და აღლუმიც სწორედ ხალხმა უნდა ჩაიბაროს.

მურმან დუმბაძის განცხადებით, ხალხს აქვს უფლება, რომ ხელისუფლება გადააყენოს.

— ქართველ ხალხს სრული უფლება აქვს, რომ გადააყენოს ხელისუფლება. ხალხს აქვს უფლება, საერთო სახალხო იმპიჩმენტი მოუწყოს ხელისუფლებას, — აცხადებს დუმბაძე.

ირაკლი ბათიაშვილმა პოლიციას მოუწოდა, რომ თანამემამულეების წინააღმდეგ ხელი არ აღმართონ.

— ეს პროცესი სულ უფრო და უფრო დიდ ძალას შემოიკრებს. ჩვენ ახლოს ვართ გამარჯვებასთან. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვიქნებით ჯარის წინააღმდეგნი. როგორ შეიძლება ჩვენი ჯარის, ჩვენი ოფიცრების წინააღმდეგნი ვიყოთ, ისინი ჩვენი თანამემამულეები, ჩვენი ძმები არიან. ხალხი და ჯარი ერთი მთლიანობაა. მინდა პოლიციელებს მივმართო: ჩვენში არის დიდი გაღიზიანება იმის გამო, რომ იძულებული არიან შეასრულონ უკანონო და დანაშაულებრივი ბრძანება, მაგრამ მათ აქვთ გაცნობიერების დრო, რომ ხალხის გვერდით დადგნენ, — განაცხადა ირაკლი ბათიაშვილმა.

გია ბურჯანაძე:

***— როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს, დარბევას ხომ არ ელოდებით?***

— რამდენი წელია დარბეულები ვართ, მაგრამ ადგილზე ვერ დაგვარბია, საშინელებები კი გააკეთა. ტერორში არიან ადამიანები. 10-15 წუთი ისე არ გავა, რომ ტერორის ახალი ფაქტები არ მოვიდეს. ამ ფაქტებს ვაცნობთ საერთაშორისო უფლებადამცველებს, დიპლომატებს. 300 ადამიანი ტერორის ქვეშ არის. ნაცემები არიან, დაპატიმრებულები. ნაცემია ორი ფეხმძიმე ქალი. ერთი გლდანში, ბუკიას მეუღლე და სადახლოში მამედოვების ოჯახი. ეს ქალბატონები თავიანთ ქმრებს იცავდნენ. ყველაფერი არის მოსალოდნელი. თავიანთ ხალხთან ეს ხელისუფლება ძლიერია. შეიძლება თვითმფრინავი გადმოაფრინოს და ეს ხალხი დაბომბოს.

***— 25 მაისის ჩათვლით იყო სანქცირებული აქცია, რა იქნება 26 მაისს?***

— 26 მაისი არის დამოუკიდებლობის დღე. ხალხმა უნდა იზეიმოს დამოუკიდებლობის დღე.

***— ჯარი უნდა გამოვიდეს თუ არა?***

— რატომ? გინახავთ, მსოფლიოში ჯარით აღნიშნავდნენ სადმე აღლუმს?!

***— მსოფლიოში არა, მაგრამ ჩვენთან არის ეს ტრადიცია...***

— კარგი მხედართმთავრები გვყავდა? წინა მთავარსარდალმა და ამ მთავარსარდალმა არ დაგვიკარგეს ტერიტორიები? ტერიტორიები დაებრუნებინა ან ერთს ან მეორეს და ვინ დაუშლიდა? ხალხს უნდა უხაროდეს დამოუკიდებლობის დღე. აგერ არის ხალხი და იზეიმოს ამ ხალხმა.

***— შეიძლება პრეზიდენტმა სააკაშვილმა ვერ ჩაიბაროს აღლუმი?***

— თუ ამის სურვილი ექნება ხალხს, მოსახლეობას, მოსახლეობა, ხალხი ყველაფერს გააკეთებს.

***— ლევან გაჩეჩილაძეს ელოდებით, რომ შემოგიერთდებათ?***

— ჩვენ არანაირი მოლაპარაკება არ გვქონია. ეს იყო მათი ემოციური მოსვლა. ლევანმა პირდაპირ მითხრა, რომ ტელევიზორთან ვერ გავძელიო. პარტიაში რა ხდება, ჩახედული არ ვარ. იმ განცხადების მერე აღმოჩნდა, რომ თვითონაც არ არიან ჩამოყალიბებული. ისე, სიმართლე რომ გითხრათ, ხალხის გვერდით ყველას ველოდები.

***— ოპოზიციურ „რვიანსაც“?***

— დიახ. რა, ისინი ქართველები არ არიან, მათ არ უნდათ საქართველოს კეთილდღეობა. მათაც არჩევნები უნდათ და ჩვენც არჩევნები გვინდა. განსხვავება ისაა, რომ ჩვენ ამ ხელისუფლების გარეშე გვინდა, მათ ამ ხელისუფლებასთან ერთად უნდათ და თან 2013 წელს. ხალხთან რატომ არ უნდა დადგნენ, თან ეს ხომ პარტია არ არის. პარტია რომ ყოფილიყო, მეც არ ვიქნებოდი, ხალხში ვიქნებოდი.

***— თუმცა, ნინო ბურჯანაძე ერთ-ერთი ლიდერია...***

— მერე რა, სხვა პარტიებიც მოსულიყვნენ და დამდგარიყვნენ.

***— ლიდერები გახდებოდნენ?***

— ლიდერი რას ნიშნავს. ჩვენთან კონსენსუსის გარეშე არც ერთი გადაწყვეტილება არ მიიღება. ლამაზი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. არც ბურჯანაძე არ აკადრებს ნონა გაფრინდაშვილს ან რეზო ესაძეს და არც ისინი იკადრებენ. სანამ არჩევნები იქნება, მანამდეა ასე. თორემ არჩევნებში, ვისაც ვინ უნდა, იმას მისცემს ხმას. პირადად მე კონსტიტუციური მონარქიის მომხრე ვარ. ვინც ამ იდეას შემოგვთავაზებს, მას დავუჭერ მხარს. ჩემი სიმპათიები მმართველობის კონსტიტუციური მონარქიისკენ არის.

## საქართველოს პრეზიდენტი ამერიკელ ხალხს თანაგრძნობას უცხადებს

საქართველოს პრეზიდენტმა აშშ-ის პრეზიდენტს სამძიმრის წერილი გაუგზავნა. მიხეილ სააკაშვილმა ღრმა მწუხარება გამოთქვა მისურის შტატში გამანადგურებელი ტორნადოს შედეგად დატრიალებული ტრაგედიის გამო, რომელმაც ასზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა და უამრავი უსახლკაროდ დატოვა.

მიხეილ სააკაშვილი საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის სახელით, თანაგრძნობას უცხადებს ამერიკის ხელმძღვანელობას და ამერიკელ ხალხს და უსამძიმრებს დაღუპულთა ოჯახებს.

„ჩვენი ფიქრები და ლოცვა მიმართულია მათკენ, ვისაც ეს უბედურება დაატყდა თავს“, — აღნიშნულია წერილში.

მედიანიუსი

## არც ერთ ეპოქაში არ გვქონია ისეთი აღმშენებლობა, როგორიც არის დღეს თბილისში



არც ერთ ეპოქაში არ გვქონია ისეთი აღმშენებლობა, როგორიც არის დღეს, თბილისში. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განახლებული რიყის გახსნის ცერემონიაზე განაცხადა. მან აღნიშნა, რომ რიყე იქნება ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ტურისტული ადგილი მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

პრეზიდენტმა გაიხსენა, რომ „ძველ ეპოქაში“ რიყეზე გამრავლდა უამრავი „უგემოვნო რესტორანი“, რომელიც კორუფციით და უკანონოდ იყო აშენებული.

„გული მიკვდებოდა იმის გამო, თუ როგორ ნადგურდებოდა ქალაქის ისტორიული ცენტრი. გიგი უგულავას თავის გუნდთან ერთად ეყო გამბედაობა, დაენგრია ეს ყველაფერი, ჩვენ ამას სრული მხარდაჭერა აღმოვუჩინეთ. არც ერთ ეპოქაში არ გვქონია ისეთი აღმშენებლობა, როგორიც არის დღეს თბილისში“, - განაცხადა პრეზიდენტმა.

მან ამ თემაზე საუბრისას აღნიშნა, რომ ისტორიამ თითქმის არ შემოინახა ქვის შენობები და ერთადერთი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქვის შენობები რამდენიმე ასეული ქვის კოშკი მხოლოდ სვანეთშია შენორჩენილი.

„ასევე არის შემორჩენილი ჩვენი ტაძრები, მაგრამ არც ერთ ეპოქაში არ შემოგვრჩა ჩვენი აშენებული ქვის სასახლეები. გვქონდა ქვის გალავნები, რომლითაც იცავდნენ მტრის შემოსევებისგან იცავდნენ ქალაქს. პრაქტიკულად არ გვქონდა დრო, გვეწარმოებინა ფართომასშტაბიანი მშენებლობა, მაშინაც კი, როცა გვქონდა სახელმწიფოებრიობა. დღეს არის პირველი სახელმწიფოებრივი ეპოქა, რომელშიც საქართველო აშენებს თავისი სტილით, თავისი სახელმწიფოებრივი გემოვნებიდან გამომდინარე, თავის ტრადიციებზე დაფუძნებით და თანამედროვე ეპოქის გათვალისწინებით“, — განაცხადა სააკაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

## თბილისში ნოე ჟორდანიას და ნოე რამიშვილის შვილები ჩამოვიდნენ

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად თბილისში დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას და შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის შვილები ჩამოვიდნენ.

ემიგრაციაში წასული საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთა შვილები ხვალ 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმს დაესწრებიან.

ისინი 27 მაისს კი, დიასპორის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მიიღებენ მონაწილეობას. წიგნში ბოლშევიკებისგან დევნილი ნოე ჟორდანიასა და მთავრობის სხვა წევრების ცხოვრებაა მოთხრობილი.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# გრიგოლია ხელისუფლებას აღლუმის ჩატარებისგან თავის შეკავებას ურჩევს



პარლამენტის შენობის წინ სიტუაცია ფეთქებადსაშიშია და ხელისუფლებამ საკუთარ გადაწყვეტილებას აღლუმის ჩატარების თაობაზე, უნდა გადახედოს — ამის შესახებ „მედიანიუსს" ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წევრმა და თბილისის საკრებულოს დეპუტატმა ინგა გრიგოლიამ განუცხადა.

„ჩვენ რამდენიმე დღის წინ მოვუწოდეთ კიდეც ხელისუფლებას, უარი ეთქვა სამხედრო აღლუმის ჩატარებაზე. მესმის, რომ 26 მაისი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა, გასაგებია, რომ დაგეგმილია არაერთი ღონისძიება. თუმცა, მსგავს სიტუაციაში ექსცესების თავიდან აცილების მიზნით ხელისუფლებამ გადაწყვეტილებას უნდა გადახედოს," — განაცხადა ინგა გრიგოლიამ.

საკრებულოს დეპუტატი მიიჩნევს, რომ თუკი ხელისუფლება გადაწყვეტილებას არ შეცვლის, ეჭვგარეშეა, რომ ტერიტორიას გაასუფთავებს და აქციას დაშლის.

„შექმნილი ფეთქებადსაშიში სიტუაციიდან გამომდინარე, მაქვს მოლოდინი, რომ შეტაკება მოხდება. სწორედ ამიტომ, სანამ დროა, ხელისუფლებამ გადაწყვეტილება უნდა შეცვალოს. „სახალხო კრების" ლიდერი ნინო ბურჯანაძე საკმაოდ გამოცდილი პოლიტიკოსია და იგი სხვა, პოლიტიკაში შემთხვევით მოხვედრილ პოლიტიკოსებს არ ჰგავს. ყველამ კარგად ვიცით, რომ იგი გადაწყვეტილებებს თითქმის არასოდეს ცვლის. ალბათ სწორედ ეს იყო იმ ფარული გეგმების ნაწილი, რომელსაც „სახალხო კრება" ასე ასაიდუმლოებდა. ამ აქციების ორგანიზატორი ბურჯანაძე რომ არ ყოფილიყო, შეიძლება გვეფიქრა, თითქოს ეს ხელისფლების შესაშინებლად გადადგმული ნაბიჯია, თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ნინო ბურჯანაძე გადაწყვეტილებებს არ ცვლის,"- აღნიშნა ინგა გრიგოლიამ და დასძინა, რომ „სახალხო კრებაშიც" ყველას გააზრებული აქვს, თუ რა რისკთანაა დაკავშირებული მათი ქმედებები, მით უმეტეს, ყველას კარგად ახსოვს 7 ნოემბერი.

„ნებისმიერი შეტაკების შემთხვევაში პასუხისმგებლობა ორივე მხარეს თანაბრად დაეკისრება. ერთმა მხარემაც და მეორემაც კარგად იციან, რომ თუ რომელიმე მათგანი გადაწყვეტილებას არ შეცვლის, დაპირისპირება გარდაუვალია. ხელისუფლება, რომელმაც ჩვენ 7 ნოემბერი დაგვანახა, უკან არ დაიხევს, სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ ხელისუფლების მხრიდან ამ საპროტესტო აქციის დარბევა სრულიად შესაძლებელია," — განაცხადა ინგა გრიგოლიამ.

შეგახსენებთ, რომ „სახალხო კრების" აქციამ თავისუფლების მოედნის ნაცვლად პარლამენტის შენობასთან გადაინაცვლა.

საპროტესტო აქცია პარლამენტთან ამ წუთებშიც მიმდინარეობს. აქციის ორგანიზატორების თქმით, ისინი დაშლას არ აპირებენ და სააკაშვილს სამხედრო აღლუმის ჩატარების უფლებას არ მისცემენ.

**მედიანიუსი**

# გუნცაძემ და კიწმარიშვილმა ერთმანეთს სცემეს

თეა მარხვაიძე




**ქართულ პარტიაში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, სიტუაცია დაძაბულია. როგორც ამბობენ, პარტია ორად გაიხლიჩა. ერთ მხარეს ირაკლი ოქრუაშვილი და ეროსი კიწმარიშვილი აღმოჩნდნენ, ხოლო მეორე მხარეს — ლევან გაჩეჩილაძე და კოკა გუნცაძე. პარტიის მეხუთე თავმჯდომარე სოზარ სუბარი ჯერჯერობით გაურკვევლობაშია და გადაწყვეტილების მიღება უჭირს.**

**პარტიაში განხეთქილება უკვე კარგა ხანია რაც არსებობს. თუმცა ამას პარტიის წევრები შეძლებისდაგვარად მალავდნენ. ირაკლი ოქრუაშვილის უკანასკნელი გადაწყვეტილების შემდეგ კი უკვე ყველაფერი ნათლად გამოჩნდა.**

გუშინ დილით გავრცელდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ეროსი კიწმარიშვილმა და კოკა გუნცაძემ ერთმანეთს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ამ ინფორმაციას პარტიის წარმომადგენლები არ ადასტურებენ.

პარტიის წევრების ნაწილი გუშინ მთელი დღე ოფისში იყო ჩაკეტილი და ჟურნალისტებს იქ შესვლის საშუალებას არ აძლევდნენ.

პარტიაში განხეთქილება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენიმე თვის წინ მოხდა. ამის შესახებ ქართული პრესა აქტიურად წერდა. ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ კოკა გუნცაძემ ირაკლი ოქრუაშვილთან ჩხუბის შემდეგ პარტია დატოვა. ამბობდნენ, რომ პარტიიდან წასვლას ძმები გაჩეჩილაძეებიც აპირებდნენ.

ეს ინფორმაცია მაშინ არავინ დაადასტურა. უფრო მეტიც, ისინი ხშირად ჩადიოდნენ ერთად ირაკლი ოქრუაშვილთან პარიზში. იქ პოლიტიკური კონსულტაციები იმართებოდა.

როგორც ამბობენ, ერთ-ერთი ასეთი კონსულტაციის დროს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თანაპარტიელებს სერიოზული შენიშვნები მისცა. მათ შორის ძალიან მძიმე საუბარი ყოფილა.

ნამინისტრალი თურმე პარტიის აქტიურობით არ ყოფილა კმაყოფილი. რას ითხოვდა ოქრუაშვილი თანაპარტიელებისგან, ეს არ კონკრეტდება.

პარტიის დამფუძნებელი ყრილობა გასული წლის 24 ნოემბერს შედგა. იმ დღეს პარტიის ლიდერებმა ბევრი ხმაურიანი განცხადება გააკეთეს და პირობა მოგვცეს, რომ ხელისუფლებას აუცილებლად შეცვლიდნენ.

გვითხრეს ისიც, რომ ხელისუფლების შესაცვლელად გაზაფხულზე იქნებოდნენ მზად. გაზაფხულზე კი უფრო კონკრეტული თარიღი დაასახელეს. მოცემული პირობის თანახმად, მათ ხელისუფლება 25 მაისს, ანუ გუშინ უნდა შეეცვალათ.

ხელისუფლების მისამართით ქართული პარტიის წევრები მწვავე განცხადებებს არ იშურებდნენ. თუმცა, რატომღაც მათი სამიზნე უფრო ხშირად ოპოზიციური პარტიები ხდებოდნენ.

ოქრუაშვილის პარტია განსაკუთრებით სახალხო კრებას გადაემტერა. ქართული პარტია ცდილობდა იგივე გაეკეთებინა, რასაც სახალხო კრება დაგეგმავდა, ოღონდ უფრო ადრე.

ამის გამო მათ სახალხო კრება ხელისუფლების დაკვეთების შესრულებაში ადანაშაულებდა. იგივე ბრალდებით გამოდიოდნენ ქართული პარტიის წევრებიც. არადა, იყო დრო, როცა ამ პარტიების ლიდერები ერთმანეთთან აქტიურ კონსულტაციებს აწარმოებდნენ.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ირაკლი ოქრუაშვილმა ნინო ბურჯანაძეს პარტიის თავმჯდომარეობა შესთავაზა. მან, ბუნებრივია, უარი განაცხადა. სხვა თუ არაფერი, მას თავისი პარტია ჰქონდა.

ისე თავისი პარტია ირაკლი ოქრუაშვილსაც ჰქონდა, რომელიც მოულოდნელად გააუქმა. არ არის გამორიცხული, რომ ქართულმა პარტიამაც ეს ბედი გაიზიაროს. 24 მაისის შემდეგ იქ ბევრი რამე შეიცვალა.

2 მაისს სახალხო კრებამ განაცხადა, რომ აქციებს 21 მაისიდან იწყებდა. ეს ინფორმაცია გაციებული არ იყო, რომ ქართულმა პარტიამ დასწრებაზე ითამაშა. მათ განაცხადეს, რომ აქციებს 9 მაისიდან იწყებდნენ.

9 მაისს აქცია ოქროს პარტიამ კახეთში გამართა. ის აქცია საკმაოდ შთამბეჭდავი გამოდგა. ბურჯანაძის ხალხმა ამაზე თავი გაინერვიულა. ამტკიცებდნენ, ჩვენი ჩაძირვა უნდათო.

მერე ქართულმა პარტიამ აჭარაშიც გამართა აქცია და ასე მოვედით 21 მაისამდე. პერიოდულად ოქრუაშვილი პარიზიდან გვატყობინებდა, რომ ამ ხელისუფლების შეცვლას მხოლოდ ის შეძლებდა.

ჩვენში მისი ბევრს სჯეროდა. ამიტომაც მოსახლეობის ნაწილი მის ჩამოსვლას მოუთმენლად ელოდა. იმ დღეებში ხელისუფლებამ გვამცნო, ოქრუაშვილი უკვე მოსკოვშიაო. მათ ამის დამადასტურებელი ფოტოებიც გამოაქვეყნეს, მერე კი გაირკვა, რომ ეს ყველაფერი მონტაჟი იყო.

ნამინისტრალის მოსკოვში ყოფნაზე რუსული მედიაც წერდა. ხელისუფლების წარმომადგენლები გვიმტკიცებდნენ, რომ ქართული პარტიის ლიდერი ცხინვალიდან შემოვიდოდა.

როგორც ჩანს, მის შესაჩერებლად გადაკეტეს ახალგორში შესასვლელი. ამასთან გვამცნეს, რომ ოკუპაციის ხაზზე რუსებმა ტანკები განალაგეს, რომლებსაც ოქრო საქართველოში უნდა შემოეყვანა.

22 მაისს ტელევიზიის წინ აქცია დაარბიეს. ამის შემდეგ სახალხო კრების მხარდასაჭერად ქართული პარტიის ლიდერები მივიდნენ. იქ ეროსი კიწმარიშვილმა თქვა, რომ ოქრუაშვილი საქართველოში 25 მაისს ჩამოვიდოდა.

განცხადება ექსმინისტრმაც გააკეთა. მან თქვა, რომ საქართველოში ჩამოვიდოდა და ამ ხელისუფლებას დაამთავრებდა. ხელისუფლების დასამთავრებელი აქცია მათ გუშინ ავლაბრიდან უნდა დაეწყოთ.

როგორც ამბობენ, ოქრუაშვილის ამბავი დიდად არ მოეწონა ბურჯანაძეს. მას პარტიის ლიდერებისთვის მთელი რიგი კითხვები დაუსვამს. არავინ იცის, რა არ მოეწონა სახალხო კრებას, მაგრამ მათ აქცია სხვა ადგილას დანიშნეს.

ოქრუაშვილმა ოფიციალური ვერსიით სწორედ ამიტომ გადაიფიქრა საქართველოში ჩამოსვლა. ამის შესახებ სოზარ სუბარმა 24 მაისს გვამცნო. გვიმტკიცებდა, ოქროს საქართველოში დაბრუნება ძლივს გადავათქმევინეთო.

რამდენიმე საათში განცხადება გააკეთა თავად ოქრუაშვილმა. მან თქვა, რომ ჩამოუსვლელობაზე გადაწყვეტილება პირადად მიიღო.

ამასთან დაგვპირდა, რომ ბრძოლა გრძელდება და ხელისუფლებას აუცილებლად შეცვლის.

ამის შემდეგ სახალხო კრების ჯერი დადგა. ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, ოქრუაშვილი სააკაშვილის თამაშს თამაშობდა.

ამასობაში გაჩნდა ჭორი, რომ ექსმინისტრი საქართველოში საერთოდ არ მოდიოდა. ეს ცნობა კი რაღაცის თუ ვიღაცის შესამოწმებლად გააკეთეს.

ამ ჭორის გასანეიტრალებლად ქართულმა პარტიამ დაჯავშნული ბილეთები წარმოადგინა. ეს ბილეთები კოტე გოგელიას და ირაკლი ოქრუაშვილის სახელზე იყო დაჯავშნული.

ამ ბილეთების თანახმად, ისინი საქართველოში მიუნხენიდან უნდა გამოფრენილიყვნენ.

გუშინ კი რუსთავი 2-მა საინტერესო კადრები აჩვენა. ამ კადრებიდან ჩანს, რომ გოგელია მოსკოვში იყო. ამბობენ, რომ ოქროც რუსეთის დედაქალაქში იმყოფება.

თავდაცვის მინისტრის უარმა 24 მაისს მთელი ოპოზიცია შოკში ჩააგდო. ნაციონალები მის მიმართ ათას საშინელებას ამბობდნენ.

აღშფოთება ქართულ პარტიაშიც გამოხატეს. აღშფოთებულები, როგორც ჩანს, გაჩეჩილაძე და გუნცაძე იყვნენ. ორივე მათგანი მომღერალ უცნობთან ერთად სახალხო კრების აქციაზე მივიდნენ, სადაც ლევან გაჩეჩილაძემ ერთი-ორი ჯიგრული განცხადება გააკეთა.

გუშინ დილით კი პარტიაში დიდი გარჩევა დაიწყო. ქალაქში ხმა გავარდა, კიწმარიშვილმა და გუნცაძემ ერთმანეთს სცემესო.

ამ ინფორმაციას ქართული პარტია არ ადასტურებს, თუმცა იმას ვერ უარყოფენ, რომ მათთან რთული ვითარებაა.

ბოროტი ნაციონალები და უფრო ბოროტი ოპოზიციონერები ამბობდნენ, რომ ოქრუაშვილმა თავის პარტიას თავად დაახალა „კონტროლკა". პრინციპში, ვისი რა საქმეა, რას უზამს თავის პარტიას ოქრუაშვილი.

ასევე ისიც საკითხავია, ჩაკვდა თუ არა ეს პარტია. ქართულ პოლიტიკაში უამრავი საინტერესო რამე ხდება. ქართული პარტიაც ხომ ქართული პოლიტიკის ნაწილია.

# უფლებადამცველები ხელისუფლებისგან რეპრესიების შეწყვეტას მოითხოვენ



უფლებადამცველები ოპოზიციონერი აქტივისტების დაკავების ფაქტებს აპროტესტებენ და ხელისუფლებისგან მოითხოვენ, შეწყვიტოს რეპრესიები.

როგორც მედიკავშირ „ობიექტივში" უფლებადამცველებმა მაია ხარაძემ, დავით ლილუაშვილმა და ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადეს, ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაათავისუფლოს 21, 22, 23 და 24 მაისს უდანაშაულოდ დაკავებული ოპოზიციონერი მომიტინგეები, ადვოკატებს კი მიეცეთ საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა.

— საგანგებო მდგომარეობაა შექმნილი დღეს ქვეყანაში, ხელისუფლება ჩვეული ქმედებებით იბრძვის ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების წინააღმდეგ. ადამიანებზე ახდენს ზეწოლას გატაცებით, უკანონო დაკავებითა და ფსიქოლოგიური ზეწოლით, — განაცხადა ლილუაშვილმა.

ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, საქართველოში ცხოვრების წესად იქცა ადამიანების დევნა იმისათვის, რომ ისინი გამოხატავენ თავიანთ პოზიციას. ამ რეპრესიულ ქმედებებში კი ჩართულია სახელმწიფოს ძალოვანი სტრუქტურები.

უფლებადამცველები მიმართავენ საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციებს, მოახდინონ რეაგირება ხელისუფლების ქმედებებზე.

ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ შეწყდეს ის პოლიტიკური ტერორი, რომელიც ხდება საქართველოში.

**მედიანიუსი**

# სიღნაღში „ქართული პარტიის" ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი დააკავეს

სამართალდამცავებმა სიღნაღში „ქართული პარტიის" ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი მიხეილ მათეშვილი დააკავეს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" პარტიის პრესსამსახურიდან აცნობეს.

მათი ინფორმაციით, დაკავებულს ბრალი პოლიციის დაუმორჩილებლობისთვის წაუყენეს და 30-დღიანი პატიმრობა შეუფარდეს.

ქართული პარტია„ მომხდარს მათი აქტივისტების წინააღმდეგ მიმდინარე სადამსჯელო კამპანიად აფასებს და მიხეილ მათეშვილის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს.

**მედიანიუსი**

# ეკა ხერხეულიძე რუსთაველის გამზირზე აღლუმის ჩატარების კატეგორიული წინააღმდეგია

მსახიობ დიმა ჯაიანის ინფორმაციით, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ეკა ხერხეულიძე ხვალ, 26 მაისს რუსთაველის გამზირზე აღლუმის ჩატარების კატეგორიული წინააღმდეგია. შესაბამისი განცხადება ჯაიანმა პარლამენტის შენობის წინ „სახალხო კრების" ორგანიზებით მიმდინარე საპროტესტო აქციაზე გააკეთა.

— ცოტა ხნის წინ დამირეკა ძალიან სანდო ადამიანმა, რომელსაც ამ ინფორმაციაზე ხელი მიუწვდება და მითხრა, რომ ხერხეულიძე ხვალისთვის დაგეგმილი სამხედრო აღლუმის გაუქმებას მოითხოვს, — განაცხადა ჯაიანმა პარლამენტის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციაზე.

„მედიანიუსთან" სატელეფონო საუბარში ეკა ხერხეულიძემ ჯაიანის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარი არ გააკეთა და ამის მიზეზად მოუცლელობა დაასახელა.

**მედიანიუსი**

# სახალხო კრების აქტივისტი პოლიციას ზეწოლაში ადანაშაულებს



სახალხო კრების აქტივისტი იზაამ მამედოვი პოლიციას ზეწოლაში ადანაშაულებს.

როგორც აქციაზე მყოფმა მამედოვმა განაცხადა, სადახლოში მის სახლში წუხელ გვიან ღამით, 20-მდე პოლიციელი შევიდა და ცდილობდნენ მისი შვილის დაშკინ მამედოვის დაკავებას.

მისივე თქმით, სახალხო კრების საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილეა და სწორედ ამას უკავშირებს შვილის დაკავებას.

როგორც იზაამ მამედოვმა განაცხადა, პოლიციელებმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. იზაამ მამედოვს სახეზე დაზიანებები აღენიშნება.

ირაკლი ბათიაშვილმა განაცხადა, რომ მსგავსი ფაქტები ბოლო დღეებში ბევრია, როდესაც პოლიციის თანამშრომლები სახალხო კრების აქტივისტებს აკავებენ და ზეწოლას ახორციელებენ.

**ინტერპრესნიუსი**

# თემურ შაშიაშვილი: ხელისუფლებამ 4 პადოში იშოვა

თეა მარხვაი ე

**უკვე კარგა ხანია, რაც მეორე არხი პოლიტიკური პარტიების ჩატარებულ პრესკონფერენციებს, სხდომებს თუ მსგავს რამე-რუმეებს აშუქებს. 21 მაისიდან მოყოლებული კი ამ არხზე ძირითადად სახალხო კრების ამბები გადაიცემოდა. სახალხო კრებას კარავი სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ ჰქონდა დაცემული.**

**კოსტავას გამზირზე გამართული აქციის ტრანსლირება ბევრს არ მოსწონდა. თუმცა, როგორც დემოკრატიული ქვეყნის შვილებს შეეფერება, ამ ფაქტს მოთმინებით ეკიდებოდნენ.**

მოთმინების ძაფი ძალიან მალე გაუწყდა ერთ დროს დემოკრატიისთვის და სააკაშვილის წინააღმდეგ მებრძოლ კონსტანტინე გამსახურდიას, რომელმაც პარლამენტში ბრიფინგი გამართა და სახალხო კრების აქციის ტრანსლირება გააპროტესტა.

ამასთან დაკავშირებით კიდევ რამდენიმე პარტიამ გამოხატა აღშფოთება. აღშფოთებულ ოპოზიციონერებს სახალხო კრების აქციაზეც გამოეხმაურნენ. სახალხო კრების ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა თემურ შაშიაშვილმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ქვეყანაში ლუსტრაციის პროცესი დაიწყო.

— ჩვენ მიერ გამართული აქციები ბევრი რამით იყო მნიშვნელოვანი. ამ აქციების დროს ბევრი რამე გამოჩნდა. ამ აქციების წყალობით საქართველოში დიდი ლუსტრაცია დაიწყო, — განაცხადა ერთი შეხედვით კმაყოფილმა, მაგრამ აღშფოთებულმა შაშიაშვილმა.

მან დეპუტატ გამსახურდიას შეახსენა ის დრო, როცა ისიც ქუჩის ოპოზიციონერი იყო. ყოველი შემთხვევისთვის, შაშიაშვილმა იმის განმარტებაც გააკეთა, თუ რა არის ეროვნული მოძრაობა.

— რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეს არის განმათავისუფლებელი მოძრაობა. მინდა შევახსენო გამსახურდიას, რომ ეროვნული მოძრაობა არ ნიშნავს საკუთარი ცხოვრების მოწყობას, — ამბობს თეთრი მოძრაობის ლიდერი, რომელსაც მართალია ხმა ჰქონდა წასული, მაგრამ ჩვეული მწარე განცხადებების გაკეთებას მაინც ახერხებდა.

იმერეთის ყოფილმა გუბერნატორმა ვითომ-ოპოზიციონერებს, ინტელიგენციას, მავანსა და მავანს აუხსნა, რომ ამ ხელისუფლების გვერდზე დგომა არის სირცხვილი.

— გაიგეთ ხალხო, რომ ამ ხელისუფლების გვერდზე დგომა არის სირცხვილი. სირცხვილია იმ ხელისუფლების გვერდით დგომა, რომელმაც თავის ხალხს 2007 წლის 7 ნოემბერი მოუწყო. სირცხვილია იმ ხელისუფლების გვერდით დგომა, რომელმაც 2008 წლის 8 აგვისტოს საკუთარი ტერიტორია დაბომბა. სირცხვილია იმ ხელისუფლების გვერდით დგომა, რომელმაც ამ დღეებში 500 ადამიანი დააპატიმრა. დააპატიმრა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ოპოზიციის მომხრეები იყვნენ, — მიიჩნევს თეთრი მოძრაობის ლიდერი.

მისი განცხადებით, ასეთი ხელისუფლების გვერდით დგომა ყველასთვის სამარცხვინო უნდა იყოს. განსაკუთრებით კი ამის ინტელიგენციის წარმომადგენლებს უნდა შერცხვეთ.

— ასეთი რამეები უნდა დამთავრდეს. როგორ შეიძლება ამ ადამიანს უცეკვონ და უმღერონ. განსაკუთრებით



იმათ გასაგონად ვამბობ, რომლებიც თავის დროზე სტალინს უცეკვავდნენ, ახლა კი სააკაშვილს, — მიიჩნევს ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი.

თეთრი მოძრაობის ლიდერმა გუშინ პოლიტიკაში პადოშის თემაზეც ისაუბრა. ის ამტკიცებს, რომ ხელისუფლებას ერთის ნაცვლად 4 პადოში აქვს.

— გაიგეთ ხალხო, ხელისუფლებას ფეხსაცმელი გაუცვდა. 4 პადოში გამოჩნდა ძირს დასაგებად. აქამდე ერთი იყო, ახლა უკვე 4 პადოშია, — მიიჩნევს შაშიაშვილი.

ვიდრე აქციის მონაწილეები თავისუფლების მოედნისკენ წავიდოდნენ, პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ მადლობები გადაიხადა. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, აქციაზე მდგომმა ადამიანებმა მსოფლიოს სააკაშვილის ნამდვილი სახე დაანახეს.

— ჩვენი აქციის გასაშუქებლად უამრავი უცხოური მედიასაშუალება ჩამოვიდა საქართველოში. თქვენი მეშვეობით მსოფლიომ დაინახა, რომ საქართველოს ხელისუფლების სათავეში არის ნეობოლშევიკი სააკაშვილი. ამით თქვენ მოუგეთ ათეულობით მილიონ დოლარს, რომელიც სააკაშვილმა დახარჯა პიარში. ამ ფულებს ის უხდიდა პიარ-კომპანიებს. აკეთებდა შეკვეთილ სიუჟეტებსა და სტატიებს. ყველაფერს აკეთებდა, რომ ის, როგორც დემოკრატი, გამოჩენილიყო. დღეს ამის უკვე არავის აღარ სჯერა, — განაცხადა კმაყოფილმა ნასპიკერალმა.

მოგებებზე გია კობახიძემაც განაცხადა. მან აქცენტი დავით პაიჭაძის გადაცემაზე გააკეთა. ამ გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად ნინო ბურჯანაძე 24 მაისის საღამოს იყო მიწვეული.

— 24 მაისს, პირველი არხის გადაცემა „დიალოგში“ ნინო ბურჯანაძემ გადაცემის წამყვანი დავით პაიჭაძე და მიხეილ სააკაშვილი ანგარიშით „ათით ნული“ დაამარცხა. როდესაც პოლიტიკოსი გეუბნება, რომ თქვენი ხელისუფლებაა ქვეყანაში არსებული მძიმე ვითარების გამო დამნაშავე, ჟურნალისტი კი ამას იღებს და სიტყვას „თქვენ“ არ აპროტესტებს, ეს ბევრ რამეზე მიუთითებს. მხოლოდ ამის გამო დაფიქსირდა ეს კატასტროფული ანგარიში — ათით ნული, — განაცხადა კობახიძემ.

გია კობახიძემ საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ მიმდინარე აქციაზე, 22 მაისის დარბევაც გაიხსენა. მანვე საზოგადოებას იმ პირების გვარები დაუსახელა, რომლებიც, მისი თქმით, ამ დარბევაში ღებულობდნენ მონაწილეობას.

— ეს პირები არიან ზონდერბრიგადის წარმომადგენლები ხონის რაიონიდან, მათი გვარებია: ჯანელიძე, მანაგაძე, ძმები ბარაბაძეები და ალექსანდრე გეგენიძე, —განაცხადა კობახიძემ.

მისი თქმით, დარბევისას ასევე ამოცნობილი იქნა რამდენიმე მოქმედი სპორტსმენი, რომლებიც ფორმალურად თუ არაფორმალურად სპეცრაზმის წარმომადგენლები არიან.

— ამ ადამიანების სია სამარცხვინო სტენდზე გაიკვრება, ხოლო სპორტსმენების სახელებსა და გვარებს გადამოწმების შემდეგ მოგაწვდით, — აღნიშნა კობახიძემ.

როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, აქციის დარბევაში ხელისუფლება აქტიურად იყენებს რაგბისტებსა და მოჭიდავეებს. საუბარია იმ კატეგორიის ხალხზე, რომლებმაც რაგბსა და ჭიდაობაში თავი ვერ გამოიჩინეს. სამაგიეროდ, როგორც ჩანს, ხალხის დარბევა დაამხეცეს კარგად.

დამრბევთა გარდა გუშინ დაკავებულთა სიებიც გამოქვეყნდა. სახალხო კრებამ გუშინ სპეციალური ჯგუფი შექმნა, რომელსაც მიეწოდება დაკავებული და ნაცემი ოპოზიციონერების სია.

დაკავებულებთან დაკავშირებით დღის პირველ ნახევარში ზუსტი ცნობები არ ჰქონდათ. როგორც ოპოზიციის ლიდერები ამბობენ, დაკავებულთა რაოდენობა 500 კაცს აღწევს.

მასობრივ დაკავებებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საგანგებო ბრიფინგი გამართეს. ზაქარია ქუცნაშვილმა და დავით ლილუაშვილმა განაცხადეს, 21 მაისიდან 25 მაისის დილის ჩათვლით სამართალდამცავების მიერ ასობით მოქალაქეა დაკავებული.

დავით ლილუაშვილმა ჟურნალისტებს დაკავებულთა 30-კაციანი სია წარუდგინა. ადამიანის უფლებათა დამცველების თქმით, დაკავებულთა უმრავლესობა სახალხო კრების მომხრეა და მათი თავისუფლების აღკვეთა, ძირითადად ბათუმსა და თბილისში მოხდა.

ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენლები ხელისუფლებისთვის სპეციალური მიმართვის გაგზავნასაც აპირებენ, სადაც აღნიშნულია, რომ შეწყდეს პოლიტიკური ნიშნით რეპრესიები, დაუყოვნებლივ და უპირობოდ გათავისუფლდნენ 21, 22, 23 და 24 მაისს დაკავებული მოქალაქეები, მიეცეთ ადვოკატებს საქმიანობის განხორციელების საშუალება.

ასევე, ადამიანის უფლებათა დამცველები მიმართავენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა 2011 წლის 21, 22, 23 და 24 მაისს დაკავებულ პირთა საქმეებზე დაიწყონ მონიტორინგის განხორციელება, ხოლო ხელისუფლებას გაუწიონ რეკომენდაცია, საქართველოში შეწყდეს პოლიტიკური რეპრესიები.

მასობრივ დაკავებებთან დაკავშირებით ოპოზიციურმა პარტიებმა საკმაოდ ნაზი პროტესტი გამოთქვეს. ზოგმა ეს ზრდილობის გულისთვის გააკეთა, ზოგმა მხოლოდ იმიტომ გაინერვიულა თავი, რომ ხელისუფლებასთან მისი ჩახუტებულობა არ გამჟღავნებულიყო.

თუმცა აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც, პირიქით, ხელისუფლებას ქმედება მოუწონეს. გასაგებია, რომ მავან ოპოზიციონერს სააკაშვილის შეცვლა არ სურს თანაც რევოლუციის გზით, მაგრამ იმის ვაჟკაცობა უნდა ეყოს, რომ უდანაშაულო ადამიანების დაკავება გააპროტესტოს.

თუმცა, როგორც ჩანს, იციან, რომ ეს ხელისუფლებას ეწყინება. ხელისუფლების წყენინება კი არ აწყობთ.

## საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის პრესსამსახურის განცხადება

საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესმა გაავრცელა განცხადება, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„დღეს საქართველოში მთავრდება საერთო სახალხო საპროტესტო აქციის მორიგი ეტაპი. ქვეყნის საუკეთესო შვილები გამოვიდნენ ქუჩებსა და მოედნებზე, რათა აიძულონ ხელისუფლება შეისმინოს ქართველი ხალხის ხმა, რომელიც მოითხოვს თავისუფლებას ყველასათვის, ნამდვილ დემოკრატიას, ნამდვილ დამოუკიდებლობას.

საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესი გულისტკივილს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ისტორიული სამშობლოს ბედის გადაწყვეტის ამ მნიშვნელოვან დღეებში არ აქვს შესაძლებლობა გვერდით დაუდგეს ოპოზიციურ ძალებს. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებთ ვინმეს ჭკუა ვასწავლოთ ან ვუკარნახოთ როგორ არის საჭირო მოქმედება, რადგან ფიზიკურად შორს ვართ მოვლენების ეპიცენტრიდან და ოპოზიციისთვის მხოლოდ მორალური მხარდაჭერის აღმოჩენა შეგვიძლია. მიუხედავად ამისა, აუცილებლად მიგვაჩნია ცალსახად გამოვხატოთ ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულება „ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერის ვალერი კვარაცხელიას განცხადებებზე საპროტესტო აქციებზე სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების „კომიკური ხასიათის“ გაერთიანების თაობაზე. სინამდვილეში, სწორედ ადამიანის უნარი, რომ დადგეს წარსულში მიყენებული წყენისა და ურთიერთპრეტენზიებზე მაღლა ოპოზიციას მისცემს იმ გამაერთიანებელ ძალას, რომლისაც ასე ეშინია საქართველოს ხელისუფლებას.

ერთი წლის წინ ჩვენი სამშობლოს ისტორიის მანძილზე პირველად შემდგარ საქართველოს ხალხთა მსოფლიო ფორუმზე გაიჟღერა მოწოდებამ ყველას მიმართ, ვისთვისაც ძვირფასია საქართველო, „გავერთიანდეთ და გავიმარჯვებთ!“

საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესი მოუწოდებს საქართველოს ოპოზიციური ძალების ყველა ლიდერს ერთიანობისაკენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის“.

**მედიანიუსი**

## ლეიბორისტული პარტია ბრიუს ჯორჯის ღირსების ორდენით დაჯილდოებას აპროტესტებს

საქართველოს ლეიბორისტული პარტია აპროტესტებს „ბრიტანული იმპერიალიზმის ყველაზე აღვირახსნილი, კორუმპირებული წარმომადგენლის, ბრიუს ჯორჯის“ ღირსების ორდენით დაჯილდოებას.

„სწორედ ამ პიროვნებამ, როგორც ნატოს და ევროსტრუქტურების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა დააკანონა და გაათეთრა „ვარდების რევოლუციად“ წოდებული სახელმწიფო გადატრიალება და მის შემდგომ ჩატარებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები.

„ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ მიხეილ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმისი მთავარი საყრდენი, ლობისი და მფარველი გახლავთ ბრიტანული პოლიტიკური ელიტა, რომელსაც საქართველოში პინტერესებს არა ხალხი, არამედ ნავთობსადენები, საიდანაც საქართველოს ბიუჯეტში და ქართველი ხალხის ოჯახებში არაფერი შედის, ხოლო ამ ელიტის ჯიბეებს ემატება მილიარდები, ჩვენი გადათხრილი და განადგურებული სამშობლოს ხარჯზე“, — ნათქვამია პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**მედიანიუსი**

## ედპ ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლას არ ემხრობა



„ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლას არ ემხრობა.

როგორც „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გოგნიაშვილმა გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ედპ-მ არაერთხელ შეაფასა სახალხო კრების მიერ ორგანიზებული აქცია და კვლავაც იმ პოზიციაზეა, რომ ქვეყანაში ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლა ქართული სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება.

გოგნიაშვილის თქმით, ასევე ედპ-სთვის მიუღებელია ჟურნალისტებისთვის შეურაცხყოფის მიყენების და პროფესიული მოვალეობების შესრულებისთვი ხელის შეშლის ფაქტები.

— გვინდა აქცენტი გავაკეთოთ კიდევ ერთ, დემოკრატიისთვის მიუღებელ სახიფათო ტენდენციაზე, რაც წითელ ზოლად გასდევს ტელევიზიის წინ მდებარე აქციას — ჟურნალისტებზე თავდასხმა და მათი პროფესიული საქმიანობისთვის ხელის შეშლა, პიროვნული შეურაცხყოფები, რომელიც ყოველგვარ ზღვარს სცილდება. და ეს ხდება იმ პოლიტიკოსების მიერ, რომელთაც პრეტენზია აქვთ დემოკრატიულ ფასეულობებზე, — განაცხადა გიორგი გოგნიაშვილმა.

მისივე თქმით, მედიასივრცეში ყველა პოლიტიკურ პარტიას უნდა მიეცეს თანაბარი სატელევიზიო საეთერო დრო.

„ტელეკომპანია „მეორე არხზე“ მთელი ამ დღეების განმავლობაში პირდაპირი ეთერით მიმდინარეობს პროპაგანდა ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით შეცვლის თაობაზე. ჩვენ გვიჩნდება საფუძლიანი ეჭვი, რომ ხელისუფლება დაინტერესებულია შეიქმნას ორი პოლუსი — ხელისუფლება და მარგინალობამდე მისული რადიკალები, რაც არაადექვატურად ასახავს როგორც საზოგადოების განწყობას, ასევე პოლიტიკური პოლიტიკური ძალების განლაგებას, — აღნიშნა ედპ-ს პოლიტიკურმა მდივანმა.

**ინტერპრესნიუსი**

## ოპოზიციური რვიანის გზა სწორია



რესპუბლიკური პარტიის ლიდერის და „ოპოზიციური რვიანის“ წარმომადგენლის დავით უსუფაშვილის განცხადებით, ქვეყანაში უნდა დამთავრდეს არასერიოზული ქმედებები, როგორც ხელისუფლების მხრიდან, ისე ოპოზიციის მხრიდან. ეს განცხადება უსუფაშვილმა „მედიანიუსთან“ საუბრისას ირაკლი ოქრუაშვილის საქართველოში აღარ ჩამოსვლის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის კომენტირებისას გააკეთა. მისი თქმით, ის რაც ბოლო დღეებში ხდება ქვეყანაში, ქართველი ხალხის ინტერესებს არანაირად არ ესადაგება და პოლიტიკური ძალები ცოტა სხვაგვარად უნდა იქცეოდნენ.

როგორც უსუფაშვილი აღნიშნავს, ბურჯანაძის და „ქართული პარტიის“ მოქმედებიდან გამომდინარე, ვერც ხელისუფების შეცვლის შესაძლებლობას ხედავს და ვერც — უკეთესი ხელისუფლების მოსვლის.

„საჭიროა სერიოზული საქმის კეთება სერიოზული ხალხის მხრიდან. პოლიტიკოსების ნაწილი ხალხს არასწორ და არარეალისტურ ორიენტირებს სთვაზობს და ამით კიდევ უფრო დიდ იმედგაცრუებას იწვევს საზოგადოებაში. ხალხმა დღეს უფრო მეტად დაინახა, რომ ყველაზე სწორი ოპოზიციური „რვიანის“ გზაა. ჩვენ ფოკუსირებული უნდა ვიყოთ იმ ბრძოლის ველზე, სადაც ხელისუფლება ყველაზე სუსტია და ეს არის საარჩევნო გარემო. ხელისუფლება აქ სუსტია იმიტომ, რომ მხარს გვიჭერს მთელი საერთაშორისო საზოგადოება და ეს დიდი ბერკეტია. დარწმუნებული ვარ, უახლოეს დღეებში საქართველოს მოქალაქეების ის ნაწილი, რომელიც სკეპტიკურად უყურებდა ამ გზას, დაინახავს, რომ ეს არის სწორი გზა. შესაძლოა, ცოტა უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ერთ და ორ დღეში ხელისუფლების შეცვლის მცდელობა, მაგრამ ეს არის სწორი გზა“, — განუცხადა „მედიანიუსს“ დავით უსუფაშვილმა და დასძინა, რომ „ოპოზიციური რვიანი“ საჭირო მომენტში განცხადებას გააკეთებს თავისი სამოქმედო გეგმის შესახებ.

შეგახსენებთ, „ქართული პარტიის“ მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, ირაკლი ოქრუაშვილი 25 მაისს საქართველოში აღარ ჩამოვა და აღარც „მრისხანების დღედ“ გამოცხადებული აქცია გაიმართება.

**მედიანიუსი**

# მიმდინარე აქციებმა ოპოზიციის ხარვეზები და კოორდინაციის დეფიციტი გამოავლინა

ერეკლე მეორეს საზოგადოება და პოლიტიკური მოძრაობა „მრგვალი მაგიდა-ნეიტრალური საქართველო“ საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს სპეციალური განცხადებით ეხმიანება. ამის შესახებ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ერეკლე მეორეს საზოგადოების თავმჯდომარემ არჩილ ჭყოიძემ განაცხადა.

მისი თქმით, ერეკლე მეორეს საზოგადოება ხელისუფლების რევოლუციის გზით შეცვლის მომხრე არ არის, რადგან არსებული სიტუაციის გათვალისწინებით ხალხის დაპირისპირება მხოლოდ ქვეყნისათვის იქნება საზიანო და არა სააკაშვილის რეჟიმისთვის.

„ოპოზიციური ძალების მიერ გამართულმა აქციებმა ოპოზიციაში არსებული ხარვეზები, კოორდინაციის დეფიციტი, სხვისი პოზიციის არცოდნა ან უგულებელყოფა, ასევე ხელისუფლების მსგავსად იმპულსური და არათანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა გამოავლინა. რამაც, ოპოზიციის, როგორც ცნების მიმართ მოსახლეობის სკეპტიციზმი გააძლიერა,“ — ნათქვამია განცხადებაში.

არჩილ ჭყოიძის თქმით, საზოგადოება მიიჩნევს, რომ მხოლოდ თავისუფალი, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების გზით მოსული ხელისუფლება შეიძლება იყოს ეროვნული და პროგრესული რეფორმების გამტარებელი.

„მიგვაჩნია, რომ ამჟამინდელ აქციაზე ხალხის არგამოსვლის მიზეზი გამოწვეულია არა უიმედობითა და უსუსურობით, არამედ საკითხის გადაჭრის არასწორი მიდგომით. ოპოზიციურ სპექტრს შორის შეუთანხმებლობა კიდევ უფრო უკონტროლოს ქმნის ხელისუფლებას და საზოგადოებაში დეპრესიისა და ნიჰილიზმის საფუძველს აჩენს,“ — ნათქვამია განცხადებაში.

ერეკლე მეორის საზოგადოების წევრები და პოლიტიკური მოძრაობა „მრგვალი მაგიდა ნეიტრალური საქართველოს“ მხარდამჭერები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფართომასშტაბიანი დებატების მოწყობისათვის და საზოგადოებას კონკრეტული გეგმებისა და პროექტების განხილვისაკენ მოუწოდებენ.

**მედიანიუსი**

# „პოპული“ სოციალურ ქსელში გავრცელებულ კადრებს არარეალურს უწოდებს

სავაჭრო ქსელი „პოპული“ სოციალურ ქსელებში გავრცელებულ კადრებს, რომელშიც ნაჩვენებია, რომ მღრღნელი ერთ-ერთი სუპერმარკეტის დახლთან დადის, რეალობას მოკლებულს უწოდებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სუპერმარკეტების ქსელის ადმინისტრაციიდან აცნობეს, კადრების გავრცელება „პოპულის“ დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.

„ინტერნეტით გავრცელებული კადრები ყოველგვარ რეალობას მოკლებულია და ის ან მიზანმიმართული ცილისმწამებლური კამპანიის ნაწილია, რომელიც კომპანიის საქმიანი რეპუტაციის დისკრედიტაციას ემსახურება. ან ეს არის ფალსიფიკაცია და უნიჭო ხუმრობა. კადრებში ბუნდოვნად ჩანს „პოპულის„ ის ლოგო და სასაქონლო შეფუთვა, რომელსაც კომპანია უკვე წელიწადზე მეტია აღარ იყენებს, შესაბამისად, ვიდეო აბსოლუტურად არ შეესაბამება დღეს, კომპანიის სუპერმარკეტებში არსებულ რეალობას, — აცხადებს ქსელის გენერალური დირექტორი.

კომპანიაში სამწუხაროდ მიაჩნიათ, რომ „პოპულის„ წინააღმდეგ ასეთი ბინძური კამპანია დაიწყო.

„კომპანიამ, მომხმარებლებზე და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ერთი წლის წინ საკუთარი საწარმოს მშენებლობა დაასრულა თბილისში. ეს გახლავთ 4000 კვ.მ. ზე განლაგებული ფრეშ პროდუქტების გადამამუშავებელი ცენტრი, რომელიც თავისი პროფილით უნიკალურია მთელ ამიერკავკასიაში. ასევე, ხარისხის კონტროლი, ჰიგიენური ნორმების უმაღლეს დონეზე დაცვა და ევროპული სტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიები — ეს ის ძირითადი პრინციპებია, რასაც „პოპულის“ დღევანდელი წარმოება ეფუძნება. სწორედ ამ საწარმოდან, შესაბამისი ლაბორატორიული კვლევის შემდეგ, ყველა წესისა და ტექნოლოგიური პროცესის დაცვით უკვე მარაგდება „პოპულის“ სავაჭრო ქსელი, რაც მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხისა და სანდოობის გარანტია. ასევე, დაცულია და დიდი ყურადღება ექცევა, მაღაზიების სანიტარულ ნორმებს“, — აცხადებენ „პოპულის“ ადმინისტრაციაში.

კომპანიის ადმინისტრაციის განცხადებით, მსგავსი ტიპის მიზანმიმართული კამპანია, არამარტო ზიანს აყენებს კომპანიის რეპუტაციას, არამედ ქართული ბიზნესის ამ კონკრეტულ დარგს და შეურაცხყოფს იმ ასობით თანამშრომელს, რომელიც „პოპულის“ სავაჭრო ქსელშია დასაქმებული.

2011 წლის 22 მაისს, ქართულ სოციალურ ქსელებში გავრცელდა ვიდეო, რომელიც სავაჭრო ქსელის „პოპულის“ სანიტარულ ნორმებზე ამახვილებს ყურადღებას. მასში ნაჩვენებია, თუ როგორ თავისუფლად გადაადგილდება მღრღნელი ერთ-ერთი სუპერმარკეტის დახლთან.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის რებრენდინგი იგეგმება

საქართველოს ტურიმზის ეროვნული სააგენტო საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის რებრენდინგს გეგმავს.

როგორც მთავრობის სხდომის დაწყებამდე აღნიშნული სააგენტოს ხელმძღვანელმა მაია სიდამონიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ეს გულისხმობს საქართველოს ბრენდის შემუშავებას, რომლის მიხედვითაც, საერთაშორისო ბაზრებზე ჩვენი ქვეყნის პოზიციონირება მოხდება.

აღნიშნულმა სააგენტომ და კომპანია „ელსიდიმ“ ჩაატარეს კვლევა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, თუ რა უნდა იყოს საქართველოს ბრენდის შეტყობინება, როგორ უნდა მოახდინოს მას პოზიციონირება საერთაშორისო ბაზრებზე და რომელ სეგმენტებზე უნდა იმუშაოს სამომავლოდ.

კვლევის საფუძველზე განისაზღვრა ის დავალებები, რომელთა შესრულებაც ტურისტულ კომპანიებს თავიანთი მარკეტინგული კამპანიების ჩატარებისას დაევალებათ.

ჩატარებული კვლევისას გამოიკვეთა, რომ საქართველოს განსაკუთრებული სტუმარმოყვარეობა, ბუნებრივი ლანდშაფტები და ექსკლუზიურობა, რაც სხვა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი არ არის. საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის

ბრენდინგის კონფეციას დღეს მთავრობის სხდომაზე განიხილავენ, რის შემდეგაც იგი დამტკიცდება.

**მედიანიუსი**

თქვენი ზარით შეეწიეთ
**ბებნისის დედათა მონასტრის**
მშენებლობას
**მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605**
ღმერთმა შეგიწიროთ!
**ზარის ღირებულებაა 1 ლარი**

# როგორ დატოვა დავით ბაქრაძემ პარლამენტის შენობა

ნანა მიშელაშვილი

**სახალხო კრების აქციის მონაწილეებმა პარლამენტთან აღლუმისთვის განკუთვნილი სცენა დაიკავეს. ამ დროს საკანონმდებლო ორგანო ჩვეულ რეჟიმში მუშაობდა. 4 საათისთვის პარლამენტში უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები ჯერ მიღებული არ იყო. თუმცა, მას შემდეგ, რაც აქციის მონაწილეები კოსტავას ქუჩიდან პარლამენტთან მივიდნენ, პარლამენტის ყველა შესასვლელი კარი ჩაიკეტა. პარლამენტის შესასვლელ კარებს რამდენიმე დღის წინ სახელურებიც მოაძრეს.**



5-ის 15 წუთზე დავით ბაქრაძემ პარლამენტის შენობა ესკორტის თანხლებით დატოვა. ამ დროს პარლამენტში უმრავლესობის რამდენიმე წევრი იმყოფებოდა. ისინი ნუგზარ წიკლაურის ოთახში იმყოფებოდნენ.

უმრავლესობის წევრების ამტკიცებდნენ, რომ აღლუმის ჩატარების მიზანშეწონილობა არ გადაიხედებოდა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა ჟურნალისტებს მხოლოდ ეს განუცხადეს, ხოლო კითხვა, რა მოხდება მაშინ, თუ აქცია 26 მაისამდე არ დაიშალა, უპასუხოდ დატოვეს.

სანამ აქციის მონაწილეები პარლამენტთან მივიდოდნენ, მანამდე საკანონმდებლო ორგანოში კომენტარები კეთდებოდა. პარტია „თავისუფლების“ ლიდერი კოკო გამსახურდია გუშინ დილიდან საპროტესტო აქციის შეფასებისას ამბობდა, რომ ბოშათა ნაბაკის გადაადგილებებში მონაწილეობას არ აპირებდა, რადგან არ სცალია.

უმრავლესობის წევრი ნუგზარ წიკლაური კი ჯერ კიდევ ორი დღის წინ ამბობდა, რომ რევოლუციების ქრონიკა დაემსგავსებოდა ამ პარტიების გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკას.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი წიკლაური მიიჩნევს, რომ რევოლუციური პროცესები, ექსტრემიზმი, ქართველი ხალხის მიერ არის უარყოფილი. „ეს არის ყველაზე მთავარი მესიჯი, რაც შეიძლება გამოიტანოს ქართველმა ხალხმა. დაპირისპირებას, კრიმინალურ ანარქიას საბოლოოდ უარი ეთქვა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში“, — აღნიშნა “ახალ თაობასთან“ საუბარში ნუგზარ წიკლაურმა.

რაც შეხებოდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას, უმრავლესობის წევრები მასაც ეხმიანებოდნენ.

ნუგზარ წიკლაურის თქმით, ეს აქციები მიმდინარეობს რუსული დროშის ფონზე, ეს აქციები მიმდინარეობს აშკარა მხარდაჭერით რუსული მედიის, რომლებიც ანონსირებას უკეთებენ ნამდვილ არმაგედონს საქართველოში. „ამას ისიც დაემატა, რომ ოფიციალურმა რუსულმა სტრუქტურამ — საგარეო საქმეთა სამინისტრომ აშკარად მხარდამჭერი განცხადება გააკეთა. ეს ნიშნავს იმას, რომ რუსებს თითქმის ყველაფერი ჰქონდათ გათვალისწინებული, ერთი რამ, რაც ვერ გაითვალისწინეს, ეს იყო ქართველი ხალხი. ხალხი, რომელმაც პრინციპული პოზიცია დაიკავა იმ ადამიანების მიმართ, ვინც ოკუპანტების გეგმების განხორციელებას ცდილობს საქართველოში. ის, რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ საქართველოში არის მიქსი — უნიჭობის, უპასუხისმგებლობისა და უღირსებობის, რომელიც ამ პოლიტიკურმა ძალებმა გამოაცხადეს. ჩვენ ადრეც ვთქვით, რომ გამოცხადებული რევოლუციების ქრონიკა დაემსგავსებოდა ამ პარტიების გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკას. ზუსტად ასე მოხდა“ — აღნიშნა წიკლაურმა.

უმრავლესობის წევრი მიუთითებს, რომ ქვეყანაში გზა ეხსნება ახალ ვითარებას, ეს არის ცივილიზებული ოპონირების გზა, არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლის ახალი შესაძლებლობების გაჩენა. წიკლაურის თქმით, ამას უზრუნველყოფს ხელისუფლება და ყველა პასუხისმგებლობით აღჭურვილ პოლიტიკურ ძალას შესაძლებლობა ექნება თავის დემოკრატიული უფლების რეალიზაცია მოახდინოს ცივილიზებული გზით.

ნუგზარ წიკლაურის შეფასებით, მთავარი შეკითხვა, რაც დაისვა ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის მიერ რამდენიმე დღის წინ იყო თუ არა ქართული საზოგადოება მზად თავის ხელით დაენგრია თავის ქვეყანა? ამ კითხვაზე პასუხი გაცემულია და ეს პასუხი არის არის, არა!

ქრისტიან-დემოკრატები მიიჩნევენ, რომ აქციაზე მყოფი ჩვეულებრივი ადამიანების დაპატიმრება შეიძლება დაიწყოს. შესაძლოა თუ არა ეს მოხდეს? ამ კითხვაზე წიკლაურის პოზიცია ასეთია: „საქართველოში უზრუნველყოფილია პოლიტიკური აზრის გამოხატვის უფლება, რაც არაერთხელ დადასტურდა, მათ შორის დადასტურდა ამ აქციებზეც, როდესაც თავისუფლების მოედანზე შეიკრიბნენ და მანიფესტაცია მოაწყვეს კოსტავას ქუჩაზე. არავის ამ აქციების არ ეშინია და არავინ არ უფრთხის განსხვავებულ აზრს. თუ მათი ქმედებები გადაიზრდება სხვადასხვა ადამიანებზე თავდასხმებში, ჩამტვრევებში, რასაც ბათუმში ჰქონდა ადგილი, პოლიციის ვალდებულებაა, რომ ასეთი ტიპის ძალადობა შეაჩეროს. მაგრამ, წინასწარ, განზრახულად პოლტიკური უფლებების შეზღუდვას არავინ არავისას არ აპირებს“.

რუსეთი შეეცდება თუ არა რაიმენაირად საქართველოში დაძაბოს სიტუაცია? ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, რუსეთის პრობლემმაა დემოკრატიული თავისუფალი ქვეყანა მის საზღვრებთან. იმიტომ, რომ როდესაც ასეთი ქვეყანა შენდება კონტრასტი უზარმაზარია და შესაბამისად, უფრო მკვეთრად ჩანს, როგორი ჩამორჩენილია რუსეთი დემოკრატიული ღირებულებების ან და განვითარების თვალსაზრისით.

„რუსეთს მუდმივი მცდელობა ექნება საქართველოში რაიმე სახის პრობლემები შექმნას. ეს თავიდან მათ გააკეთეს ეკონომიკური ემბარგოს მეშვეობით, შემდეგ ამას მოჰყვა შეურაცხმყოფელი ფორმით ქართველების გამოყრა, შემდეგ ეკონომიკური ბლოკადა, როდესაც ამ ყველაფერმა არ გაჭრა, მოხდა აგვისტოს ომი და მთლიანად ქართული სახელმწიფოს განადგურება მოინდომეს. როდესაც ამის შედეგადაც ქვეყანა მაინც გაიმართა და ფეხზე დადგა, დაიწყეს სხვადასხვა ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფების რეკრუტირება და ქართველი საზოგადოებისთვის მიქსევა როგორიც არის ქართული პარტია“, ნინო ბურჯანაძე და ასე შემდეგ. ახლა როდესაც დაინახავენ, რომ ესეც აღარ ჭრის, რაღაც ახალი სამოქმედო გეგმა ექნებათ, მაგრამ ქართული სახელმწიფო გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე 5-6 წლის წინ იყო, საქართველოს აქვს საკმარისი შესაძლებლობები რათა არ დაუშვას რაიმე სახის დრამატული განვითარება“ — ასეთია ნუგზარ წიკლაურის პოზიცია. რაც შეეხება საპარლამენტო ოპოზიციას, მათმა ნაწილმა საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით განცხადებები გუშინ გააკეთეს. პარტია „თავისუფლების“ ლიდერი, კონსტანტინე გამსახურდია „ბოშათა ნაბაკის გადაადგილებებში“ პერსპექტივას ვერ ხედავს და მის მხარდაჭერას არ აპირებს. ასე შეაფასა გამსახურდიამ სახალხო კრების მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციები.

„მე არ მცალია პამპულაობისთვის, ნამდვილად ვერ მივიღებ მონაწილეობას ასეთ უშედეგო აქციებში, სხვათა შორის, მე ერთხელ უკვე გახლდით ჩართული ასეთ უშედეგო აქციებში და ძალიან დიდი შინაგანი ტრავმა მომყვება იქიდან მოყოლებული, ამიტომ არ ვაპირებ რაიმე მონაწილეობა მივიღო ბოშათა ბანაკის ამა თუ იმ გადაადგილებებში“ — აღნიშნა კონსტანტინე გამსახურდიამ.

„თავისუფლების“ ლიდერი ამბობს, რომ კონკრეტული გეგმა არც მაშინ არსებობდა, როდესაც ჩართული იყო გასულ საპროტესტო აქციებში და ალბათ, არც ახლა არსებობს. „მაშინ ყველას რაღაც მინიატურული გეგმა ჰქონდა“ — აღნიშნა გამსახურდიამ. კიდევ ერთი, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, პარტია „თავისუფლების“ ლიდერმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მეორე არხზე საპროტესტო აქციების გამო პარტიებისთვის „თავისუფალი ტრიბუნის“ დათმობა აღარ ხდება.

კონსტანტინე გამსახურდიამ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას და სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლებს II არხის ფორმატის აღდგენისა და პოლიტიკური პარტიებისთვის თავისუფალი ტრიბუნის დათმობის მოთხოვით მიმართა. გამსახურდიამ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელობას 17 პოლიტიკურ პარტიასთან გაფორმებული მემორანდუმი შეახსენა.

„გასაგებია, რომ აუცილებლად უნდა გაშუქდეს ტელევიზიასთან მიმდინარე აქცია, თუმცა, 24-საათიან რეჟიმში მისი ტრანსლირება მიზანშეწონილი ნამდვილად არ არის, მით უფრო ისეთ დროს, როცა სატელევიზიო კარდებში მხოლოდ აჩრდილებივით მოსიარულე ადამიანებს ვხედავთ და არც ხმა ისმის“ — აცხადებს კონსტანტინე გამსახურდია. კონსტანტინე გამსახურდიას მოთხოვნას საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძე გამოეხმაურა.

ლევან გახელაძის განმარტებით დეპუტატის ეს მოთხოვნა სამართლიანია, რადგანაც ხუთი დღის განმავლობაში, აქციების გამო, ვერ ხერხდებოდა სხვა პოლიტიკური სუბიექტებისთვის საეთერო დროის დათმობა. გახელაძის განცხადებით, მეორე არხი მაუწყებლობას ჩვეულ რეჟიმში აღადგენს მას შემდეგ, რაც კოსტავას გამზირზე აქციები დასრულდება.

„ეს იყო გამონაკლისი ფორსმაჟორის გამო. როგორც კი კოსტავას გამზირი გაიხსნება. მაუწყებლობაც აღდგება“, — განაცხადა გახელაძემ.

# ბურჯანაძის შეცდომები ხალხს არ დავიწყებია

შორენა კოწოწაშვილი

**ექსპერტი ლადო პაპავა მიიჩნევს, რომ ნინო ბურჯანაძეს და ოქრუაშვილ-კიწმარიშვილს რუსეთში სულ რომ არ ევლოთ და იქ მხარდაჭერა რომ არ ჰქონოდათ, მათ ქართველი ხალხი მაინც არ გაჰყვებოდა. პაპავას თქმით, ბურჯანაძემ მის მიერ დაშვებული შეცდომებით პრაქტიკულად თავისი პოლიტიკური კარიერა დააკნინა.**



— ბურჯანაძეს ჰქონდა ისტორიული შანსი 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგომ. ის, რომ მაშინ სააკაშვილის და მისი რეჟიმის კრიტიკით გამოსულიყო, გადამდგარიყო პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან და ოპოზიციაში წასულიყო, ის ოპოზიციის ლიდერი გახდებოდა. მაშინ პრეზიდენტობის კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე კი არა, ბურჯანაძე იქნებოდა. გაჩეჩილაძეს რომ დასავლეთი მხარს არ დაუჭერდა, ეს ნათელი იყო. ბურჯანაძისთვის დასავლეთს შეეძლო მხარი დაეჭირა, — აცხადებს ლადო პაპავა და იმ მიზეზებს ხსნის, რატომ არ დაუჭერდა მხარს დასავლეთი გაჩეჩილაძეს. პაპავას თქმით, „გაჩეჩილაძე სერიოზული პიროვნებაა, მაგრამ ის პიროვნება არ არის, რომელზეც პოლიტიკა უნდაააწყო. კაცი, რომელიც დაგინება-შეგინებზე ლაპარაკობს და ქუჩური პოლიტიკით გამოირჩევა, უნდა იცოდეს, რომ ამ დროის პოლიტიკა გავლილია“.

პაპავა არ იზიარებს ოქრუაშვილის პოზიციას ირაკლი ალასანიასთან მიმართებაში, რომ ალასანია ერთადერთი უბიწო პოლიტიკოსი იყო ქართულ პოლიტიკაში და მას ისე დააკარგვინეს უბიწოება, რომ ალასანიამ ვერ გაიგო. ექსპერტის თქმით, ოქრუაშვილი ამორალური პიროვნებაა და უზრდელი. ხოლო ის, რომ ოქრუაშვილის განცხადებებით ქართველი ხალხს აბრიყვებენ, ეს ქართველი ხალხის სისუსტის მაჩვენებელია.

როგორ აფასებს რევოლუციური ფრთის ნაბიჯებს ექსპერტი, რატომ აპატიებს ყველა შეცდომას ნონა გაფრინდაშვილს და ვინ არის რუსეთის მესამე პროექტი? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ექსპერტ ლადო პაპავასთან.

***— ბატონო ლადო, რამდენად პერსპექტიულია რევოლუციური ფლანგის წარმომადგენელთა ნაბიჯები, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დასრულებასთან დაკავშირებით ხორციელდება? რევოლუციის წინაპირობა არსებობს ამ დროისთვის ქვეყანაში?***

— ნამდვილად ახალს არ ვიტყვი, ყველამ იცის, რომ რევოლუციები დაგემვით არ ხდება, მით უფრო წინასწარ გაცხადებით არ ხდება. რევოლუცია რომ მოხდეს, პირველ რიგში, ქვეყანაში უნდა ჩამოყალიბდეს რევოლუციური სიტუაცია. სიტუაცია, როდესაც ხალხს აქვს იმის მოთხოვნა, რომ გამოხატოს პროტესტი და თან გამოხატოს არა უბრალოდ პროტესტი, არამედ ეს პროტესტი დაგვირგვინდეს სერიოზული ცვლილებებით. დღეს რეალურად რა სიტუაციაა: საქართველოში, რა თქმა უნდა, ჩვენი მოსახლეობის დიდ უმრავლოსობას აქვს პროტესტის გრძნობა. მაგრამ რევოლუციური სიტუაცია მაინც არ არის ჩამოყალიბებული. რევოლუცური სიტუაცია იყო 2007 წელს. შედარებით სუსუტი ტალღა რევოლუციური სიტუაციის იყო 2009 წელს. მაგრამ ის, რაც მოხდა 2007 და 2009 წელს, ამან ხალხს იმედები გაუცრუა. ხალხმა დაინახა, რომ მარტო ის, რომ დიდი ოდენობით გამოვიდეს ქუჩაში, ეს საკმარისი არ არის იმისათვის, რომ რევოლუცია მოხდეს. იმავდროულად ხალხმა დაინახა, რომ ის პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც სათავეში ჩაუდგა ჩვენი მოსახლეობის ნაწილს, რომელიც ქუჩაში გამოვიდა, არ აღმოჩნდა ის ლიდერები, რომლებსაც შეეძლოთ რევოლუცია მოეხდინათ. იგივე ლევან გაჩეჩილაძეზე გავრცელდა ასეთი ჭორი, რომ მან ფული აიღო. უკვე მნიშვნელობა ამას აქვს, მან მართლა აიღო ფული თუ არა. მისი პოლიტიკური ფიგურა უკვე დაკნინებულია. იმიტომ, რომ თუ მან ფული აიღო, ხომ კატასტროფაა. თუ არა და გამოდის, რომ არც უნარი არ ჰქონია რევოლუცია მოეხდინა, იმიტომ, რომ ამდენი ხალხი უჭერდა მხარს, ამდენი ხალხის გამოვიდა ქუჩაში. ლევან გაჩეჩილაძემ თქვა ჩემთვის ძალიან მისაღები განმარტება: ერთი ადამიანის სიცოცხლედ არ ღირს არანაირი გამარჯვება პოლიტიკაში, ამიტომ მე ხალხს ვერ გავწირავდი და სიკვდილზე ვერ გავიშვებდიო. ეს არის ჩვეულებრივი ნორმალური მოქალაქის პოზიცია. მაგრამ ეს არ არის რევოლუციონერის პოზიცია. მეც ვთვლი ზუსტად ასევე, როგორც ლევან გაჩეჩილაძემ ბრძანა, რომ ერთი ადამიანის სიცოცხლეც არ უნდა იქნეს შეწირული. მაგრამ ამ იდეოლოგიით შენ უკვე აღარ ხარ პოლიტიკოსი და არა ხარ რევოლუციონერი. როცა ამას ვიძახი, ნამდვილად ვაღიარებ, რომ მე არა ვარ რევოლუციონერი და არც არავის არ მოვუწოდებ, რომ სადღაც გამომყვეს. მაგრამ შენ თუ იცი, რომ ვერ დათმობ ვერცერთი ადამიანის სიცოცხლეს და იმავე დროს ითხოვ, რომ ხალხი გამოგყვეს, საქმე არ გამოვა. 2003 წელს სააკაშვილს ხალხი გადადებული ჰყავდა. გაიხსენეთ ბოლნისის ინციდენტი, ან გაიხსენეთ ბათუმში თავ-ყბა რომ დაუსიეს მიშას რამდენიმე მხარდამჭერს. ისინი პრაქტიკულად ხომ განწირულები იყვნენ. გაჩეჩილაძემ ეს ვერ მოახერხა. ამის მერე, მან ფული აიღო თუ არა, იმისთვის რომ ხალხს მისი ნაკლებად სჯეროდეს, უკვე მნიშვნელობა არ აქვს. ის გასვრილია ფულში თუ არა, ყოველ შემთხვევაში, როდესაც უკვე პოლიტიკურად სუსტი ფიგურა ხარ, ხალხი მით უფრო არ გამოგყვება. შემდეგი მოვლენა კიდევ რა არის იცით? — ლიდერები ვინც აქციაზე გამოჩნდნენ, აქვთ კი მათ ხალხში ნდობა? ჩაუხედიათ „პოლიტიკურ სარკეში“?! რომ მათ თავისი თავი შეაფასონ?

***— ამ შემთხვევაში ნინო ბურჯანაძეს გულისხმობთ?***

— აბსოლუტურად ყველას ვგულისხმობ. აი, ბატონი ეროსი კიწმარიშვილი ამბობს, 2003 წელს რევოლუცია მე მოვაწყეო და ამით ამაყობს. მერე, კარგი რა გააკეთა, რა საამაყო ეს არის. თანაც თვითონვე აღიარებს, რომ ის რევოლუცია რომ მოაწყო, მერე მისი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა იმიტომ, რომ შედეგები ის არ აღმოჩნდა, რასაც ელოდა. ახლა კიდევ უნდა, რომ რევოლუცია მოაწყოს. კიდევ რომ ის შედეგები არ აღმოჩნდეს! ახლა რა ვქნათ, კიწმარიშვილის ჭკუით ვიაროთ?!

***— რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილს და მის განცხადებებს, მართლაც მხდალი პოლიტიკოსის განცხადებები და ნაბიჯები იყო ის, რაც ბოლო დღეებში ვიხილეთ?***

— რაც შეეხება ოქრუაშვილს, ის გამოირჩეოდა ბაქიაობით. მე ვიზიარებ, თუ არ ვცდები გია ხუხაშვილმა თქვა, რომ ეს არის მითი შექმნილი ჯერ კიდევ ოქრუაშვილის მინისტრობის დროს, რომ ის არის ძლიერი პიროვნება.

***— ვინ შექმნა ოქრუაშვილის ძლიერების მითი?***

— ეს მითი სააკაშვილმა შექმნა. ამ მითის განვრცობა მოხდა მერე, როცა ოქრუაშვილი ოპოზიციაში გადავიდა. ოქრუაშვილის სიმაგრე ჩვენ ყველამ დავინახეთ, ციხეში რომ მოხვდა მაშინ და თუნდაც ახლა. ახლაც გამოუვიდა ბაქიაობა, როგორც მაშინ ბაქიაობდა რომ ამბობდა, ახალ წელს ცხინვალში შევხვდებიო. ახლაც ხომ ბაქიაობა გამოუვიდა, 25 მაისს თბილისში ჩამოვალ და „მრისხანების დღე“ უნდა მოვუწყოთ ამ ხელისუფლებასო. ასეთ კაცს რატომ უნდა გაჰყვეს ხალხი?! რაც შეეხება თავად „ქართული პარტიის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარს, მე მგონი ის დიდ გაუგებრობაშია მოხვედრილი და რამდენადაც კარგი სახალხო დამცველი იყო, იმდენად სუსტი პოლიტიკოსია. პოლიტიკური ალღო მას საერთოდ არ გააჩნია და ეს უნდა ვაღიაროთ. მან სახალხო დამცველობისას მოპოვებული ქულები პრაქტიკულად უაზროდ გაფლანგა.

***— სწორი გადაწყვეტილება იყო, როცა ქართულმა პარტიამ 25 მაისისთვის დაანონსებული აქცია ავლაბრის მოედანთან მოხსნა?***

— არა. ჯერ არ უნდა ეთქვა ოქრუაშვილს ასე მკაფიოდ, რომ თბილისში ჩამოვალო და მერე თქვა ორ დღეში, გადამაფიქრებინესო. რა საბავშვო ბაღია? ანუ ოქრუაშვილმა პრაქტიკულად ამ განცხადებით თავის თავს, როგორც პოლიტიკოსს, სერიოზული წერტილი დაუსვა, ანუ ოქრუაშვილი პოლიტიკურ თვითმკვლელობაზე წავიდა. შემდეგ კიდევ ერთი: ოქრუაშვილი რა პოპულარული იყო, როცა მინისტრი იყო? ხალხის სიყვარული ჰქონდა? თუ ის ის პიროვნება იყო, რომლისთვისაც ის რეპრესიები და ის ბოროტება, რითაც გამორჩეული იყო „ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფლება, ასოცირებული იყო ისეთ სახეებთან, როგორიც არის ოქრუაშვილი. მაგრამ რა გააკეთა? პრაქტიკულად ადგა და ერთხელ გადააგდო ხალხი 2007 წელს, მეორეთ გადააგდო ხალხი 2011 წელს. გადაგდება ჰქვია იმას, რაც 2007 წელს გააკეთა — ოღონდაც თავი გადაერჩინა, ტიროდა ტელეეკრანთან რომ იჯდა, ოღონდაც ციხიდან გამოსულიყო. ახლა ისევ გადაადგო ხალხი ისე, რომ ცრუ ილუზია შეუქმნა სახალხო კრების მხარდამჭერებს, რომ გამოჩნდებოდა და მერე თქვა, ნურას კაცრავადო. აქედან რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ...

***— ქართული პარტიის ნაბიჯებია, მაგრამ ამ ეტაპზე პროცესის წარმმართველი მაინც სახალხი კრება და ნინო ბურჯანაძეა.***

— რაც შეეხება ნონო ბურჯნაძეს, მას ძალიან დიდი გამოცდილება აქვს. მეტყველების თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია. გულხდილად მინდა გითხრათ, რომ ჩვენ დღეს გვყავს კარგი ორატორული ნიჭით დაჯილდოვებული სამი პოლიტიკოსი. ახლა მათ ანბანის მიხედვით ჩამოვთვლი, რომ საწყენი არ ჰქონდეთ — ბურჯანაძე, ნათელაშვილი, სააკაშვილი. ესენი არიან გამორჩეული ორატორები. ძალიან კარგი არტიკულაციის უნარით. მაგრამ ბურჯანაძე არის კი ის პოლიტიკოსი, რომელსაც ხალხი უნდა გაჰყვეს?! ჩავიხედოთ რა „პოლიტიკურ სარკეში“. ადამიანი, რომელიც პოლიტიკაში დარჩენას აპირენდა, ადგა და 1 ლარიან წყნეთის აგარაკს დახარბდა. რა გგონიათ, ხალხს ეს არ ახსოვს? ან ის არ ახსოვს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც აჭარიდან გამოსახალეს, მოღალატეები რომ უწოდა? თუ ხალხს ის არ ახსოვს, 2007 წლის ნოემბრის შემდეგ ტრიბუნაზე რომ იდგა და გამწარებით რომ იცავდა სააკაშვილს და მის რეჟიმს. შემდეგ, როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, პრაქტიკულად სააკაშვილს პრეზიდენტობა „გაუპრავა“. ეს ხომ ხალხს არ დავიწყებია. ამიტომ ვფიქრობ, ბურჯანაძემ ამჯერად კიდევ ბევრი მხარდამჭერის შეგროვება შეძლო. ძალიან დიდ პატივს ვცემ თემურ შაშიაშვილს ჩვენი ნაცნობობის პირველი დღიდან, მაგრამ შაშიაშვილი არ არის ის პოლიტიკოსი, რომელსაც ხალხი გაჰყვება. შეიძლება ეს ჩემთვის სამწუხაროც არის, მაგრამ ეს ფაქტია. ახლა რაც შეეხება სახალხო კრებაში მყოფ ცნობად სახეებს: ნონა გაფრინდაშვილმა როგორი შეცდომაც არ უნდა დაუშვას, ჩემთვის ის ყოველთვის ნონა გაფრინდაშვილად დარჩება, რომელიც არა უბრალოდ მოჭადრაკეა. მან თავის დროზე დიდი წვლილი შეიტანა ქართველებში ქართველობა რომ გაღვიძებულიყო, როდესაც პატარა გოგონამ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. ახლა მწვავედ დგას გენდერის პრობლემა, მაგრამ ჩვენ მაშინნ, როცა კომუნიზმი მძვინვარებდა, გვყავდა მსოფლიო ჩემპიონი ქალი ჭადრაკში. გაფრინდაშვილმა პრაქტიკულად კარი გაუხსნა სხვა ქართველ ქალ მოჭადრაკეებს. ამიტომ, როგორი შეცდომაც არ უნდა დაუშვას ნონა გაფრინდაშვილმა, მე მზად ვერ ყველაფერზე თვალი დავხუჭო და ალბათ ძალიან ბევრია ჩემსავით საქართველოში, იმდენად ძვირფასი და საყვარელი ადამიანია ნონა გაფრინდაშვილი.

***— ნონა გაფრინდაშვილის შეცდომაში რას გულისხმობთ, რუსეთის უფრო სწორედ, ლავროვის უწყების მისამართით გამოთქმულ მადლობას?***

— ნებისმიერ შეცდომას. მაგრამ ერთი რამ არის: არ არის ქალბატონი ნონა ის პიროვნება, რომელსაც პოლიტიკოსის გამოცდილება აქვს. სახალხო კრებაში არიან ძალიან ბევრი პატივსაცემი პიროვნება, მაგრამ ისინი პოლიტიკოსები არ არიან. ამათ ჰქონდათ იმის განცდა, რომ ხალხს დაუძახებდნენ და ხალხი მოვიდოდა. მაგრამ არცერთი არ დაფიქრებულა, რატომ უნდა მისულიყო ხალხი მათთან.

***— ანუ რევოლუციონერი ლიდერების პრობლემაა და არა ის, რომ ხელისუფლება აცხადებს, ხალხი ოპოზიციას არ მიყვებაო.***

— აქ არის ორი რამ. პირველი: ხალხში პროტესტი არის, მაგრამ ახლა არ არის რევოლუციური სიტუაცია, ანუ ვითარება არ არის მომწიფებული, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს; და მეორე, ის ლიდერები არ არიან, ვის დაძახილზეც ხალხი უნდა გავიდეს. გაჩეჩილაძის დაძახილზე ხალხი გადიოდა და ყველა ეს გასვლა სრული ფიასკოთი დასრულდა. ოქრუაშვილი რაც არის, გითხარით. ბურჯანაძემ რაც უნდა ლამაზად ილაპარაკოს, ის არ არის ის პოლიტიკოსი, რომელსაც დღეს ხალხის ნდობა აქვს. სახალხო კრება პრაქტიკულად დაყვანილი იქნა ერთ პარტიაზე.

***— ბურჯანაძემ ხალხის ნდობა მაშინ დაკარგა, როცა სააკაშვილს გაყალბებული არჩევნები გაუპრავა?***

— ბურჯანაძემ ნდობა დაკარგა 2007 წლის ნოემბერში და საბოლოოდ დაუსვა წერტილი თავის პოლიტიკურ კარიერას, როცა წყნეთის აგარაკი ერთ ლარად აიღო.

***— კი მაგრამ, ბატონო ლადო, ერთ ლარად და ფაქტიურად უფასოდ ქონება არაერთმა ჩინოვნიკმა ჩაიგდო ხელში.***

— კი, მაგრამ ისინი პოლიტიკაში არ მოდიან. აი ამას ჰქვია სწორედ ის, რასაც სააკაშვილი დეპუტატ ჩახვაძეს რომ ეკითხებოდა: კორუფცია სად არისო. აი კორუფცია სად არის — ერთ ლარად აგარაკის მიცემა. ზოგს მიწები აქვს მიცემული, ზოგს აგარაკი, აი ეს არის კორუფცია, თანაც ლეგალური კორუფცია. ბურჯანაძე თუ აპირებდა აქტიურ პოლიტიკაში ყოფნას და ის არც ისე გაჭირვებული ოჯახიდანაა, მას ერთ ლარიანი აგარაკი ნამდვილად არ უნდა აეღო. ამას ემატება ე.წ. რუსეთის ფაქტორი. ბურჯანაძე რომ მოსკოვში აქტიურად დადის, ეს ყველამ ვიცით. მის მიმართ რუსეთის ხელმძღვანელობას გარკვეული სიმპათიებიც აქვთ. იმავდროულად ჩვენ ვიცით ეროსი კიწმარიშვილის ელჩობა რუსეთში და ვხედავთ, რომ არც ქართული პარტიაა შორს რუსეთისგან. კითხვას დავუსვამ ჩვენს მკითხველს: თუ სახალხო კრებაც მოსკოვის პროექტია და თუ ქართული პარტიაც რუსული პროექტია, ამ ორმა პოლიტიკურმა მოძრაობამ ერთმანეთს ხომ ხელი შეუშალა. იმის ნაცვლად რომ გაძლიერებულიყვნენ, ერთმანეთს ლანძღავდნენ და ძირავდნენ, ხოლოდ ამ აქციებზე პრაქტიკულად გამოიკვეთა სწორედ ეს. რა გამოვიდა: მოსკოვის ორმა პროექტმა გააძლიერა სააკაშვილი. გამოდის, თურმე არსებულა მესამე პროექტიც. ეს ორი ურთიერთდაპირისპირებული პროექტი იმისთვის შეიქმნა, რომ ერთმანეთისთვის ხელი შეეშალათ. თუ ვაღიარებთ, რომ ქართული პარტიაც და სახალხო კრებაც, ორივე მოსკოვის პროექტი იყო, მაშინ ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ მესამეც მოსკოვის პროექტია და ის არის მთავარი პროექტი. საჭირო იყო საქართველოში ორი ე.წ. რევოლუციური პოლუსის შექმნა — ერთი, სადაც იქნებოდა ბურჯანაძე, მეორე — სადაც იქნებოდნენ ოქრუაშვილი-გაჩეჩილაძე. იქნებოდა მათ შორის მწვავე დაპირისპირება. შემდეგ იქნებოდა ერთის მიერ აქციის დაწყება, მეორის მიერ აქციის დაანონსება, მერე გვერდზე გადგომა. გაიხსენეთ სუბარის განცხადება, რომელიც სუბარმა კიწმარიშვილთან ერთად გააკეთა, რომ ვერაფრით ვერ შეთანხმდნენ ბოლო ეტაპზე, რა უნდა გაეკეთებინათ. ამიტომ „მრისხანების“ დღეზე უარი თქვეს. ამით ამ ძალებმა პრაქტიკულად ერთმანეთი ჩაძირეს. ეს ჩაძირვა კი სააკაშვილის რეჟიმის გაძლიერებას უწყობს ხელს. კიდევ ერთი რამ: ის განცხადება, რომელიც გააკეთა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომლითაც ღიად დაუჭირა მხარი ბურჯანაძეს და ქუჩაში გამოსულ მის მხარდამჭერებს, ესაც ხომ პრაქტიკულად იმას ნიშნავდა, ეს ძალა ჩემიაო. რა გამოვიდა? მისმა ამ ორმა ძალამ ერთმანეთი ჩაძირა, რისთვის? საქართველოს უკეთესი დღისთვის? რა თქმა უნდა, არა, იმიტომ, რომ ამ ჩაძირვით ისევ სააკაშვილმა გაიმარჯვა. ამიტომ თუ ჩვენ ვაღიარებთ იმას, რომ ბურჯანაძის პროექტიც და ოქრუაშვილ-გაჩეჩილაძის პრექტიც არის რუსული პროექტი, მაშინ ჩვენ ლოგიკურად უნდა ვაღიაროთ მესამე პროექტის არსებობაც, რომელიც არის უკვე სააკაშვილის პროექტი და თურმე ეს ყოფილა რუსეთის მთავარი პროექტი და რომელიც მისთვის ყოველთვის მთავარი იყო. გავიხსენოთ 2003 წლის რევოლუცია. ვინ შეხვდა შევარდნაძეს, როცა მან მიიღო გადაწყვეტილება და გადადგა. ჩამოსული იყო იგორ ივანოვი. გავიხსენოთ 2004 წლის აჭარის რევოლუცია. ვინ წაიყვანა აჭარიდან ასლან აბაშიძე — ისევ იგორ ივანოვმა. ეს ფსევდორევოლუციაც პრორუსულმა პარტიებმა ააგორეს, ერთმანეთი ჩაძირეს და სააკაშვილს გაუხსნეს გზა, რომ არც პოლიტიკურ „რვიანს“ დაელაპარაკოს საარჩევნო ცვლილებებზე და პრემიერის პოსტისკენ სააკაშვილი მარშით წავიდეს.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ უპრობლემოდ დაიკავებს სააკაშვილი პრემიერის პოსტს?***

— უკრაინის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში სააკაშვილმა პრაქტიკულად დაადაასტურა ეს. ჟურნალისტების შეფასებები კი ამ კუთხით იყო, თითქოს არ უნდოდა მას პრემიერობა. სააკაშვილმა ბრძანა, ის მოდელი, რაც კონსტიტუციას დღეს აქვს, მას აძლევს საშუალებას, რომ ჰქონდეს პოლიტიკური მომავალი, ხოლო პოლიტიკური მომავალი საჭიროა იმისთვის, რეფორმები, რომლებიც არის ძალიან ბევრ შემთხვევაში ქვეყნის, როგორც ასეთის ნგრევა, მან მიიყვანოს ბოლომდე. ამ რეფორმების განხორციელებას თუ 2013 წლამდე ვერ მიაღწევს, მერე გამოიყენებს კონსტიტუციურ შესაძლებლობას გახდეს ისევ პირველი პირი, ოღონდ პრემიერის სავარძელში.

# არეულობა სააკაშვილს გააძლიერებს

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ექსპერტ-კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან

***— ბატონო პაატა, ალბათ თქვენც თვალს ადევნებთ სახალხო კრების აქციებს, როგორც ექსპერტი, როგორია თქვენი შეფასებები?***

— საინტერესო პროცესები მიდის, მე კმაყოფილი ვარ. უკეთესი პროცესებია, ვიდრე უარესი. იმიტომ, რომ მიმდინარეობს კრისტალიზაცია, იკვეთება სხვადასხვა პოლიტიკური ძალები, ხდება სხვადასხვა პოლიტიკური ცენტრები და ეს ცუდი არ არის იმ პასუხისმგებელი მოქალაქისათვის, ვისაც უნდა, რომ გაერკვიოს, სად რა ხდება და ვის როგორი ხმა უნდა მისცეს და როდის უნდა მისცეს ხმა. მე მგონი, რომ ძალიან კარგი პროცესები მიმდინარეობს. მე ამით კმაყოფილი ვარ.

***— თქვენ როგორ ფიქრობთ, არ იყო საზოგადოება მზად მასობრივად ქუჩაში გამოსვლისთვის?***

— რაც ჩანდა ადრე, ზუსტად ის გამოჩნდა ახლაც. ახალი არაფერი არ იყო. არც საზოგადოება არ იყო მზად და ამაზე ვლაპარაკობდი მგონი ყველაზე მეტად თქვენი გაზეთის ფურცლებიდან, რომ საზოგადოება მზად არ იყო და ის, ვინც გეგმავდა გამოსვლებს, ელემენტარულად ვერ გრძნობდნენ საზოგადოების აზრს და განწყობას. საზოგადოება რომ ამისთვის მზად არ იყო, ეს ბუნებრივია.

***— რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილის ნაბიჯებს და განცხადებებს, თქვენ როგორ გაიგეთ ეს ყველაფერი?***

— ეს არის პრობლემა არა ოქრუაშვილის, არამედ ადამიანის, რომელიც ცხოვრობს საზღვარგარეთ და რაც არ უნდა კარგად იყოს გამართული ინტერნეტი, ჩართული იყოს პროცესებში, ურეკავდნენ და ასე შემდეგ, მაინც დამოკიდებულია არა საკუთარ აღქმაზე, არამედ სხვების აღქმაზე. ოქრუაშვილს დაემართა ზუსტად ის, რაც დაემართა მაშინ, როდესაც პირველი პარტია შექმნა, რომელიც შემდეგ დაშალა და დაითხოვა ის ხალხი, ვინც მასთან იყო. ახლაც ასე მოუვიდა. მას არასწორ ინფორმაციას აწვდიან საქართველოდან მისი თანაპარტიელები. როგორც ჩანს, ის სერიოზულ ფულს იხდის, რათა პარტიამ იარსებოს და მერე მან რევანში აიღოს სააკაშვილზე. როგორც ჩანს, ეს ადამიანი პირველ რიგში მაინც რევანშისტული განწყობით არის გამსჭვალული, ისე როგორც ნინო ბურჯანაძე და ნოღაიდელი, ანუ ხელისუფლებიდან წამოსული ადამიანები, ვინც დაკარგეს ხელისუფლება. ამ ფონზე ვიღაცები, ვინც მის ფულს ხარჯავენ, ხომ უნდა გაამართლონ ეს დანახარჯი, რომ ეფექტურად იხარჯება, კარგად იხარჯება; ამიტომ უქმნიდნენ შედარებით გაუმჯობესებულ სიტუაციას, აწვდიდნენ უკეთეს ინფორმაციას, ვიდრე სინამდვილეში იყო და ეს პატარ-პატარა გაუმჯობესებული სიტუაციები თანდათან გროვდებოდა სერიოზული წარმატების საწინდრად და მან დაიჯერა ეს წარმატება და დაიჯერა, რომ მის ჩამოსვლას აზრი ექნებოდა საქართველოში. ბოლო მომენტში ხვდება, რომ ყველაფერი კატასტროფა არის, მას აქ არავინ არ ელოდება, მისი ჩამოსვლა იქნება უკეთეს შემთხვევაში შეუმჩნეველი და უარეს შემთხვევაში სკანდალური, დამთავრდება მისი ციხეში წასვლით და მეტი არაფრით. 200 კაცზე მეტი არ გამოვა მის დასაცავად. ის უკვე გრძნობს ამას და ბოლო მომენტში უკან დაიხია, მიხვდა რა, რომ მის ჩამოსვლას აზრი არა აქვს. ასე რომ, მისი ქცევა იყო აბსოლუტურად ბუნებრივი იმ ადამიანისთვის, ვისთვისაც პირად კეთილდღეობას მნიშვნელობა აქვს.

***— თუმცა პარტიისთვის რეიტინგის თვალსაზრისით ეს საკმაოდ ცუდი ნაბიჯი იყო...***

— რა თქმა უნდა. ალბათ, ესენიც გააკეთებენ ორგანიზაციულ დასკვნებს. მე, მაგალითად, მივესალმებოდი და ახლაც მივესალმები ქართული პარტიის არსებობას იმ სახით, როგორიც ახლა არის. ის პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც ცალ-ცალკე იყვნენ და არ იყვნენ პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებულები, ის ფიგურები, როგორებიც არიან ძმები გაჩეჩილაძეები, სოზარ სუბარი, კოკა გუნცაძე, იგივე ოქრუაშვილი, კიწმარიშვილი, ესენი გაერთიანდნენ და ეს კარგი იყო. მე ნამდვილად არ მივესალმები და ნამდვილად გული დამწყდება თუ ეს პოლიტიკური პარტია დაიშალა ან ვილაცეები წამოვიდნენ, უმჯობესი იქნება ისინი ერთად იყვნენ.

***— თუმცა უკვე მოვისმინე კულუარული ინფორმაციები, რომ ძმები გაჩეჩილაძეები და კოკა გუნცაძე შესაძლოა წამოვიდნენ ქართული პარტიიდან, მათ შორის განხეთქილებას საზოგადოებაც გრძნობს...***

— გარდა ჭორებისა, ეს ისედაც აშკარად იგრძნობა, ეს მათ ქცევებში ჩანს. მაგალითად, სოზარ სუბარი და ეროსი კიწმარიშვილი არ მიდიან მიტინგებზე, ძმები გაჩეჩილაძეები და გუნცაძე მიდიან. გუნცაძე არ მიდიოდა ქართული პარტიის აქციაზე ბათუმში და კახეთში და მივიდა სახალხო კრების აქციაზე. მათ ქცევებში აშკარად ჩანს, რომ რაღაც პრობლემები არსებობს. თუმცა ხაზს ვუსვამ, არ მინდა, რომ ეს პრობლემები არსებობდეს და ნამდვილად არ გამიხარდება მათ შორის დაძაბულობა და განხეთქილება. მე მირჩევნია, რომ ესენი იყვნენ ერთად და ბოლომდე გაიტანონ თავიანთი ლელო და ბოლომდე თქვან თავიანთი სათქმელი.

***— თქვენ განაცხადეთ, რომ ოქრუაშვილი არ იმყოფება საქართველოში და ეს ყველაფერი ამით არის განპირობებულიო, როდესაც ანალოგიური მარცხი განიცადა წინა პარტიაში, ალბათ უნდა დაფიქრებულიყვნენ, სანამ ახალ პარტიას შექმნიდა...***

— გეთანხმებით, მაგრამ ეს მისი ფული და მისი პრობლემებია, თუ მას ასე თამამად შეუძლია ფული ხარჯოს, რატომ არ უნდა იხეირონ სხვებმა.

***— რა შედეგებს ელით ამ პროცესების შემდეგ, რით დამთავრდება ეს ყველაფერი? ითქვა, რომ საზოგადოებაში კიდევ უფრო გაძლიერდება ნიჰილიზმი და უიმედობაო...***

— მე იმედი მაქვს, რომ ეს არ მოხდება. იმედი მაქვს, რომ საზოგადოებაში კიდევ უფრო გამყარდება პოზიციები, რომ არჩევნებია მაინც უპირატესი. რევოლუცია არ უნდა გამოირიცხოს, ოღონდ მას შემდეგ, რაც ყველა რესურსი ამოწურული იქნება. სააკაშვილს, რა თქმა უნდა, დარჩენა უნდა, მაგრამ სამართლებრივად და პოლიტიკურად ის წამსვლელია. შესაბამისად, აშკარად მოსალოდნელია მის გუნდში რყევები, ახლა არა, მაგრამ არჩევნების წინ. ამიტომ ჩვენ გონივრულობა უნდა მოვიკრიბოთ და უნდა მივხვდეთ, რომ შიგნით მოსალოდნელი და დასაშვები რყევები უნდა გამოვიყენოთ, რათა ქართულ საზოგადოებას და სახელმწიფოებრიობას ვარგოთ ეს ყველაფერი. ანუ მომავალი არჩევნები, 2012 და 2013 წლის, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსათვის. როგორც იყო 2003 წლის, როცა შევარდნაძე წამსვლელი იყო და დამრჩენი იყო მისი გუნდი. გაყალბებამ კი გამოიწვია მისი გუნდის წასვლაც შევარდნაძესთან ერთად. სააკაშვილი წამსვლელია, მაგრამ



დამრჩენია მისი გუნდი. კეთილი უნდა ვინებოთ და სააკაშვილს გავაყოლოთ მისი გუნდი. ამიტომ არჩევნები არის ამისი ყველაზე უფრო ეფექტური საშუალება. ეს არ არის იდეალური საშუალება, მე არა ვარ დარწმუნებული, რომ ყველაფერი იდეალურად იქნება, მაგრამ შანსები აქ უფრო მეტია, ვიდრე რევოლუციაში. სააკაშვილი თუ შეეცდება ისევე გააყალბოს არჩევნები, როგორც ეს შევარდნაძემ და აბაშიძემ გააყალბეს, მაშინ რევოლუციას მეტი არგუმენტები აქვს. ხალხის პროტესტს უფრო მეტი არგუმენტები აქვს და მეც კი გამიჭირდება, რომ გავამართლო, თუმცა მე არასდროს არა ვარ მომხრე რევოლუციების. დღეს თამამად მაქვს არგუმენტები, თუ რატომ არ შეიძლება რევოლუცია, მაგრამ მერე ეს აღარ იქნება თამამი არგუმენტები. შემდეგ უფრო იოლი იქნება სააკაშვილის ჩამოგდება ყველა გზით, რასაც ის დაიმსახურებს თავისი ქმედებით.

***— რაც შეეხება სახალხო კრებას და ნინო ბურჯანაძეს, კეთდება შეფასებები, რომ ბურჯანაძემ სერიოზული მარცხი განიცადა და ამით დამთავრდება მისი პოლიტიკური კარიერაო. თქვენ რამდენად ფიქრობთ ასე?***

— ჩერჩილს აქვს ძალიან კარგი ფრაზა — ომსა და პოლიტიკას ერთი საერთო აქვსო, ერთნაირად აზარტულია და ერთნაირად გითრევს აზარტშიო. დიდი განსხვავება ის არის, რომ ომში კლავენ მხოლოდ ერთხელ და პოლიტიკაში რამდენჯერმეო. ომში ერთხელ კვდები, ხოლო პოლიტიკაში რამდენჯერმეო. ბურჯანაძე არაერთხელ მომკვდარა პოლიტიკურ ომში, მაგრამ როგორც ჩანს, მეომარი ქალია, ფეხზე დგას და გამორიცხული არაა ამ მარცხიდან გაკვეთილი გამოიტანოს და ფეხზე დადგეს ისევ. პოლიტიკა ამის საშუალებას აძლევს პოლიტიკოსებს, რომ მათ თავისი მარცხიდან გამოიტანონ დასკვნა და უფრო მეტი ყურადღებით შეუდგნენ საქმიანობას. ქართული პარტიისა არ იყოს, მე მათაც მინდა ვუსურვო წარმატება. საზოგადოების ნაწილში ის პოპულარულია და მე ნამდვილად არ ვისურვებდი ნინო ბურჯანაძის პოლიტიკიდან წასვლას. თუმცა დღეს გარკვეულ წარუმატებლობას ადგილი აქვს, მაგრამ ეს პირადად მისი პრობლემაა, მან კარგად ვერ იგრძნო საზოგადოების განწყობა.

***— ფიქრობთ, რომ ამით მიწყნარდება სიტუაცია შემოდგომამდე?***

— მე იმედი მაქვს, რომ მიწყნარდება შემოდგომამდე და ჯობია არც შემოდგომაზე გართულდეს და მთელი ყურადღება გადავიტანოთ არჩევნებზე. სააკაშვილს აწყობს სერიოზული არეულობა, რომ ამ არეულობაში ჩართოს რაც შეიძლება დიდი სპექტრი ოპოზიციური პარტიებისა. ყველაზე დიდი მარცხი დღეს იწვნია სააკაშვილმა, იმიტომ, რომ მან ვერ მოახერხა ერთ ქვაბში მოეხარშა ყველა ოპოზიციური პარტია. ყველაზე დიდი წარმატება მიიღო რვიანმა, რომელმაც გამოიჩინა სიმტკიცე, პრინციპულობა და არ აყვა ცდუნებას, ჩართულიყო ბურჯანაძის მიერ წამოწყებულ საქმიანობაში. არ დაიჯერა ალიანსისა, რომელიც ვითომდა გამოიკვეთა ქართულ პარტიასა და ბურჯანაძეს შორის და პრინციპულად არ გადაუხვია ხაზს.

***— თუმცა რვიანსაც ვადა აქვს მიცემული ხელისუფლებისთვის მაისის ბოლომდე...***

— ეს ვადა არის პროცესის ნაწილი. თუ ხელისუფლება არ ასრულებს ამ ვადას, ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი თავდება. რა გზაც არ უნდა აირჩიოს რვიანმა, ამ გზის ბოლოში არის არჩევნები, ეს მკაფიოდ უნდა ჩანდეს. იცით რა, არჩევნებს ალტერნატივა არ გააჩნია.

***— დღეს აღლუმია დაგეგმილი, ხომ არ არის იმის შანსი, რომ ვითარება დაიძაბოს?***

— გამორიცხული არაფერი არ არის, მაგრამ რას აძლევს იმ ხალხს აღლუმის ჩაშლა? ვთქვათ ჩაიშალა, მერე რა მიიღეს ამითი?! გარდა მორალური კმაყოფილებისა. რა იცვლება ამით, რას მივაღწევთ, გარდა იმისა, რომ დაძაბულობა შემოაქვთ და სააკაშვილს ვაძლევთ საშუალებას არაკონსტრუქციული ოპოზიცია გამოიყენოს თავისი პოზიციების გასამყარებლად. მაინტერესებს, რა შედეგზეა გათვლილი ეს! მე ასევე დიდი წინააღმდეგი ვიყავი, რომ იპოდრომიდან ხალხი დაგვეძრა და ინაუგურაცია ჩაგვეშალა. ამით რას მივაღწევდით?! ეს დაახლოებით იგივეა, რომ ჯვარდაწერილ წყვილს ჩაუშალო ქორწილის სუფრა. ოჯახი უკვე შექმნილია და ვიღაცა მივიდეს და ქორწილი აურიოს, ეს იქნება არეული ქორწილი, მაგრამ ოჯახი ხომ არსებობს უკვე. რატომ გაეჩხირა ვიღაცას ყელში ეს აღლუმი, რა, სააკაშვილი ამაზე უარეს არაფერს აშავებს?! ბიუჯეტს სწორად ხარჯავს? სხვა რა მიმართულებებით იქცევა კარგად, რომ მაინცდამაინც აღლუმის ჩაშლა გვინდა!

***— მას არა აქვს მორალური უფლება აგვისტოს ომის შემდეგო...***

— კი ბატონო, მაგრამ ამის გადაწყვეტილება საზოგადოებამ უნდა მიიღოს არჩევნებზე. არჩევნებზე წყდება ასეთი რაღაცეები. აღლუმის ჩაშლით, პირიქით, აძლიერებ სააკაშვილის მომხრეებს. შეგაქვს ისეთი განწყობა, რომ ამ საცოდავებს სხვა არაფერი შეუძლიათ აღლუმის ჩაშლის გარდა. გეთანხმებით, სააკაშვილს არავითარი მორალური უფლება არა აქვს ჩაატაროს აღლუმი. აღლუმი არ უნდა ტარდებოდეს, მაგრამ ტარდება იმიტომ, რომ მას უნდა თავი მოიწონოს. ამას აჯობებს, სრული იგნორირება გავუკეთოთ აღლუმს, არ ვუყუროთ, არ მივიდეთ. რას გახდება ეს ორასი კაცი? დაუშენენ მათ რეზინის ტყვიებს, დაასისხლიანებენ და ამით რა?! თორემ, კი ბატონო, რა შედეგს მივიღებთ? პოლიტიკოსი ფასდება შედეგებით და არა მარტო პროცესით. საზოგადოებამ უნდა ისწავლოს განსხვავება, რა შედეგზეა გათვლილი ესა თუ ის მოქმედება, ამით ვასუსტებთ სააკაშვილს თუ პირიქით ვაძლიერებთ. აღლუმი რომ არ ჩაიშლება, ფაქტია. ხალხი დასისხლიანდება, ხალხი დაზარალდება, მათი ჯანმრთელობა შესუსტდება, სააკაშვილი კი გაძლიერდება. ეს მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების სასარგებლოდ იმუშავებს.

## მომავალი წლიდან წყალტუბო საერთაშორისო კურორტი გახდება

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მომავალი წლიდან წყალტუბო საერთაშორისო კურორტი გახდება.მან ეს განცხადება წყალტუბოში ყოფნისას გააკეთა, სადაც პრომეთეს მღვიმე გახსნა და ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო კომპლექსი „სპა რეზორტი“ დაათვალიერა.

აღნიშნული სასტუმრო კომპლექსი სწორედ წყალტუბოსა და „პრომეთეს“ დასათვალიერებლად წასულ სტუმრებს მოემსახურება.

მისი თქმით, იგი ცოტა ხნის წინათ მარაკეშში იმყოფებოდა, რომელიც საერთაშორისო დონის კურორტად მიიჩნევა.

— მარაკეში და წყალტუბო რელიეფით, სიმწვანითა და კლიმატით ერთმანეთს ჰგავს. თუმცა აქ მეტი სიმწვანეა და მარაკეშისგან განსხვავებით, წარმოაუდგენლად დიდი ისტორიული და მნიშვნელოვანი მინერალური წყლები და ტალახის აბაზანებია. ამ საგანძურს წლების განმავლობაში ვერ ვიყენებდით, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, წყალტუბოს აღნიშნული სასტუმროს გალამაზებაზე ევროპიდან მოწვეული მებაღეები და გამწვანების სპეციალისტები იზრუნებენ.

ამასთან, ბუნებრივ მდგომარეობას საქართველოს სხვა კურორტებიოც დაიბრუნებენ, რაც ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

**მედიანიუსი**

## სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე კონტროლი გაძლიერებულია

სასაზღვრო — გამშვებ პუნქტებზე კონტროლი გაძლიერებულია. ლაგოდეხსა და დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში სასაზღვრო გამშვებ პუნქტებს სასაზღვრო და საპატრულო პოლიციის თანამშრომლების გარდა, შსს-ს სპეციალური დანიშნულების რაზმიც იცავს, — აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

სასაზღვრო პოლიციაში სასაზღვრო — გამშვები პუნქტების დაცვის ზომების გაძლიერებასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ.

**მედიანიუსი**

## 6 წლის ბავშვი მენინგოკოქცეემით დაავადდა

ინფექციურ საავადმყოფოში მენინგოკოქცეემიის დიაგნოზით 6 წლის ბავშვი მოათავსეს.

გოგონას მაღალი სიცხე და ტანზე სხვადასხვა ზომისა და სიგრძის სისხლჩაქცევები აღენიშნებოდა.

ექიმების განცხადებით, ამ დროისთვის, ბავშვის მდგომარეობა სტაბილურია.

როგორც „მედიანიუსს“ დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში განუცხადეს, წელს მენინგოკოქცეემის უკვე 13 შემთხვევა დაფიქსირდა. ცენტრის მონაცემებით შარშან მენინგოკოცეემით 15 ადამიანი დაავადდა.

**მედიანიუსი**

## ვისი განკარგულებით უწყობენ პატიმრებს ე.წ. დერეფნებს

პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი, პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი დაინტერესდა, თუ ვისი განკარგულებით უწყობენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრებს ე.წ. დერეფნებს.



როგორც მან ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე, სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშის განხილვისას აღნიშნა, ამ დოკუმენტში მოყვანილი იყო რამდენიმე ფაქტი, თუ როგორ შეჰყავთ ციხეებში სადამსჯელო რაზმები, რომლებიც პატიმრებს „დერეფანს“ უწყობენ და მისი გავლისას სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ.

„თუ გიკითხავთ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ, ქალბატონ ხათუნა კალმახელიძისათვის, ან მაღალჩინოსნებისათვის, ვინ არიან ეს ადამიანები, ვის ექვემდებარებიან და ვის განკარგულებებს ასრულებენ ისინი?“ ჰკითხა გიორგი ტუღუშს გიორგი ცაგარეიშვილმა.

როგორც მის პასუხად სახალხო დამცველმა აღნიშნა, მისი ინფორმაციით, აღნიშნული სპეცრაზმი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ექვემდებარება და შესაბამის გადაწყვეტილებებსაც ეს უკანასკნელი იღებს.

„თუმცა ვერ გეტყვით, რომ ზემოთ აღნიშნული ქმედებების გამო სპეცრაზმიდან ვინმე დასჯილიყოს. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სპეცრაზმის წარმომადგენლებს 31 საყვედური გამოეცხადათ და სამსახურიდან დათხოვნის 1 ფაქტი გამოვლინდა. მაგრამ ეს შიდასტრუქტურული პრობლემების გამო მოხდა და არა ჩემი შენიშვნების გათვალისწინებით“, — აღნიშნა გიორგი ტუღუშმა.

**მედიანიუსი**

# საქართველოში რევოლუცია არ მოხდება

ნონა ცაბა ე



### ინტერვიუ გელა ნიკოლეიშვილთან

***— ბატონო გელა, თქვენც აქტიურად ადევნებთ თვალს იმას, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, აქციებზეც იყავით. როგორი იქნება თქვენი შეფასებები?***

— აქციის წარმატების პერსპექტივა იყო ერთადერთ შემთხვევაში, თუ ის გახდებოდა მასობრივი და ყველა ქვეყანაში, სადაც ის მომხდარა, უკრაინით დაწყებული თუ არაბული ქვეყნებით დამთავრებული, მხოლოდ მასობრიობის შემთხვევაში მიაღწია წარმატებას. იმიტომ, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ სხვა იარაღი, თუნდაც ცეცხლსასროლი იყოს თუ სხვა სახის იარაღი, არაეფექტურია ნებისმიერი სახელმწიფოს პირობებში, იმიტომ, რომ ვერც ერთ პოლიციას და ჯარს ვერ მოერევა რაღაცა ჯგუფი თუნდაც შეიარაღებული, უცხო ძალების დახმარების გარეშე. აქედან გამომდინარე, რადგანაც ვერ მოხერხდა ამ მასობრიობის მიღწევა, თუნდაც ისეთის, როგორიც ორი წლის წინ იყო, როგორიც 2007 წელს იყო. ამიტომ რევოლუციის პერსპექტივა, რისი მიზანიც ჰქონდათ, სულ უფრო და უფრო მიილია. მით უმეტეს იმ განცხადებების შემდეგ, რაც ოქრუაშვილმა გააკეთა.

***— თქვენ როგორ გაიგეთ ქართული პარტიის და ირაკლი ოქრუაშვილის ნაბიჯები და განცხადებები?***

— ეს ან ძალიან დიდი ბლეფი იყო, ან რაღაც სხვა ჰქონდათ ჩაფიქრებული. მიუხედავად იმისა, რომ მე სულ არ მსიამოვნებდა ოქრუაშვილის ასე წინა პლანზე წამოწევა და პერსპექტივაში მისი პირველ პირად მოსვლა, გამომდინარე მისი წარსულიდან, მიუხედავად ამისა, მეც ველოდი, რომ რაღაცა ახალი მოხდებოდა. ზოგი ამას იმედით ელოდა, ზოგი შიშით ელოდა, მაგრამ როგორც ჩანს, მაინც ეს ყველაფერი ბლეფი აღმოჩნდა. რაღაცა ყურით მოთრეული მიზეზი და თითიდან გამოწოვილი მიზეზი, რომ ჩვენ ვერ შევთანხმდით და ამიტომ უარს ვაცხადებთ ჩვენს გეგმებზე, თუ პარტიას თავისი ძალა აქვს, მაშინ სხვის შეთანხმებას არ უნდა უყუროს. ვაცდით და მერე ჩვენ დავიწყებთ, ეს რაღაც ბავშვური თამაშია და ისევ საკუთარ თავზე და საკუთარ თავმოყვარეობაზე მაღლა ვერ დადგნენ და უფრო ოქრუაშვილის მხარე.

***— საუბრობენ ქართულ პარტიაში არსებულ განხეთქილებაზე, რადგან ამ განცხადებების შემდეგ ლევან გაჩეჩილაძე და კოკა გუნცაძე მაინც მივიდნენ სახალხო კრების გუშინდელ აქციაზე...***

— მართალია, რომ მათ გამოაცხადეს, ჩვენს წევრებს არ ვუშლით აქციაზე მისვლას პიროვნულად, მაგრამ პარტიულად არ ვერთვებითო. სიმართლე გითხრათ, ეს ჩემთვის ცოტა გაუგებარია, თუ რას ნიშნავს პიროვნული და პარტიული ჩართვა. პარტია პიროვნებებისაგან შედგება. ის იქ რომ მივა, ის ფიქსირდება როგორც პიროვნება და იქ რომ მიდის, რა, პარტიის წევრი აღარ არის თუ ვერ გავიგე, რა ხდება. მე ეს არ მესმის. მე ვფიქრობ, რომ ბოლოს ჩათვალეს მათაც, რომ უპერსპექტივო იყო, წაგებისთვის განწირული იყო და არ უნდოდათ ამ წაგებაში თავისი წილი დაედოთ.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ქართულ პარტიას მარცხის შეეშინდა?***

— წინასწარ ეს რომ სცოდნოდათ, ასეთ ხმამაღალ განცხადებებს არ გააკეთებდნენ, რაღაცის იმედი ჰქონდათ, მაგრამ საბოლოოდ ეტყობა, რომ გადაავლეს თვალი თავის შესაძლებლობებს, დარწმუნდნენ, რომ პერსპექტივა არ ჰქონდათ და აქედან გამომდინარე, უკან დაიხიეს. მე მგონი, სხვა ახსნა ამას არა აქვს.

***— ბევრმა ჩათვალა, რომ ეს ოქრუაშვილის მორიგი ტყუილი იყო, ცრუ დაპირება და არანაირად არ გეგმავდა თბილისში ჩამოსვლას...***

— მეორე მხრივ, გონიერ ადამიანს უნდა ესმოდეს, ამის გასაგებად სულ არ არის საჭირო დიდი სიბრძნე, რომ ეს ნიშნავს ოქრუაშვილის პოლიტიკურად დამარხვას. საკუთარ თავს თუ იმარხავდა, არ ვიცი, რისი მიღწევა უნდოდა, ორდღიანი აჟიოტაჟი და მერე პოლიტიკურ საფლავში ჩასვლა? მე არა მგონია, რომ ეს წინასწარ გათვლილი ჰქონოდა. ოქრუაშვილი ყოველთვის ცდილობდა, რომ ყურადღების მიმქცევი განცხადებები გაეკეთებინა, ყოველთვის ყოფილიყო ყურადღების ცენტრში, მაგრამ ამის უკან საქმე არ იდგა. ესეც მორიგი ნაბიჯი იყო და მე მგონია, რომ ამით საბოლოოდ თუ არა დიდი ხნით მაინც ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდო თავი. მე ვგულისხმობ იმ ადამიანებს, ვისაც მისი იმედი ჰქონდა, თორემ მე მისი არც იმედი მქონდა და არც მოლოდინი, მაგრამ იყო ხალხი, ვისაც მისი მოლოდინი ჰქონდა. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ოქრუაშვილის გაპრეზიდენტება და გაპირველკაცება საქართველოსთვის ისეთივე საშიში იყო, როგორც სააკაშვილის და ეს რეჟიმი მათ ერთად შექმნეს. სავლე ყოველთვის პავლედ ვერ იქცევა, ეს ისტორიაში ერთხელ მოხდა და ძალიან იშვიათად ხდება. ილუზიები, რომ ახლა გადემოკრატდა ოქრუაშვილი და ის რომ მოვა ხელისფლებაში, ყველაფერი კარგად იქნება, მე ამის ილუზია არ მქონდა, მაგრამ ვისაც ჰქონდა, მე მგონია, რომ ეს ილუზიებიც გაუქრა.

***— ეს ყველაფერი სამომავლოდ ქართული პარტიისთვისაც ცუდი იქნება?***

— რა თქმა უნდა, ცუდია. ამ პარტიამ არა მარტო ოქრუაშვილი, როგორც პოლიტიკოსი დამარხა, არამედ დაიმარხა თვითონ პარტიაც. მე არ ვიცი, როგორ შეიძლება მან თავისი ასე დაცემული რეიტინგი ამოქაჩოს მომავალში. მე ამის პერსპექტივასაც კი ვერ ვხედავ.

***— ხშირად გვესმოდა საუბრები, რომ ქართული პარტია ხელისუფლების თამაშს თამაშობსო და როგორ ფიქრობთ, ამ შემთხვევაში ხელისუფლებასთან ვერ შეთანხმდნენ თუ ნინო ბურჯანაძესთან?***

— საკმაოდ საინტერესოა. როდესაც ამას ამბობდნენ, მე ყოველთვის ვერიდები ხოლმე კატეგორიულ პასუხებს, თუ მყარი არგუმენტები არა მაქვს. მე არ მქონია ამის მყარი არგუმენტები, თუმცა, ეგ აზრები ყოველთვის მესმოდა, რომ ის თამაშობს ხელისუფლების თამაშს. მე დღესაც არ შემიძლია იმის თქმა, რომ ის ხელისუფლების თამაშს თამაშობდა, მაგრამ ფაქტია, რომ თავისი მოქმედებით საბოლოო ჯამში ხელისუფლების წისქვილზე დაასხა წყალი.

***— რაც შეეხება სახალხო კრებას, მოდი, მათი ნაბიჯებიც შევაფასოთ, ყველას ჰქონდა მოლოდინი, რომ გაცილებით მეტ ხალხს გამოიყვანდნენ აქციებზე, თუმცა, მოლოდინი არ გამართლდა. რამ იმუშავა საზოგადოებაზე?***

— მე ვფიქრობ, რომ სახალხო კრების რაიმეში დადანაშაულება აქ არ იქნებოდა სწორი, იმიტომ, რომ მათ მაქსიმალურად სცადეს, რაც შეეძლოთ, არც თავი დაუზოგიათ, არც თავისი მომხრეების ენერგია, დრო და მთელი შესაძლებლობები. მაქსიმალურად ეცადნენ, რომ მასობრივი გაეხადათ ეს აქცია, მაგრამ არ მოხერხდა ეს. უბრალოდ ხალხი არ აღმოჩნდა ამისთვის მზად. არ აღმოჩნდა უბრალოდ იმიტომ, რომ მაინც მთავარი მიზეზი აქ არის იმ შიშის და ტერორის ატმოსფერო, რომელიც ხელისუფლებამ დათესა და რომელსაც ბოლო წლების განმავლობაში გამუდმებით თესავდა. თითქმის 200 კაცია დაპატიმრებული. სამსახურებიდან დათხოვნა, ბიზნესების წართმევა, დაშინება, მანქანების ჩამორთმევა. ათასი საშუალება, მუქარები, დატერორება და ამას როდესაც ხედავენ ადამიანები, ბუნებრივია, მათ ეშინიათ იმ მცირედი რაღაცა შემოსავლის დაკარგვის, რომელიც მათ გააჩნიათ. ასე რომ, ამ კუთხით არის დაშინებული ეს ხალხი, თორემ იმის ილუზია, რომ არიქა, ხელისუფლებას უფრო მეტი მომხრე ჰყავს, ვიდრე ოპოზიციას, ამის თქმა სწორი არ იქნებოდა და არც არის. ნებისმიერი საჯარო შეკრება იქნება, იქნება ტრანსპორტი, ქორწილი თუ ქელეხი, ნაცნობი და უცნობი ადამიანები სადაც საუბრობენ, თქვენ ნახავთ, რომ ათიდან რვა მაინც არის ხელისუფლების მოწინააღმდეგე. დღეს რეალურად ხელისუფლებას 20%-ზე მეტი მხარდამჭერი არ ჰყავს. დანარჩენი 80% არის დაშინებული და დატერორებული.

***— ალბათ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასევე იმედგაცრუებულია ოპოზიციაც...***

— კი, რა თქმა უნდა, ესეც არის. ამ მხრივ იმ ოპოზიციას, რომელიც სახალხო კრებაში შედის ამაში ვერ დაადანაშაულებ, მით უმეტეს, იქ ოპოზიციური პარტია მხოლოდ ბურჯანაძის არის და სხვა ოპოზიციური პარტია არც არის და მხოლოდ საზოგადო მოღვაწეები არიან. მათ მაქსიმალურად დადეს, რაც შეეძლოთ. ახლა როცა თავს ზემოთ ძალა არ არის, კიდევ ვამბობ მე მათ ძალიან ვუთანაგრძნობ და პირიქით, ეს ადამიანები არიან ღირსეული ადამიანები, პატივსაცემი ადამიანები და მათ საკუთარი შესაძლებლობები არ დაიშურეს, რომ მომხდარიყო მასობრივად ქცევა ამ აქციის, მაგრამ საზოგადოება ამისთვის მზად არ აღმოჩნდა იმ მიზეზების გამო, რაც მე გითხარით.

***— თქვენ ადვოკატი ბრძანდებით და ინფორმაციაც მეტი გექნებათ, საუბარია, რომ საკმაოდ ბევრი აქტივისტია დაკავებული...***

— ასიდან ორასი კაცის ფარგლებში არიან დაკავებულები და ეს სულ არ მიკვირს, მათი ნაწილი ადმინისტრაციული წესით არის გასამართლებული, იმისთვის, რომ აქციებისთვის ჩამოეშორებინათ და თანაც დაკავებულია ისეთი ადამიანები, რომლებსაც შეეძლოთ 10-15 ადამიანის მობილიზება და მოყვანა. სწორედ ისეთ ადამიანებს არჩევენ, ვისაც ეს შეუძლიათ და დანარჩენი ის ათი ადამიანი თუ თხუთმეტი, რომელიც შეიძლებოდა მის გვერდით ყოფილიყო, ამით შინდება. ისინი შემთხვევით ხალხს არ აპატიმრებენ, აპატიმრებენ სწორედ ამორჩევით. კარგად შეისწავლიან პიროვნებებს და ამის შემდეგ იჭერენ. იცით თუ როგორი პოლიციური რეჟიმია, თითოეული ადამიანის სუნთქვა და მისწრაფება მათთვის ცნობილი და შესწავლილია და ამის მიხედვით ვის რას მოუწყობენ, ეს უკვე მათი გემოვნების საქმეა და ზოგს რამდენიმე თვით და ზოგს რამდენიმე წლით იცილებენ. ანუ კიდევ უფრო ასუსტებენ ოპოზიციურ სპექტრს და ამით აძლიერებენ ხელისუფლებას. ამ ყველაფერმა სერიოზულად იმუშავა.

***— ფიქრობთ, რომ აღლუმი უპრობლემოდ გაიმართება?***

— შეიძლება პრობლემებით გაიმართოს, მაგრამ ალბათ გაიმართება. როდესაც სამართალდამცავებთან, ჯართან დაპირისპირებაზე არის საქმე მიმდგარი, იქ რამდენიმე ათასი ადამიანი, რა თქმა უნდა, უძლურია. შესაძლოა უკან დაიხიოს ხელისუფლებამ იმ შემთხვევაში, თუ იქ იქნება რამდენიმე ასეულ ათასი ადამიანი და ეს რაოდენობა ვერ გროვდება. მაქსიმუმ შეიძლება ის რაოდენობა შეგროვდეს, რაც პირველ დღეს, 21 მაისს შეგროვდა და ეს ნამდვილად არასაკმარისი იქნება. დღეს უკვე ეს რაოდენობაც საეჭვოა იმ ყველაფრის შემდეგ რაც ოქრუაშვილმა ასეთი მოულოდნელი სვლები განახორციელა.

***— სწორედ ამიტომ ჩნდება კითხვის ნიშნები, რომ ეს ყველაფერი ხომ არ იყო მიზანმიმართულად გაკეთებული...***

— გეთანხმებით, ეს კითხვები ნამდვილად ჩნდება, თუმცა, მე გადაჭრით არ შემიძლია ვამტკიცო, რომ ეს წინასწარ იყო განსაზღვრული. თუმცა, ამას უკვე დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან შედეგი სახეზეა.

***— ხელისუფლება რომ დათმობას არ აპირებს, ესეც ნათელია... ელით პროვოკაციებს?***

— კი მაგრამ, თუ იქნებოდა დიდი მასა, ხელისუფლება უკან დაიხევდა. მე არა მგონია, სიტუაცია გამწვავდეს. თუ ხალხის დიდი რაოდენობა არ გამოვიდა აქციის ორგანიზატორები არ არიან ისეთი უგუნურები, რომ რაღაცა გამწვავებაზე და შეტაკებაზე წავიდნენ. მეორეს მხრივ ხელისუფლებასაც ეყოფოდა გონიერება თუ ასი ათასობით ადამიანი გამოვიდოდა, ალბათ, არც ის წავიდოდა გამწვავებაზე და დაპირისპირებაზე. ალბათ, კრიტიკული მასა ვერ შეიკრება და ალბათ, ორგანიზატორები არ წავლენ გამწვავებაზე.

***— თუ ხალხი არ მივა, წესით, აქციაც უნდა დამთავრდეს დღეს, რადგან ორგანიზატორებს მხოლოდ 25 მაისამდე ჰქონდათ შეტანილი განაცხადი, რა იქნება ამის შემდეგ, რა შედეგებს მივიღებთ საბოლოოდ?***

— ძალიან ცუდს. შედეგი იქნება ის, რომ რამდენიმე ასეული ადამიანი დაკავებული და დაპატიმრებული, ხალხი კიდევ უფრო დაშინებული, იმედი დაკარგული, საზოგადოება კიდევ უფრო ნიჰილიზმში გადავარდნილი და ხელისუფლება უფრო გაძლიერებული და გათავხედებული. რეალურად ალბათ ეს პერსპექტივა იქნება, თუ ეს ყველაფერი დამთავრდა ისე, როგორც დღეს ჩანს. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ამის საფუძველი დღეს ნამდვილად არ ჩანს.

## საქართველო ვენის უძრავი ქონების საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობს

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში უძრავი ქონების საერთაშორისო გამოფენაში გაიხსნა, სადაც 50 ქვეყანას შორის ქართული დელეგაციაც მონაწილეობს.

გამოფენას 4000-ზე მეტი დამთვალიერებელი სტუმრობს. საქართველოს პავილიონში დაინტერესებულ პირებს ინფორმაციას რამდენიმე მსხვილი საინვესტიციო პროექტის შესახებ აწვდიან. მათ შორისაა ანაკლიასა და ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონა, თბილისი და ბათუმი, როგორც ხელსაყრელი ადგილები ახალი სასტუმროების ასაშენებლად, აგრეთვე წყალტუბოსა და მესტიის განვითარების პროექტები. საქართველოს პავილიონის მასპინძელია ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, — აცნობეს „მედიანიუსს“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან.

ვენის უძრავი ქონების გამოფენაში, ტრადიციულად, მონაწილეობენ უმსხვილესი ინვესტორები, რომელთაც სურვილი აქვთ, საკუთარი კაპიტალი უძრავ ქონებაში დააბანდონ. წელს გამოფენას ესწრებიან მსოფლიოს უმსხვილესი უძრავი ქონების სააგენტოების ხელმძღვანელები, არქიტექტორები, დეველოპერები, სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

გამოფენამდე რამდენიმე დღით ადრე საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „ესტეერ გლობალმა“ კვლევა გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, თბილისის სასტუმროების 100 პროცენტი წინასწარ არის დაჯავშნული. გამოკითხვაში მონაწილეობას თბილისის 5 ყველაზე მსხვილი სასტუმროს — „თბილისი მარიოტის“, „ქორთიარდ მარიოტის“,

„რედისონის“, „შერატონისა“ და ჰოლიდეი ინის„ წარმომადგენლები იღებდნენ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ტენდენცია გაგრძელდება, რადგან უცხოეთიდან შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად საშუალოდ 35-37 პროცენტით იზრდება.

დღესდღეობით თბილისში 52 სასტუმრო და დაახლოებით 2400 საწოლი ადგილია. საქართველოს დელეგაციის მთავარი არგუმენტი ვენაში ჩასული ინვესტორებისათვის ის არის, რომ საქართველოში სასტუმროების აშენება სწრაფად მოიტანს შემოსავალს და რომ ეს ყველაზე მზარდი ბიზნესია ქვეყანაში.

**მედიანიუსი**

## საქართველოში მოქმედმა ნავთობკომპანიებმა საწვავი ისევ გააიაფეს

საქართველოში მოქმედმა ნავთობკომპანიებმა საწვავი ისევ გააიაფეს.

კომპანია „ვისოლის“ ბენზინგასამართ სადგურებში სხვა მარკების შემდეგ, იტალიური აპის საწვავიც 5 თეთრით გაიაფდა. კერძოდ, აპი დიზელი 2.35 ლარი ღირს, აპი სუპერი — 2.30 ლარი, აპი პრემიუმი 2.25 ლარი.

სხვა ნავთობკომპანიების ქსელშიც საწვავის ფასები 5 თეთრით შემცირდა. წლის დასაწყისიდან რამდენჯერმე გაძვირების შემდეგ, საწვავი პირველად ორი დღის წინ გაიაფდა.

**ინტერპრესნიუსი**

## ტურნირი საზოგადოებრივი სასამართლოს ორგანიზებით



მცხეთის რაიონული სასამართლოსა და მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების გენერალური დირექტორის გოჩა ქავთარაძისა და მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ვასილ მშვენიერიძის ინიციატივით გაიმართა მოსწავლეთა 2011 წლის ღია ჩემპიონატი კარატეში. ტურნირი საზოგადოებრივი სასამართლოს პროექტის ფარგლებში ჩატარდა და მისი მიზანი იყო, მოსწავლე-ახალგაზრდობის სიახლოვე მართლმსაჯულების წარმომადგენლებთან, ასევე, ჯანსაღი და წესიერი ცხოვრების პროპაგანდა.

ტურნირში მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონის გუნდები, კერძოდ, თბილისის, დუშეთის, გურჯაანის, გურიის და მცხეთის ნაკრები გუნდები - ჯამში 120-მდე მოსწავლე-ახალგაზრდა. გამოვლინდა 15 ჩემპიონი, 15 ვიცე-ჩემპიონი და 15 ბრინჯაოს პრიზიორი - 12 ვაჟი და 3 გოგო.

ტურნირის გამარჯვებული გახდა გურიის ნაკრები, რომელსაც გადაეცა საზოგადოებრივი სასამართლოს თასი.

## დღის კალენდარი



**26 მაისისთვის**

წლის 136-ე დღე,
ახალ წლამდე დარჩა 119 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

აღდგომიდან მე-5 შვიდეული.
ხუთშაბათი

ღირსისა ექვთიმე მთაწმინდელისა, მთარგმნელისა (1028); ღირსა მოწამეთა, ათონის მთაზე ლათინთაგან მოწყვეტილთა (XIII); მოწამეთა: გლიკერია ქალწულისა და მისთანა ლაოდიკესი, დილეგის მცველისა (დაახლ. 177); პავსიკაკოსი, სინადელი ეპისკოპოსისა (606); წმიდათა: გიორგი აღმსარებელისა, მეუღლისა მისისა ირინესი და შვილთა მათთა (IX).

**დაიბადნენ:**

1650 — ჯონ ჩერჩილი, მალბოროს ჰერცოგი, ინგლისის ერთ-ერთი წამყვანი სარდალი, უინსტონ ჩერჩილის წინაპარი. გარდაიცვალა 1722 წელს.

1821 — პაფნუტი ჩებიშევი, რუსი მათემატიკოსი. გარდაიცვალა 1894 წელს.

1822 — ედმონ დე გონკური, ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1894 წელს.

1842 — გიორგი წერეთელი, ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1900 წელს

1939 — მერაბ კოსტავა, ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. გარდაიცვალა 1989 წელს.

1944 — გივი ალხაზიშვილი, პოეტი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი.

**გარდაიცვალნენ:**

1762 — ალექსანდრ ჰოტლიბ ბაუმჰარტენი, გერმანელი ფილოსოფოსი, იდეალისტი, ესთეტიკის ფუძემდებელი.

1926 — სიმონ პეტლიურა, უკრაინელი ნაციონალისტების ლიდერი.

1976 — მარტინ ჰაიდეგერი, გერმანელი ფილოსოფოსი.

**მოვლენები:**

1805 — მილანის საკათედრო ტაძარში ნაპოლეონ I იტალიის მეფედ აკურთხეს.

1868 — ინგლისში უკანასკნელი სახალხო სიკვდილით დასჯა გაიმართა.

1918 — ეროვნულმა საბჭომ საქართველო გამოაცხადა დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად.

1942 — ლონდონში საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის ხელი მოეწერა მოლაპარაკებას გერმანიის წინააღმდეგ.

1991 — საბჭოთა კოსმონავტი მუსა მანაროვი დედამიწაზე დაბრუნდა, მან კოსმოსში 175 დღე-ღამე გაატარა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

საქართველო — დამოუკიდებლობის აღდგენის დღე
უკრაინა — პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა მუშაკების დღე
დანია — კონსტიტუციის დღე
გაიანა — დამოუკიდებლობის დღე
თურქმენეთი — ხალიჩის დღე
ქიმიკოსების დღე

**მედიანიუსი**

## საარჩევნო გარემოზე მარტო ოპოზიციურმა რვიანმა არ უნდა ილაპარაკოს

შორენა გონგლაძე

### ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ლაღიძესთან



***— როგორ აფასებთ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია კიდევ ერთი მარცხისთვის არის განწირული?***

— პრაქტიკულად შემიძლია განვაცხადო, რომ საპროტესტო ტალღამ სრული ფიასკო განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საკმაოდ მაღალია ხელისუფლებით უკმაყოფილო ადამიანთა რიცხვი, ჩვენი საზოგადოება არის ბრძენი და მათ ძალიან კარგად დაინახეს ის, რომ ეს აქციები მართულია კრემლიდან, საზოგადოებას აქვს მაღალი შეგნება და ხალხი ამის გამო არ გამოვიდა ქუჩაში. სხვა შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, გაცილებით მეტი ადამიანი გამოვიდოდა ქუჩაში. როგორც ვვარაუდობდი, ამ აქციებმა განიცადა სრული მარცხი და კიდევ ერთხელ დავინახეთ ამ ოპოზიციის სრული უსუსურობა. სამწუხაროდ, ამით დაზარალდა მთელი ოპოზიციური სპექტრი და ამ აქციის ორგანიზატორებმა სააკაშვილს გაუხანგრძლივეს ხელისუფლებაში ყოფნა. მე არაერთხელ მითქვამს და დღესაც ვაცხადებ, რომ ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში უნდა დამთავრდეს კრემლის აგენტების პარპაში, საჭიროა ახალი სისხლი, ახალი ოპოზიციური ძალები, ვინც სააკაშვილს და მის რეჟიმს გაუწევს კონკურენციას და წინააღმდეგობას, ვინაიდან მათ უამრავი შეცდომა აქვთ დაშვებული. მიმაჩნია, რომ დროა ქვეყანამ უნდა დაივიწყოს რევოლუციების ციკლი და ჩვენ უნდა ვიცოდეთ ერთი რამ, რომ ნორმალურ სახელმწიფოებში რაგინდ ცუდი ხელისუფლებაც არ უნდა ჰყავდეთ, კარგის მომტანი არასდროს არ არის ძალისმიერი მეთოდებით ხელისუფლების შეცვლა. რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილს, ამ ადამიანს საერთოდ არ გააჩნია თავმოყვარეობა და ყველაფერთან ერთად მშიშარაც ყოფილა, პარიზში, ეიფელის კოშკის ფონზე გაკეთებული განცხადებები სულაც არ ასახავს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ რეალობას. ხალხი უკვე ცხოვრობს თარიღიდან თარიღამდე, რომელსაც ოპოზიცია რეგულარულად აანონსებს და შემდეგ მარცხს ერთმანეთს აბრალებენ. როგორც საზოგადოებამ, ასევე მთელმა პოლიტიკურმა სპექტრმა უნდა გაიგოს ერთი რამ, რომ ეს არის მცდარი გზა და ამ გზით ვერ მოხდება საქართველოში ხელისუფლების შეცვლა და ჩვენი საზოგადოება არ არის მზად რევოლუციისთვის.

***— აქციების მარცხის მიზეზი რა იქნება, ის, რომ რევოლუციების ხანა დამთავრდა თუ საზოგადოების ნდობის დაბალი რეიტინგი ოპოზიციის ლიდერების მიმართ?***

— ერთიც და მეორეც, თუმცა, მთავარ მიზეზად მაინც დავასახელებდი იმას, რომ საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის ის, რომ აქციის ორგანიზატორები მართული არიან რუსეთისგან, ყველამ კარგად დაინახა, რომ მათდა სამარცხვინოდ, ტრიბუნაც რუსული დროშის ფერებში აქვთ მორთული, ამ ყველაფრიდან გამომდინარე საზოგადოება ამ ადამიანებს უბრალოდ არ ენდობა. ქართველი საზოგადოება არის ბრძენი, მათ ნათლად გამოგვიგზავნეს მესიჯი, რომ საჭიროა რეალური ოპოზიციური ძალა საქართველოში და არა პირსისხლიანი ოკუპანტი პუტინისგან მართული პოლიტიკური პროცესები. სიმართლე გითხრათ, მე მრცხვენოდა ამ აქციის ორგანიზატორების მაგივრად რასაც ისინი აკეთებდნენ თუნდაც ჟურნალისტებთან მიმართებაში. შესაძლოა ადამიანს არ მოგეწონოს ჟურნალისტის მიერ დასმული კითხვა, გაკეთებული სიუჟეტი, დაწერილი სტატია, მაგრამ არ შეიძლება მას მიაყენო შეურაცყოფა, როდესაც შენ გაქვს პრეტენზია იმისა, რომ მოხვიდე ხელისუფლებაში, მეტი დაფიქრება და კორექტულობა გმართებს. ოპოზიციისათვის ეს უნდა იყოს გაკვეთილი და უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება, რომ შეიცვალოს საარჩევნო კოდექსი და რეაურად ვემზადოთ არჩევნებისთვის.

***— ამ თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე, სიუაციიდან გამოსავალი არის საარჩევნო გარემოს შექმნა და რეალური ლიდერი ოპოზიციის გამოკვეთა, რომელსაც ექნება ხალხის ნდობა, ვინ ჰყავთ ამ შემთხვევაში მხედველობაში?***

— მე არ ვარ იმის მომხრე, რომ ე.წ. დიდი რვიანის ფორმატში გაიმართოს კონსულტაციები საარჩევნო გარემოს შეცვლაზე, აქ მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა პოლიტიკურმა ძალამ, დადგა დრო, რომ პოლიტიკურმა პროცესებმა ქუჩიდან გადაინაცვლოს კაბინეტებში და ყველა იმ პოლიტიკურმა პარტიამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, რომესაც პრეტენზია აქვს არჩევნებში მონაწილეობაზე. დადგა დრო, პოლიტიკურ არენაზე შემოვიდნენ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან საქართველოს მოსახლეობის ინტერესების დაცვაზე.

***— ქვეყანაში, რომლის ისტორიაშიც ფაქტიურად არ არსებობს დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნები, გჯერათ, რომ არჩევნების გზით შეიძლება ხელისუფლების შეცვლა?***

— თუ საზოგადოება იქნება დარაზმული, თუ პოლიტიკური პარტიების მხრიდან იქნება მზადყოფნა, რომ შეცვალოს საარჩევნო გარემო, თუ ჩვენ, ყველანი არჩევნებზე ვიქნებით მობილიზებულნი, მერწმუნეთ, ვერ გაბედავს ხელისუფლება არჩევნების გაყალბებას. თუ ხელისუფლება მიუშვი თავის ნებაზე, მას ყოველთვის წასძლევს ცდუნება, გამოიყენოს ადმინისტრაციული რესურსები და სხვადასხვა გზებით გააყალბოს არჩევნები, მაგრამ ხელისუფლებას ამის საშუალება არ უნდა მივცეთ. დღეს რომ ჩატარდეს არჩევნები, სიმართლე გითხრათ, ხელისუფლებას არც დასჭირდება არჩევნების გაყალბება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დღეს ოპოზიციას არ აქვს რეიტინგი. ამიტომ თუ ჩვენ რეალურად გვინდა ქართველი ხალხის კეთილდღეობა, უამრავი გაჭირვებული ადამიანი არსებობს დღეს საქართველოში, ჩვენ ყველა ნაბიჯი უნდა გადავდგათ ზედმიწევნით.

***— არჩევნების დროს ხელისუფლებას ყოველთვის უდევს პულტზე ხელი, ანუ გაყალბების ყველა მექანიზმს ფლობს, რასაც საკმაოდ ეფექტურად იყენებს, თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ საზოგადოების დარაზმვა, რომ ხელისუფლებას არ მიეცეს არჩევნების გაყალბების საშუალება?***

— ოპოზიციურ პარტიებს ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და მათი აქტიურობაა საჭირო, საჭიროა დამკვირვებლების მობილიზება, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურობაა საჭირო და ასე შემდეგ. თუ ჩვენ ვიქნებით მაღალი პასუხისმგებლობის ქვეშ, მერწმუნეთ, ხელისუფლება ვერ გაბედავს არჩევნების მასობრივად გაყალბებას. არ არის საჭირო ლიდერის გამოკვეთა, ბელადომანია დამთავრდა, უბრალოდ პარტიის ლიდერი უნდა იყოს რეიტინგული და სარგებლობდეს საზოგადოებაში მაღალი რეიტინგით, ამისათვის საჭიროა მუშაობა საზოგადოებასთან, სამწუხაროდ, ამ აქციების შემდეგ ოპოზიციის რეიტინგი კიდევ უფრო დაეცემა, რის გამოც რეალურ ოპოზიციას გაორმაგებული ძალებით მოუწევს მუშაობა.

## *ნონა გაფრინდაშვილი:* არ ვიცი, რომელ „მოლოტოვის კოქტეილზეა“ ლაპარაკი



სახალხო წარმომადგენლობითი კრების აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე ნონა გაფრიდაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დღეს გავრცელებულ ვიდეომასალას გამოეხმაურა.

როგორც გაფრინდაშვილმა „მედიანიუსთან“ საუბარში განაცხადა, ამ კადრებში სახალხო კრების აქტივისტები არ ჩანან და ეს ხელისუფლების მიერ გაყალბებული და შეთითხნილი ვიდეომასლაა.

— ამ საკითხზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო, არც ვიცი. არც ის ვიცი, რომელ „მოლოტოვის კოქტეილზეა“ ლაპარაკი, — განაცხადა გაფრინდაშვილმა.

**მედიანიუსი**

## დემონსტრაციის მონაწილეებმა, შესაძლოა, გადაინაცვლონ თბილისის ნებისმიერ ადგილას

თბილისის მერიამ გუშინ გაავრცელა განცხადება, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ: „მოგეხსენებათ რომ ხვალ არის დამოუკიდებლობის დღე და ტრადიციულად ეს დღე აღინიშნება სხვადასხვა სახის ღონისძიებებით, შესაბამისად, დემონსტრაცია ვერ ჩატარდება თავისუფლების მოედანზე და ვერც რუსთაველის გამზირზე და ასევე ვარდების მოედანზეც. აქედან გამომდინარე დემონტრაციის მონაწილეებმა, შესაძლოა, გადაინაცვლონ თბილისის ნებისმიერ ადგილას მაგალითად ვაკის პარკში, დედა ენის ბაღში ან ვერის ბაღში. აქციის მონაწილეებმა განაცხადი შემოიტანეს მერიაში, რომელშიც ნათლად იყო აღნიშნული, რომ აქციის ჩატარების თარიღია 21 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით“.

**მედიანიუსი**

## „რატომ გაუტყდა ქუთაისელების სიყვარულის ქოთანი“ მიხეილ სააკაშვილს



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერს ნინო ბურჯანაძეს აინტერესებს, „რატომ გაუტყდა ქუთაისელების სიყვარულის ქოთანი“ მიხეილ სააკაშვილს. ეს კითხვა ნინო ბურჯანაძემ პრეზიდენტს პარლამენტის წინ მიმდინარე მიტინგიდან დაუსვა და პარლამენტის შენობის ქუთაისში გადატანის გამო ხელისუფლება გააკრიტიკა.

მისი თქმით, არ არსებობს არც ერთი ქვეყანა, სადაც პარლამენტი დედაქალაქში არ მდებარეობს. ბურჯანაძის განცხადებით, ერთადერთი ასეთი ქვეყანა იყო ჩილე, სადაც მმართველობის ფორმა იყო დიქტატურა.

— მიხეილ სააკაშვილს უნდა პარლამენტი თბილისს გაარიდოს, თორემ ჭირივით ეზიზღება ქუთაისელები. მუდმივად ამბობდა, „ვარდების რევოლუციის“ დროს ორ ავტობუსზე მეტი ვერ ჩამოვიყვანეთ თბილისშიო და არასოდეს მათ დასახმარებლად არაფერი გაუკეთებია, შემთხვევით ბურჯანაძეს, როგორც მაჟორიტარ დეპუტატს რომ არ დაეწერა ქულები, — განაცხადა ბურჯანაძემ.

მისივე მტკიცებით, საქართველოს ბიუჯეტიდან ქუთაისში ახალი პარლამენტის მხოლოდ საძირკვლის გათხრისთვის 50 მლნ ლარია გამოყოფილი. ბურჯანაძემ მიხეილ სააკაშვილი საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვაში დაადანაშაულა და ქუთაისში პარლამენტის მშენებლობის ადგილიც დაიწუნა. მისი თქმით, იმ ადგილზე, სადაც დიდების მემორიალი აფეთქდა, მყარი ნიადაგი არ არის და მშენებლობის დაწყება არ შეიძლება.

ბურჯანაძის მტკიცებით, იქ კიდეც რომ რამე აშენდეს, რამდენიმე წელიწადში დაიბზარება და დაინგრევა.

— ასე იხარჯება 50 მლნ ლარი ბიუჯეტიდან ხიდისთვის, რომელიც სააკაშვილის ფანჯრებიდან ლამაზად უნდა გამოჩნდეს. იხარჯება საბიუჯეტო სახსრები კონცერტებისთვის და მომღერლების ჩამოყვანისთვის, რომელთა ჩამოყვანის უფლებას საკუთარ თავს ვერ აძლევენ გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, პორტუგალიის, ესპანეთის და სხვა ქვეყნების ხელისუფლებები, თუმცა ჩვენი ხელისუფლება მოქმედებს პრინციპით „პური და სანახაობა, — განაცხადა ბურჯანაძემ და დასძინა, რომ ასე საქართველო ცივილიზებული ქვეყნების გვერდით დადგომას ვერ შეძლებს.

**ინტერპრესნიუსი**

# ოქრუაშვილმა ბურჯანაძის განეიტრალება სცადა

ქეთი ხომერიკი

**„არც იმას გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლება ამზადებდეს სცენარს, რომელიც ჩვენ ერთხელ უკვე ვნახეთ. შესაძლებელია, ახლაც, სახელმწიფო გადატრიალების მოტივით გარჩეული ტიპის ჩანაწერები დაამონტაჟონ ფილმად, რადგან ხელისუფლების ფანტაზიები ამაზე შორს ვერ მიდის. ვიმეორებ, გამორიცხული არ არის, რომ ხელისუფლება წერდეს ამ სცენარს და სახალხო კრების ხელმძღვანელები სახელმწიფო გადატრიალების მოტივით დააპატიმრონ", — განაცხადა, საზოგადოებრივი მოძრაობა ჩემი საქართველოს დამფუძნებელმა, ჟურნალისტმა ელისო კილაძემ „ახალ თაობასთან" საუბრისას.**

***— ქალბატონო ელისო, სახალხო კრების მიერ 21 მაისს დაწყებულ აქციებს როგორ აფასებთ, აქციას მხარს ცოტა ადამიანი უჭერდა, ეს რაზე მეტყველებს, თქვენი აზრით, რატომ არ გამოვიდა ხალხი ქუჩაში?***

— ვერ დაგეთანხმებით, რომ აქციას საზოგადოების მცირე რაოდენობა უჭერდა მხარს, რადგან 21 მაისს ხალხის დიდი რაოდენობა იყო აქციაზე მოსული და სიმართლე გითხრათ, ხალხის ამ რაოდენობასაც კი არ ველოდი. 21 მაისს თავისუფლების მოედანი, ფაქტობრივად, სავსე იყო, ანუ, 21 მაისს ბევრი ხალხი აქციაზე, ნამდვილად, მოვიდა.

***— თუმცა, აქციის მეორე დღეს მხარდამჭერთა რიცხვი შემცირდა, რატომ წავიდა ხალხი სახლში?***

— იცით, მე ველოდი გაცილებით უფრო რადიკალურ მოქმედებებს, ვთქვათ, შენობების პიკეტირებას და ა.შ.

***— რადიკალურ მოქმედებებს საზოგადოებაც ელოდა... „სახალხო კრებას" რეალურად კონკრეტული სამოქმედო გეგმა არ ჰქონდა?***

— აქციის ორგანიზატორებს ალბათ ჰქონდათ კიდეც გარკვეული გეგმა, არ ვიცი, მე ამის თაობაზე, რა თქმა უნდა, საქმის კურში არ ვარ, მაგრამ მე მოლოდინი მქონდა იმისა, რომ მათი გეგმის ნაწილი აქტიური მოქმედებები იქნებოდა. მე მაინც ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი წინ არის. თუ შენი ამოცანაა, რომ ხელისუფლებამ აღლუმი ვერ ჩაიბაროს, მაშინ სტრატეგიული ობიექტი გაქვს არა კოსტავას გამზირი, არამედ რუსთაველის გამზირი და როგორც თქვეს, წავლენ კიდეც რუსთაველის გამზირისკენ, დაველოდოთ და ვნახოთ, რას მოიმოქმედებენ.

***— იმიტომ ხომ არ შემოეცალათ მხარდამჭერები, რომ აქტიურ მოქმედებებზე არ გადავიდნენ, საერთოდაც, რამდენად სწორი იყო საზოგადოებრივ მაუწყებელთან, ასე ვთქვათ, დაბანაკება? ითქვა, რომ ხალხის რაოდენობა საკმარისი არ იყო და გეგმა შეცვალესო...***

— საზოგადოებრივ მაუწყებელთან ყოფნა ეტყობა მათი სტრატეგიის გარკვეული ნაწილი იყო, ამის თაობაზე თავად აქციის ორგანიზატორებს უნდა ჰკითხოთ. რამდენადაც მე ვიცი, დაანონსებული იყო შენობების პიკეტირება და აქტიური მოქმედებები, რაიმე ტიპის შევარდნები და სხვა რამ დაანონსებული არ ყოფილა.

***— და სად იყო, რომ აქტიური მოქმედებები? სად დაუშვეს შეცდომა აქციის ორგანიზატორებმა, რა ვერ გათვალეს?***

— მოდით, გეტყვით მათ ადგილას რას გავაკეთებდი. ანტისახელმწიფოებრივ განცხადებას ვაკეთებ, მაგრამ მაინც გეტყვით, თავისუფლების მოედანზე თუ დავრჩებოდი, აუცილებლად შევიდოდი და დავიკავებდი საკრებულოს შენობას, გამოვიყენებდი იმ ცნობილ აივანს, რომელიც 2003 წელს სააკაშვილმა გამოიყენა. სააკაშვილიც შევარდნილი იყო იქ, რადგან 2003 წელს სააკაშვილი პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი იყო, არჩევნების შედეგები არ იყო შეჯამებული ცესკოს მიერ. გამოვაცხადებდი დროებით მთავრობას და ქვეყანაში შევქმნიდი ორხელისუფლებიანობის პრეცედენტს.

***— ალბათ, უმოქმედობის გამო დაიკარგა საპროტესტო მუხტი... ხალხის ნაწილი უკმაყოფილო იყო, მათ ჩვენთან საუბრისას აღნიშნეს, რომ ვერ გაიგეს, რას აპირებდა და რა სურდა რეალურად სახალხო კრებას...***

— მე კიდევ ველოდები რაიმეს, ნათქვამია, რომ ხელისუფლება აღლუმს ვერ ჩაატარებს, რომ სახალხო კრება ადამიანების მობილიზაციას შეძლებს, ვნახოთ, რა მოხდება. აქვე მინდა გითხრათ ორი რამ: პირველი, ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია ის, რასაც სჩადიან ე.წ. ზონდერბრიგადები, ანუ ის, რომ სცემენ, იტაცებენ და გაურკვეველ სიტუაციაში იჭერენ ადამიანებს. მე გუშინ ვიყავი ზვიად ბერაძის სასამართლო პროცესზე, ის გახლავთ ყოფილი პოლიციელი, 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილე და ჩემი ბავშვობის მეგობარი. ის ძალიან უცნაურ ვითარებაში დააკავეს, იმიტომ, რომ ნინო ბურჯანაძის დეიდაშვილი გახლავთ. ის საკუთარ სახლთან დღისით, მზისით დააკავეს, ბრალად იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა ედება. საოცარი რამ მოვისმინე სასამართლო პროცესზე. ადამიანი სასამართლო პროცესზე იყო იმ ტანსაცმელით, რა ტანსაცმლითაც დააკავეს, ანუ მოკლე მკლავიანი მაისურით, რომელიც ჯინსში ჩატანებული ჰქონდა და როგორ გგონიათ, ყოფილი ძალოვანი უცებ რემბო გახდა და ქამარში გაირჭო იარაღი თვითნაკეთი? თანაც აქციების დღეს? ეს ხომ აბსურდია. ეს ადამიანი იყო აქციების აქტიური მონაწილე და პოლიტიკური ნიშნით მოხდა მისი დაკავება. მის გარდა 400 ადამიანია დაკავებული და ნაცემი. ეს არის კატეგორიულად მიუღებელი და როდესაც ადამიანებს უკანონოდ ექცევიან ამაზე ყოველთვის მექნება პროტესტი. ისევე როგორც აუცილებლად მაქვს და მექნება პროტესტი ჟურნლისტებთან დამოკიდებულების გამო. აქციის ორგანიზატორებმა კეთილი უნდა ინებონ და უზრუნველყონ ჟურნალისტების უფლებების დაცვა.

***— ყველამ კარგად იცის, რომ ხელისუფლება ყველაფერზეა წამსვლელი და ადამიანების დაკავება-დარბევებს არც ამ შემთხვევაში, მოერიდებოდა, ეს არ უნდა გაეთვალისწინებინათ აქციის ორგანიზატორებს, რაიმე სახის თავდაცვის მექანიზმი არ უნდა შეემუშავებინათ? ვინ უშველის ახლა ამ დაკავებულ ადამიანებს?***

— ე.ი. ისინი წავიდნენ თავგანწირვაზე, რადგან მე ვიცნობ ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს, მასთან ერთად ბრძოლაში ვიყავი და ის არის ადამიანი, რომელიც უკან არასდროს არაფერზე დაიხევს და რაიმე ტიპის გარიგებებში ხელისუფლებასთან არასოდეს შევა. ის აბსოლუტურად გულწრფელია და მის სურვილში, რომ ყველა ძალისხმევით შეცვალოს ხელისუფლება, მე, რასაკვირველია, ეჭვი არ მეპარება, ისევე როგორც კატეგორიულად გამოვრიცხავ, რომ ნინო ბურჯანაძე რაიმე ტიპის გარიგებაზე წავიდეს სააკაშვილის რეჟიმთან.

***— კრების წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ შეფიცულები დაიცავდნენ ხალხს, თუმცა მათ თავიანთი ერთ-ერთი ხელმძღვანელის, უჩავას დაცვაც კი ვერ შეძლეს, კრება ილუზიებში იყო და ამყოფებდა ხალხს? რატომ ვერ დაიცვეს გია უჩავა შეფიცულებმა?***

— სამწუხაროდ, გია უჩავას 2-თვიანი პატიმრობა უკვე მიუსაჯეს და მას 7-წლიანი ციხე ემუქრება. იცით, ჩემთვის გაუგებარია, რატომ შეცვალა უჩავამ პოზიცია და რატომ მისცა აღიარებითი ჩვენება. შესაძლებელია ის იყო გარკვეული წნეხის და ზეწოლის ქვეშ, დიახ, შეფიცულების ერთ-ერთი მეთაური სწორედ ამ წნეხის ქვეშ აღმოჩნდა და ალბათ, იმიტომაც მოიქცა ასე. მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლება ამზადებდეს სცენარს, რომელიც ჩვენ ერთხელ უკვე ვნახეთ, დიახ, ეს კინო ჩვენ უკვე ვნახეთ. შესაძლებელია, ახლაც, სახელმწიფო გადატრიალების მოტივით გარკვეული ტიპის ჩანაწერები დაამონტაჟონ ფილმად, რადგან მათი ფანტაზიები ამაზე შორს ვერ მიდის. გამორიცხული არ არის, რომ ხელისუფლება მიდიოდეს ამ გზით, წერდეს ამ სცენარს და სახალხო კრების ხელმძღვანელები სახელმწიფო გადატრიალების მოტივით დააპატიმრონ. სამწუხაროდ, საზოგადოება გახლავთ იმდენად დეგრადირებული, რომ პროტესტი არაფერზე არ აქვს და ეს თუ მოხდა, ამაზე ექნება თუ არა პროტესტი, დარწმუნებით ამის თქმა, ნამდვილად, არ შემიძლია. და სხვათა შორის, ის, რომ საზოგადოება გახლავთ ასეთ სიტუაციაში, ამაში ლომის წილი ქართული პარტიის ლიდერს, ლევან გაჩეჩილაძეს მიუძღვის, რომელმაც თავის დროზე ეს მუხტი ადამიანებში არაერთგზის გარიგებით წასვლით ხელისუფლებასთან გააქრო. ახლა კი, ქართულმა პარტიამ თვითონვე გამოაცხადა, რომ 25 მაისს იქნებოდა მრისხანების დღე და ეს მრისხანების დღე გადაიდო, უფრო სწორად, თავადვე გადადეს. ოქრუაშვილმა იმ ადამიანებს, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, რომ ის საქართველოში ჩამოვიდოდა, კიდევ ერთხელ გაუწბილა იმედები.

***— შაშიაშვილმა განაცხადა, რომ ქართულმა პარტიამ ისინი შეცდომაში შეიყვანა, გაფრინდაშვილმა მათ ხელისუფლების თამაშის თამაშში დასდო ბრალი, ბურჯანაძემ კი ოქრუაშვილს მხდალი უწოდა, ანუ ამ ორ ძალას შორის კვლავ დაპირისპირება წავა და საერთოდაც, რა თამაში ითამაშა ქართულმა პარტიამ ამ პროცესში, იყვნენ თუ არა ისინი გულწრფელები და რეალურად აპირებდა თუ არა ოქრუაშვილი საქართველოში ჩამოსვლას?***

— მოდით, დავიწყოთ ცოტა თავიდან. თავის დროზე ოქრუაშვილი გამოვიდა და მძიმე ბრალდებები წაუყენა ხელისუფლებას, ამის შემდგომ ის მიდის მე-7 საპყრობილეში, სადაც ასევე იყვნენ მოთავსებულები და მე ამას ხაზგასმით ვამბობ, მირცხულავა, ბათიაშვილი, ადამიანები, რომლებმაც გაუძლეს იმ პირობებს და არანაირი აღიარებითი ჩვენებები არ მიუციათ. ის კი ორი თუ სამი დღეა ციხეში და აღიარებით ჩვენებას აძლევს, რის შემდეგაც ქართველი საზოგადოება მაინც თანაგრნობით განეწყო მის მიმართ, რადგან ფიქრობდნენ, რომ რაღაც გარკვეული ტიპის ზეწოლები მოხდა. ამ ამბიდან გავიდა ბევრი დრო და ოქრუაშვილს დღემდე არ მოუყოლია და განუცხადებია, რომ მასზე იყო ზეწოლა და მას აშანტაჟებდნენ ოჯახით. თუ ეს იყო ასე, მას ძალიან ბევრი საშუალება ჰქონდა, მათ შორის პარიზშიც, რომ ეს ფაქტი საჯაროდ გამოეთქვა, ეს ერთი. მეორე, ოქრუაშვილს უშვებენ ციხიდან, გაურკვეველი წარმოშობის ადამიანები იხდიან გირაოს — 10 მილიონს, ან არ იხდიან, ჩვენ ეს ზუსტად არ ვიცით, ამის შემდგომ კი მას ამგზავრებენ პარიზში. მე გეკითხებით თქვენ — მილიონობით ადამიანი არის ციხეში, მათ შორის უდანაშაულოებიც და მათ არსად არ უშვებენ, საკუთარ სახლებშიც კი და როგორ დატოვა ირაკლი ოქრუაშვილმა საქართველო? ეს ერთი კითხვა და მეორე — როგორ გაიტანა მან ის ფული საქართველოდან, რომლის თაობაზეც მე ვწერდი? ოქრუაშვილი ამ ფულს 5 საათის განმავლობაში ტვირთავდა თვითმფრინავში 31-ე ქარხნის აეროდრომზე და ვერ მეტყვით, როგორ მოახერხა ეს? და რომ მოახერხა გასაგებია.

***— ანუ ხელისუფლების დახმარებით გაიტანა?***

— ქვეყანაში, სადაც ჩიტიც ვერ გაფრინდება და გამოფრინდება ხელისუფლების დახმარების გარეშე როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ, მან ეს როგორ მოახერხა? ხელისუფლებამ ვერ გაიგო? რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ამის შემდგომ მე მაქვს თუ არა უფლება, რომ ლეგიტიმური ეჭვი მქონდეს იმისა, რომ ირაკლი ოქრუაშვილი მაშინაც ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი იყო და გარკვეული სცენარისთვის ის გაუშვეს საფრანგეთში და ხომ არ იყო ეს გარკვეული სცენარი ის, რაზეც ჩვენ, არაერთგზის გვქონდა ლაპარაკი? ანუ ყალბი მოჩვენებების შექმნა ქართულ საზოგადოებაში, თუმცა მე, დაზუსტებული ინფორმაცია მქონდა და ვთქვი კიდეც, რომ ქართული პარტია შეიქმნა რუსული სპეცსამსახურების, ფეესბეს გენერლების დახმარებით და ოქრუაშვილი იყო ამ პროექტის დიდი ნაწილი.

***— აბა, ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი როგორღა გამოდის?***

— ანუ ეს ნიშნავს იმას, რომ რუსეთი სინამდვილეში სულაც არ ფიქრობს იმას, რომ საქართველოში შეცვალოს ხელისუფლება და რეალურად, რუსეთს აწყობს ის ხელისუფლება, რომელიც ქვეყანაშია და ხელისუფლებაც გარკვეულწილად მანიპულაციას ახდენს ამ თემით. ის რომ, ოქრუაშვილი რუსული სცენარის ნაწილია, ეს ჩემთვის დადასტურებული ფაქტია, რადგან ჩემი წყარო სარწმუნო და კომპეტენტურია.

***— თქვენი აზრით, ოქრუაშვილი აპირებდა საქართველოში ჩამოსვლას, თუ გეგმავდა მაშინ, რაღატომ გადაიფიქრა? თუ მისი განცხადება მუხტის ასაწევად გაკეთდა, ან რაიმე თამაშის ნაწილი იყო?***

— რატომ გადაიფიქრა? პირველი, შეიძლება, რომ ეს იყო ხელისუფლების თამაში. აქ ჩვენ ვარაუდების და ვერსიების გამოთქმა შეგვიძლია მხოლოდ. გოგელიაც აპირებდა ჩამოსვლას ვითომ და განაცხადა კიდეც, რომ აღლუმს ჩვენ ჩავიბარებთო. ესღა აკლია ქართულ საზოგადოებას, რომ ვინმე გოგელიამ ჩაიბაროს აღლუმი. მეორე, ოქრუაშვილი ან ჩამოდიოდა და ან — არა. და ეს იყო, უბრალოდ, პიარის ნაწილი, რომელიც მინდა გითხრათ, რომ მისთვის ცუდად დასრულდა. მესამე, როცა გააკეთეს განცხადება, რომ ის აღარ ჩამოდის შესაძლებელია, რომ ეს იყოს ტაქტიკური სვლა იმისთვის,



რომ ხელისუფლებამ მოადუნოს ყურადღება და ის რაღაცა საშუალებით შემოვიდეს ქვეყანაში. მეოთხე, ეს იყო ცრუ მოლოდინი იმისა და გარკვეულწილად დროის დაკარგვის მიზნით გაკეთდა, ანუ კრების ლიდერებს მან დააკარგინა ორი დღე, როცა დაჰპირდა მათ, რომ რესურსების გაერთიანება მოხდებოდა და ეს რესურსები საერთო ძალით გამოყენებული იქნებოდა 25 მაისს. მე მაშინვე ეჭვის თვალით შევხედე ქართული პარტიის შეერთებას კრებასთან, რადგან ნახეთ, ტაქტიკურად როგორ მოხდა ეს. აქციაზე ჯერ გუნცაძე და გაჩეჩილაძეები, შემდეგ კი ცალკე, კიწმარიშვილი და სუბარი მივიდნენ, ისინი მივიდნენ 20 ადამიანის თანხლებით, 20 ადამიანი რა არის, 20 ადამიანი ჩვენ, ერთი კვირის შექმნილ ორგანიზაციას გვყავს და დავიჯერო, მაგათ მეტი მხარდამჭერი არ ჰყავთ? რატომ არ მოიყვანეს ეგ ადამიანები?

***— დიახ, როგორც ამბობდნენ, 50-ათასიანი არმია ჰყავთ, თუმცა, აქციაზე არ მოიყვანეს... რატომ?***

— დიახ, როგორც ამბობდნენ, 50-ათასიანი არმიის შექმნა დასრულებულია და ეს ხალხი კრებას არ მიახმარეს. და რეალურად, იმ ორ დღეს, რომელიც ამ რევოლუციურ ბრძოლაში მნიშვნელოვანი ორი დღე იყო ყალბი მოლოდინები შეუქმნეს საზოგადოებასაც და კრებასაც და მათ მოახერხეს ის, რომ ეს ორი დღე ამ პროცესს ორგანიზების თვალსაზრისით დააკარგვინეს.

***— და რატომ, კრების ჩაძირვა უნდოდათ?***

— არ არის გამორიცხული, გახსოვთ, ალბათ, ჯერ კიდევ 25 ნოემბერს ოქრუაშვილი რა განცხადებებსაც აკეთებდა. ის ამბობდა, რომ საპნის ბუშტივით გასკდა კრება, მისი ნეგატიური დამოკიდებულება მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩანდა და ის ეპითეტებს არ იშურებდა. ვფიქრობ, რომ კრების ლიდერებს ოქრუაშვილის დაპირებები სერიოზულად არც უნდა მიეღოთ.

***— თუმცა, ქართული პარტია კრებას ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ოქრუაშვილი მათი მისდამი დამოკიდებულების გამო აღარ ჩამოდის...***

— კრების ლიდერებმა, ვფიქრობ, რომ სწორადაც შეიტანეს ეჭვი მის მოქმედებებში. ჯერ ერთი, გასარკვევი იყო, როგორ დაბრუნდებოდა ოქრუაშვილი საქართველოში მაშინ, როცა საზღვრები დაკეტილია და ყველაფერს შინაგან საქმეთა სამინისტრო აკონტროლებს, ბურჯანაძეს ეს შეკითხვები რომ გაუჩნდა, ეს იყო აბსოლუტურად სწორი. ეს ერთი საკითხი და მეორე, რა მეთოდებით აპირებდა ის ბრძოლის გაგრძელებას, უნდა გაერკვიათ. უნდა გაერკვიათ, შემოდიოდა თუ არა, თუნდაც ცხინვალის მხრიდან რუსეთის ტანკზე ამხედრებული და მოდიოდნენ თუ არა ისინი იმიტომ, რომ დაემხოთ ხელისუფლება. ანუ ის გეგმა, რომელიც ჩემ მიერ იქნა გახმოვანებული, რომ მისი ამოცანა და კრემლის გეგმა გახლავთ ის, რომ ის საქართველოში დაბრუნდეს და შეიარაღებული აჯანყების გზით მოახდინოს ხელისუფლების დემონტაჟი, მოხდებოდა და აპირებდა თუ არა ამას. რა თქმა უნდა, ბურჯანაძის ეს შეკითხვები იყო ლეგიტიმური.

***— ქართულმა პარტიამ ბურჯანაძის ეს განცხადება ხომ არ მოიდო მიზეზად?***

— არა, არც ოქრუაშვილი აპირებდა ჩამოსვლას და საერთოდაც, ქართულ პარტიას არც ჰქონდა გეგმაში, რომ კრებას შეერთებოდა და თავისი რესურსით დახმარებოდა. ლოგიკურად მივდივართ იქამდე, რომ ქართულმა პარტიამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა კრების გასანეიტრალებლად. იმიტომ, რომ მათ ორი დღე დააკარგვინეს.

# ბრიუს ჯორჯი ღირსების ორდენს მარტო ძილის წინ მოიხსნის

**ღირსების ორდენით დაჯილდოებული ბრიუს ჯორჯი საქართველოს სრულყოფილი დემოკრატიის შექმნისკენ მოუწოდებს. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს თემთა პალატის ყოფილი წევრი, გაერთიანებული სამეფოს პარლამენტში საქართველოს მეგობართა ჯგუფის ყოფილი თავმჯდომარე ბრიუს ჯორჯი დღეს დავით ბაქრა ემ ღირსების ორდენით დააჯილდოვა. დავით ბაქრა ემ სტუმარი საერთაშორისო არენაზე საქართველოს ინტერესების განსაკუთრებული დაცვის გამო ღირსების ორდენით დააჯილდოვა.**

ნანა მიშელაშვილი

საქართველოს პარლამენტში ბრიუს ჯორჯმა განაცხადა, რომ ქართული დემოკრატია რეგიონის მას-



შტაბით ისედაც წამყვანია, თუმცა საქართველოს მიზანი უფრო მაღალი სტანდარტების დემოკრატია და ამ მხრივ მოწინავე დემოკრატიულ სახელმწიფოებთან გატოლება უნდა იყოს.

მისი თქმით, ის დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის წევრი 36 წლის მანძილზე იყო, საპარლამენტო არჩევნებში კენჭი 9-ჯერ იყარა და არც ერთი მისი პარლამენტის წევრობა რაიმე შედეგების გაყალბებასთან დაკავშირებული არ ყოფილა.ბრიუს ჯორჯის თქმით, საქართველო ნატოსა და ევროკავშირის წევრი გახდება, თუმცა ვითარებას მხოლოდ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, კერძოდ კი რუსეთთან მეზობლობა ართულებს.

ბრიუს ჯორჯმა ასევე აღნიშნა, რომ მას უყვარს საქართველო და მხარს უჭერს, რადგან მან მოახერხა და თავი დაეღწია იმ ტოტალური სისტემისთვის, როგორიც საბჭოთა კავშირია და რომლისგანაც თავის დაღწევა ძალიან რთული იყო.

„დემოკრატიის გზა ძალიან რთულია და საქართველო უნდა იყოს მუდმივად ბრძოლაში ჩართული, რომ გახდეს უფრო სრულყოფილად დემოკრატიული და მოწინავე არა მხოლოდ რეგიონში, სადაც ამ კუთხით ისედაც წამყვანია, არამედ თქვენ უნდა გქონდეთ მიზნად უფრო მაღალი სტანდარტების მიღწევა, რომ გაუტოლდეთ ყველაზე მაღალ დემოკრატიულ ქვეყნებს“, — განაცხადა ბრიუს ჯორჯმა და დასძინა, რომ ის ღირსების ორდენს მხოლოდ ღამე, ძილის წინ მოიხსნის ხოლმე.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის თქმით, დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის ყოფილი წევრი საქართველოს ინტერესებს ყველგან, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში იცავდა და ის საქართველოს მხარდამჭერი იყო, არის და მომავალშიც იქნება.

„საქართველოს მხარს ვუჭერ იმის გამო, რომ მან საბჭოთა ტოტალიტარული სისტემისგან თავის დაღწევა მოახერხა, რაც საკმაოდ რთული იყო“ — განაცხადა ბრიუს ჯორჯმა.გუშინვე პარლამენტის თავმჯდომარე ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის საჯარო ადმინისტრირების და რეგიონული განვითარების კომიტეტის დელეგაციას შეხვდა. დავით ბაქრაძემ სტუმრებს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული, ეკონომიკური და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით განხორციელებული რეფორმები გააცნო. მათ დადებითად შეაფასეს რეფორმების კურსი, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს და აღინიშნა, რომ ამ კუთხით საქართველოს გამოცდილებას ჩეხეთიც გაიზიარებს.

შეხვედრაზე მხარეებმა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და რუსულ-ქართულ ურთიერთობებზეც ისაუბრეს. დელეგაციამ, რომელიც უმრავლესობისა და უმცირესობის წევრებით იყო დაკომპლექტებული, სრული მხადრაჭერა გამოთქვა საქართველოს მიმართ.

# პრეზიდენტმა მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს პრემიები გადასცა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 19 მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს ეროვნული და შოთა რუსთაველის პრემიები გადასცა.



მიხეილ სააკაშვილმა პრემიები მედიცინის დარგში მოღვაწე მეცნიერებს გადასცა. პრემიები მიიღო ასევე საოპერო მომღერალმა ლადო ათანელმა და ფილოლოგმა თამაზ კვაჭანტირაძემ.

პრეზიდენტის განცხადებით, უცხოეთში ბევრი ქართველი წარმატებით მოღვაწეობს მედიცინის სფეროში და მათი საქართველოში დაბრუნება უნდა მოხდეს. სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა თამაზ კვაჭანტირაძეს ტელეპროექტისათვის მოგზაურობა სასიტყვეთში.

**ინტერპრესნიუსი**

# პროცესები ნორმალურ კალაპოტს უნდა დაუბრუნდეს

ოპოზიციის აქციებსა და ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებზე, ასევე იმაზე თუ რამდენად სავარაუდოა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ხელისუფლების მხრიდან სერიოზული კომპრომისი, „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტ **ალექსანდრე თვალჭრელიძეს** ესაუბრა.



***— ბატონო ალექსანდრე, „სახალხო კრების“ დაანონსებული რევოლუცია, პრაქტიკულად, არ შედგა, თავდაცვის ექსმინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა თბილისში ჩამოსვლა გადაიფიქრა, გაურკვეველი რჩება, რა ხდება „ქართულ პარტიაში“. პროცესები ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ განვითარებული პროცესები გარკვეული დასკვნების საშუალებას იძლევა, თქვენ როგორ შეაფასებდით ბოლო 5 დღის მანძილზე განვითარებულ პროცესებს?***

— ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, გამოხატოს თავისი უკმაყოფილება. სრულად ვეთანხმები იმ ქართველ ექსპერტებს, რომელთა აზრითაც “სახალხო კრება“ მოძველებული ტექნოლოგიებით, 90-იანი წლების ფრაზეოლოგიითა და იმ “ძველი ხალხით“ შეეცადა რევოლუციის გაკეთებას, რომლებიც თავის დროზე ხელისუფლებაში იყვნენ და ისევ ხელისუფლებაში დაბრუნება უნდათ. არა მგონია, ამ ხალხს საზოგადოებისგან ძალიან დიდი ნდობის მანდატი ჰქონდეთ. მოვლენებმა, რომელიც 21 მაისს თავისუფლების მოედანზე დაიწყო, შემდეგ საზოგადოებრივი ტელევიზიის წინ გაგრძელდა, ამაში კიდევ უფრო დამარწმუნა. სხვათა მსგავსად, მეც მიმაჩნდა, რომ ქვეყანაში რევოლუციური სიტუაცია არ იყო, არც ახლა არის და რევოლუციის განხორციელების მოლოდინი ილუზორული იყო. ჩემი აზრით, ქუჩის პოლიტიკის დრო ისტორიის კუთვნილებაა.

***— ფაქტია, რომ მცდარი აღმოჩნდა „სახალხო კრების“ სტრატეგია, რომელიც აქციაზე დიდი რაოდენობით ხალხის მისვლაზე იყო გათვლილი. ამას წინათ, ერთმა ქართველმა სოციოლოგმა ასეთი მოსაზრება გამოთქვა — „საზოგადოებაში სუფევს არა უხილავი, არამედ სავსებით კონკრეტული, სტატისტიკურად გაზომვადი შიში“. თქვენი აზრით, ხალხი აქციაზე არა შიშის, არამედ „სახალხო კრების“ ლიდერებისადმი უნდობლობის გამო არ მივიდა?***

— არა მგონია, რომ ქართველი კაცის დაშინება ასე იოლი იყოს. არა მგონია, რომ აქციაზე ხალხის ნაკლებობა საზოგადოებაში არსებულ შიშს უკავშირდებოდეს. მიმაჩნია, რომ ქუჩის აქციების რომანტიკული პერიოდი, რომელზეც შესაძლებელი იყო ლოზუნგის „წადი მიშას“! ძახილი, დასრულდა. ჩემი აზრით, ბევრი თვალსაზრისით ქართული საზოგადოება საგრძნობლად გაიზარდა და უფრო პროგმატული გახდა. ხალხი დაახლოებით ასე მსჯელობს — კარგი, ვთქვათ წავიდა მიშა. ვინ მოდის მის ნაცვლად და როგორ სახელმწიფო პოლიტიკას გვთავაზობს? სამწუხაროდ, საზოგადოებას აქციის ორგანიზატორებისგან ამ კითხვებზე პასუხი არ მოუსმენია. სამწუხაროდ, გარდა ნეგატიური მუხტისა, არც მე მსმენია ამ მნიშვნელოვან საკითხებზე რამე. კარგი ბატონო, ვთქვათ წავიდნენ პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია. ხომ გვაქვს უფლება ვიკითხოთ, ახალი ადმინისტრაცია ძველზე უკეთესი იქნება თუ არა? ამიტომ ვამბობ, მიტინგური პოლიტიკის დრო წასულია და ქვეყანაში პროცესები ცოტა სხვაგვარად უნდა წარიმართოს.

***— რამდენად დამაჯერებელია ხელისუფლების მტკიცება, რომ რადიკალური ოპოზიცია მოსკოვის ანაც კრემლთან დაახლოებული, რუსეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენების ფინანსური მხარდაჭერით მოქმედებს?***

— ასეთ განცხადებებს დამტკიცება სჭირდება. პროპაგანდა გრძნობებზე და არა ანალიზზეა გათვლილი. ჯერჯერობით, მე ამის დამადასტურებელი მტკიცებები არ მინახავს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამგვარი მტკიცებულებები მომავალში გამოჩნდეს, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ხელისუფლება “სახალხო კრებისა““ და “ქართული პარტიის“ კრემლთან კავშირის დამადასტურებელ მასალებს საზოგადოებას არ წარუდგენს.

***— გავრცელებული აზრია, რომ რადიკალური ოპოზიციის დისკრედიტაციის ხარჯზე სააკაშვილის მმართველობა კიდევ უფრო გაძლიერდა. რამდენად საფუძვლიანია მტკიცება იმის შესახებ, რომ რადიკალური ოპოზიციის გარკვეული წრე ხელისუფლების სასარგებლოდ მოქმედებდა?***

— არ ვიცი, ამის ფიქრის არავითარი საფუძველი არა მაქვს. მაგრამ იმასაც ვერ ვხედავ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება გაძლიერდა. ჩემი აზრით, ამ თვალსაზრისით რა სიტუაცია იყო სამი დღის წინ ან თუნდაც ერთი თვის წინ, იგივე სიტუაციაა დღესაც. რადიკალურმა აქციებმა ხელისუფლებას არც არაფერი შემატეს და არც არაფერი დააკლეს.

***— ქართველი ექსპერტი ზურაბ აბაშიძე 21 მაისიდან განვითარებული პროცესების შედეგებს იმ თვალსაზრისით მიიჩნევს გარკვეულწილად რევოლუციად, რომ საზოგადოების ცნობიერებას გათავისებული აქვს ცვლილებების აუცილებლობა, მაგრამ არა რევოლუციური გზით. ეთანხმებით მოვლენათა ამგვარ შეფასებას?***

— აზრი სავსებით სამართლიანი და სალია. რასაკვირველია, მოსახლეობას უნდა ცვლილებები, მაგრამ საზოგადოებას უნდა როგორც ცივილიზებულ ქვეყნაში ცხოვრება, ისე ცივილიზებული მეთოდებით ცვლილებების განხორციელება. საქართველოში პრეზიდენტების ძალისმიერი მეთოდებით გადაყენების პრაქტიკას საბოლოოდ უნდა მოეღოს ბოლო და ხელისუფლების ცვლილება არჩვენების გზით უნდა მოხდეს. ძალიან კარგია, რომ ამ პოზიციას საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა იზიარებს.

***— გამოითქმის აზრი, რომ რადიკალური ოპოზიციის აქტივობის უშედეგოდ დასრულების შემდეგ, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე ხელისუფლება - „რვიანის“ მოლაპარაკებებზე ხელისუფლება პრაქტიკულად არაფერსაც არ დათმობს. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— არა მგონია. მეჩვენება, რომ დათმობები “რვიანის“ სიძლიერის გამო კი არა, ამ საკითხში ჩვენი დასავლელი პარტნიორების, ევროკავშირისა და აშშ-ს მტკიცე პოზიციისა და ხელისუფლებაზე ზეწოლის გამო მოხდება. დარწმუნებული ვარ, ეს ზეწოლა არ შესუსტდება. ჩემი აზრით, ასე თუ ისე, საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებები მეტ-ნაკლებად მაინც იქნება მიღებული.

***— შესაძლოა, ხელისუფლება კოსმეტიკურ ცვლილებებზე კი წავიდეს, მაგრამ ბევრი ეჭვს გამოთქვამს, რომ ხელისუფლება არც იმგვარ დათმობებზე წავა, რომ პარლამენტში არა თუ საკონსტიტუციო უმრავლესობა არამედ, უბრალო უმრავლესობა არ ჰყავდეს...***

— არჩევნებამდე კიდევ დიდი დროა, დარწმუნებული ვარ, რომ ამ ერთ წელიწადში საარჩევნო კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება. მესმის, რომ მოლაპარაკების ვადა ფორმალურად 31 მაისს სრულდება, მაგრამ წინ კიდევ დიდი დროა და საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებულ საკითხებში კომპრომისის მიღწევა შესაძლებელია. მაინც მგონია, რომ ცვლილებები ნელნელა, მაგრამ მაინც განხორციელდება. მეჩვენება, რომ „რვიანის“ მიდგომა, მთავრობაზე დემოკრატიული ზეწოლა, გაცილებით უფრო რაციონალურია, ვიდრე - ქუჩის აქციები. საარჩევნო გარემოს გაუმჯებესებისთვის ხელისუფლებაზე ზეწოლას ჩვენი პარტნიორები ცალსახად უჭერენ მხარს. მოვიდა დროა, რომ ჩვენ ცივილიზებული პოლიტიკის კალაპოტს დავუბრუნდეთ. არსებულ ვითარებაში „რვიანი“ დემოკრატიული საზოგადოების რუპორია. მეჩვენება, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ცვლილებები მაინც მოხდება.

**ინტერპრესნიუსი**

# გრიგოლ ვაშაძემ წმიდა საყდრის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მიიღო

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ მიიღო საქართველოში წმიდა საყდრის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის დუაენი, მონსინიორ კლაუდიო გუჯეროტი. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველო-ვატიკანის ორმხრივი ურთიერთობები და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები.

**მედიანიუსი**



# წიგნის საერთაშორისო ფესტივალი მეცამეტედ გაიმართება

ეკა ირემაშვილი

26 მაისიდან 29 მაისის ჩათვლით თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი უკვე მეცამეტედ გაიმართება. პროექტის ინიციატორი და ორგანიზატორი საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციაა, ხოლო პროექტის მხარდამჭერები — საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და თბილისის მერია.

წიგნის საერთაშორისო ფესტივალი გასულ წლებთან შედარებით კიდევ უფრო მასშტაბური და გრანდიოზულია. ფესტივალი ექსპოჯორჯიაში ჩატარდება, სადაც ახალი გამოცემები, არასტანდარტული სტენდები, საინტერესო პრეზენტაციები და ცნობილი მწერლები იქნებიან ჩართული. 4-დღიანი ფესტივალის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, მწერლები საკუთარი ნაწარმოებებიდან ნაწყვეტებს პირადად წაიკითხავენ და მკითხველისთვის საინტერესო თემაზე ისაუბრებენ.

წიგნის საერთაშორისო ფესტივალის გახსნამდე კი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი მოაწყო გამომცემლებისთვის, მთარგმნელებისა და მწერლებისთვის. ფორუმ დიალოგი კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ გახსნა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის გახსნას წინ უძღვის ამ ტიპის მასშტაბური ღონისძიება. ფორუმ-დიალოგის მიზანი უცხოური ლიტერატურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა საქართველოში და ქართული ლიტერატურის საზღვარგარეთ გატანაა. ფორუმის ფარგლებში გაიმართა როგორც პრეზენტაციები და დისკუსიები საგამომცემლო და ლიტერატურულ სფეროში, ასევე ცნობილი თანამედროვე ქართველი ავტორების მიერ თავიანთი ნაწარმოებების ფრაგმენტების საჯარო კითხვა, რომელთა ნაწარმოებებიც არაერთ უცხოურ ენაზე ითარგმნება. ფორუმში ქართველი გამომცემლების, მწერლების და მთარგმნელების გარდა მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოში ცნობილმა უცხოელმა გამომცემლებმა აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, შვედეთიდან და საფრანგეთიდან. ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, აშშ-ის საელჩოს, გოეთეს ინსტიტუტის, ბრიტანეთის საბჭოს და შვედეთის ინსტიტუტის მხარდაჭერით ჩატარდა. ლიტერატურულ ფორუმსა და დიალოგში მონაწილეობა ბრიტანელმა გამომცემლებმაც მიიღეს. ღონისძიების ორგანიზატორთა სურვილი იყო, მასში მონაწილეობის მისაღებად მიეწვიათ 10 საპატიო უცხოელი გამომცემელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ბრიტანელმა გამომცემლებმა ლიეტრატურული ფორუმისთვის შეარჩიეს თემები „ნათარგმნი ლიტერატურის გამოცემა გაერთიანებულ სამეფოში“ და „ტექსტის ექსპორტი და იმპორტი“. გოეთეს ინსტიტუტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ქართველი და გერმანელი გამომცემლებისა და ავტორებისათვის გაიმართა მსგავსი ფორუმი, რომელიც საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული ქართული წიგნისა და ლიტერატურის წახალისების პროგრამა, სხვა პრიორიტეტებთან ერთად, მიზნად ისახავს როგორც ქართული ლიტერატურის უცხო ენაზე თარგმნის, ისე უცხოურიდან ქართულ ენაზე თარგმნის ხელშეწყობას. ადგილობრივი და უცხოელი გამომცემლებისთვის 2010 წელს ჩატარებული თარგმანების ტენდერი სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. სამინისტროს ხელშეწყობითა და უცხოურ საგამომცემლო სახლებთან თანამშრომლობით უკვე ხორციელდება რამდენიმე საინტერესო პროექტი. 2010 წელს გერმანიაში გამოიცა თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრებული, 2011 წელს აშშ-სა და შვედეთში გამოქვეყნდება თანამედროვე ქართული მოთხრობების კრებული. უცხო ენაზე ნათარგმნი რამდენიმე ქართული ნაწარმოები გამოიცემა იტალიასა და პოლონეთშიც.

საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ლატვიის კულტურის სამინისტროებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი გულისხმობს ამ ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობას კულტურის ყველა სფეროში. დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ და ლატვიის კულტურის მინისტრმა სარმიტ ელერტიმ. ლატვიის კულტურის მინისტრი დაესწრო კულტურის სამინისტროში მიმდინარე ლიტერატურულ ფორუმ-დიალოგს, რომელსაც ქართველი და ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მწერლები, გამომცემლები და ლიტერატორებიც ესწრებოდნენ. როგორც ლატვიის კულტურის მინისტრმა აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო და ლატვია კულტურის სფეროში ასე ვთანამშრომლობთ და ვუფრთხილდებით ერთმანეთის კულტურას, აღმოვაჩინეთ, რომ ეს ოფიციალურად არ იყო გაფორმებული და სწორედ ეს დიდი ხნის მეგობრობა და თანამშრომლობა ოფიციალურად დოკუმენტით დამოწმდა.

ლიტერატურული ფორუმისა და დიალოგის დასრულების შემდეგ კი სტარტს წიგნის მეცამეტე საერთაშორისო ფესტივალი აიღებს, რომელიც მისი ორგანიზატორების განცხადებით, საკმაოდ დატვირთული, პრეზენტაციებით აღსავსე და საინტერესო გამოცემებით დახუნძლული იქნება.

**ნინო გოგინაშვილი, წიგნის ფესტივალის ხელმძღვანელი:**

— თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი 1997 წლიდან ხორციელდება და წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელსაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ათასობით გულშემატკივარი და დამთვალიერებელი ჰყავს. ფესტივალის ქვაკუთხედს წარმოადგენს წიგნის გამოფენა□ბაზრობა, რომელშიც ქართულ გამომცემლობებთან ერთად ფესტივალზე სხვადასხვა წლებში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, ბულგარეთის, თურქეთის, მოლდოვას, რუსეთის, სომხეთის და უკრაინის გამომცემლებიც. ასევე ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნების საელჩოების (საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი და ნიდერლანდები) და კულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები. წიგნის ფესტივალის მნიშვნელობა და პოპულარობა ყოველწლიურად იზრდება. იზრდება მონაწილეთა რაოდენობა და დამთვალიერებელთა რიცხვიც. სულ უფრო მეტი უცხოური გამომცემლობა თუ სხვა ორგანიზაცია გამოხატავს მონაწილეობის სურვილს და ინტერესს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ფესტივალი შესამჩნევად დაიხვეწა, რაც დიდწილად ფესტივალის შინაარსობრივი მხარის დახვეწამ განაპირობა.

*— **როგორი იქნება წლევანდელი წიგნის საერთაშორისო ფესტივალი?***

— წელს თბილისის წიგნის XIII საერთაშორისო ფესტივალი შინაარსობრივთან ერთად ვიზუალური ნაწილის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული, რაც საავტორო სტენდების კულტურის დამკვიდრებას გულისხმობს.

*— **როგორია საფესტივალო პროგრამა?***

— თბილისის წიგნის XIII საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში იგეგმება მრავალი ტიპის აქცია და პრეზენტაცია. წელს, ფესტივალის არსებობის მანძილზე პირველად, აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში გაიმართება არა მხოლოდ წიგნის გამოფენა□ბაზრობა, რომელიც ლოკალიზებული იქნება ქალაქის ერთ ნაწილში, არამედ მოხდება სხვადასხვა სახის გამოფენის, ფორუმის თუ მასტერკლასის გამართვა, რითიც ფესტივალის სადღესასწაულო განწყობა მთლიანად მოიცავს დედაქალაქს. ფესტივალში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა საქართველოში არსებულმა თითქმის ყველა ორგანიზაციამ, აგრეთვე უმაღლესმა სასწავლებლებმა, სკოლებმა და ქვეყანაში მოქმედმა უცხოურმა წარმომადგენლობებმა. აღნიშნული ღონისძიებების სიმრავლიდან გამომდინარე, ფესტივალის ხანგრძლივობა გაიზრდება. ფესტივალის ფარგლებში დამთვალიერებელი გაეცნობა უამრავ სიახლეს თანამედროვე ავტორების, ლიტერატურული მიმართულებების, და საგამომცემლო საქმიანობის შესახებ. 26 მაისს წიგნის საერთაშორისო ფესტივალის გახსნის დღეს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა წარმოადგენს ქართულ-შვედური ერთობლივ პროექტს (შვედურიდან ქართულად თარგმნილი წიგნების პრეზენტაცია), რომელსაც დაესწრება შვედეთის დელეგაცია. ფესტივალის ფარგლებში ლიტერატურის მუზეუმი წარმოადგენს გალაკტიონ ტაბიძის 25-ტომეულისა და ფუნაგორიების კრებულის პრეზენტაციას. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი საბავშვო პროგრამას (საბავშვო სივრცეში) შემოგთავაზებთ. გამომცემლობა „პეგასი“ კი — საბავშვო წიგნის „გლობუსას და ლუკას თავგადასავალი“ და „ფიროსმანი“ სერია „ილუსტრირებული ბიოგრაფიები“-დან. 27 მაისს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა წიგნის მოყვარულებს შესთავაზებს ამერიკული მოთხრობების ანთოლოგიის პრეზენტაციას, რომელსაც დაესწრება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დელეგაცია. ასევე ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა გამართავს ლიტერატურული პრემია „წლის საუკეთესო მოთხრობის“ დაჯილდოების ცერემონიალს. 28 მაისს „ექსპო ჯორჯიაში“ თსუ-ს გამომცემლობების პრეზენტაცია გაიმართება. ლოგოს პრესი წარმოადგენს ნატო დავითაშვილის „ნისლებში და ნისლებს მიღმა“ (ქართულ მითოლოგიაზე დაფუძნებული ფენტეზის ჟანრის ახალი წიგნი). გამომცემლობა დიოგენე კი წარმოგიდგენთ ახალ საბავშვო წიგნებს. გამომცემლობა „ზებრა გრუპი“ „პრინცესა ზელინას“ პრეზენტაციას მოაწყობს. წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში სანტა ესპერანსას და ექს ლიბრისის წიგნის მაღაზიების პრეზენტაციაც შედგება. გაიმართება ვირტუალური გამომცემლობა ვირგამ-ის პრეზენტაცია, ელექტრონული მონაცემთა ბაზების პრეზენტაცია, გამომცემლობა „ინტელექტის“ ნობელის პრემიის ლაურეატთა ახალი ტომების და ლექციების ახალი ოთხტომეულის პრეზენტაცია.

*— **სად ჩაატარებთ წიგნის ფესტივალს?***

— წიგნის გამოფენა-გაყიდვას 26-დან 29 მაისის ჩათვლით უმასპინძლებს საგამოფენო ცენტრი ექსპო ჯორჯიას მე-11 პავილიონი, რომელიც 4 დღის განმავლობაში დილის 11-დან საღამოს 8 საათამდე მიიღებს დამთვალიერებელს.

*— **ღონისძიებები მხოლოდ ექსპო ჯორჯიაში გაქვთ დაგეგმილი?***

— წელს წიგნის საერთაშორისო ფესტივალი „ექსპო ჯორჯიას“ ფარგლებს გარეთაც მოეწყობა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მიმდინარეობს ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი გამომცემლებისთვის, მწერლებისთვის და მთარგმნელებისთვის. ქართული ლიტერატურის მუზეუმი ატარებს გალაკტიონ ტაბიძის 25 ტომეულის პრეზენტაციას, მუზეუმში წარმოდგენილი იქნება ყველა ის წიგნი, რაც არის ფესტივალზე. ლიტერატურის ინსტიტუტში გაიმართება ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაგეგმილია ორი საჯარო ლექცია და პრეზენტაცია წიგნების შესახებ. მათ მიერ დაგეგმილია წიგნების პრეზენტაციაც. შოთა რუსთაველის თეტრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი მოაწყობს გამოფენას უნივერსიტეტის შენობის ფოიეში. სამხატვრო აკადემია წიგნის ფესტივალის ფარგლებში გრაფიკისა და სახვით ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტების და ლექტორების ნამუშევრების გამოფენას წარმოადგენს.


## განცხადებები

● სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად, გარანტიით განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების ანთებას, პროსტატიტს, ხშირ შარდვას ღამით და დღისით, წვას, ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, წყლულებს, შეუხორცებელ ჩირქოვან ჭრილობებს, კიდურებში სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, ფარინგიტს, ცისტიტს, ლარინგიტს, თავის ტკივილს, დაჟეჟილობას, მასტიტს, ოოფორიტსა და სხვა ანთებებს. ყოველ პროცედურაზე გადასახადის ოდენობა განისაზღვრება თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურად. მისამართი: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899 97 85 46 რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● გახდომა-გასუქება სწრაფად და ეფექტურად 5-დან 20 კგ-მდე თვეში, შიმშილისა და ვარჯიშის გარეშე, ჯანმრთელობისთვის უვნებლად მხოლოდ მცენარეული საშუალებებით, ინდივიდუალურად შედგენილი უახლესი პროგრამებით, სტაბილური წონის შენარჩუნებით. შედეგი გარანტირებულია 100%-ით, უკუჩვენების გარეშე. მის: დიდუბე, სამთო-ქიმია, I სართული, ოთახი №6. ტელ: 893-44-58-65; 34-02-38 ექიმი ქ-ნი დეა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 34-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

**ნათელმხილველი მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, აღგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.**
**მიღება წინასწარი შეთანხმებით! მის.: მეტრო „ავლაბართან“, მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.
ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# საქართველოს თასი 21-ედ გათამაშდება

**დღეს, ეროვნულ სტადიონზე, საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის რიგით 21-ე გათამაშების ფინალური მატჩი გაიმართება, სადაც ერთმანეთს ქუთაისის „ტორპედო“ და „გაგრა“ დაუპირისპირდება. დღევანდელი შეხვედრა ინტრიგის ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის. აღსანიშნავია, რომ „გაგრა“ პირველი გუნდია, რომელმაც პირველი ლიგიდან მოახერხა თასის ფინალში თამაში მოახერხა. რაც შეეხებათ ქუთაისელებს: „ტორპედო“ აქამდე ფინალში 5-ჯერ გავიდა და მხოლოდ 2-ჯერ მოახერხეს მისი აღება.**

მატჩი დღეს 17 საათზე დაიწყება. მანამდე კი, ვფიქრობთ, რომ ქართული ფეხბურთის ქომაგთათვის საინტერესო იქნება იმის გახსენება, თუ რა გზა გამოიარა ეროვნულმა თასმა 1990 წლიდან დღემდე:

### 1990 წ.

**გურია (ლანჩხუთი) — ცხუმი (სოხუმი) 1:0 (დ.დ.)**

*1:0 ფრიდონაშვილი (95)*

**გურია:** ქანთარია, ტყებუჩავა, გუჯაბიძე, დანელია, მაჟეიკასი, ცომაია, მიქაბერიძე, ფრიდრიკასი (ბარათაშვილი 117), კორღალიძე, ფრიდონაშვილი, კაბისაშვილი

**ცხუმი:** ჟორჟოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, დოჩია, მალანია, ინალიშვილი, მ.ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი, გაბისკირია, კურგენიანი

### 1992 წ.

**იბერია (თბილისი) — ცხუმი (სოხუმი) 3:1**

*1:0 ინალიშვილი (33), 2:0 ზ.რევიშვილი (54), 3:0 შ.არველაძე (60), 3:1 ჯიშკარიანი (61)*

**იბერია:** ჩხეიძე, არზიანი, ქველაძე, შელია, კუდინოვი, რევიშვილი, ინალიშვილი, ჩიქოვანი, რ.არველაძე, ყაველაშვილი, შ.არველაძე

**ცხუმი:** ჟორჟოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, მინდაძე, მალანია, სიჭინავა (გადელია 72), ჯიშკარიანი, პაპავა, გოგიაშვილი, გაბისკირია, ცაავა

### 1993 წ.

**დინამო (თბილისი) — ბათუმი 4:2**

*1:0 რ.არველაძე (4), 2:0 ა.არველაძე (22), 2:1 ტუღუში (26), 3:1 შ.არველაძე (35), 4:1 რ.არველაძე (37), 4:2 ხომერიკი (78)*

**დინამო:** ზოიძე (ჩხეიძე 81), ბერაძე, ჯამარაული, შელია, ა.არველაძე (ბ.კვარაცხელია 77), ყაველაშვილი, ინალიშვილი, ჩიქოვანი, რ.არველაძე, ქინქლაძე, შ.არველაძე

**ბათუმი:** ბალაძე, ა.მუჯირი, შანიძე, ღლონტი (გულისაშვილი 78), შეყილაძე, თორღაშვილი, მ.მახარაძე, მაჭუტაძე, ხომერიკი, ტუღუში, კანტიძე

### 1994 წ.

**დინამო (თბილისი) — მეტალურგი (რუსთავი) 1:0**

*1:0 ყაველაშვილი (57)*

**დინამო:** ზოიძე, ბერაძე, ჯამარაული, ყაველაშვილი, ინალიშვილი, ჩიქოვანი, ნ.ლობჟანიძე, ნემსაძე, კიკნაძე, ა.იაშვილი (ცქიტიშვილი 62), ანჩაბაძე

**მეტალურგი:** გრიშიკაშვილი, გახოკიძე (ლუდუშაური 46), ბურნაძე, არჩვაძე, კობიაშვილი, ვ.კილასონია, ამბიძე, გ.კილასონია, პერტია, მეტრეველი (მელაძე 68) კ.ალადაშვილი.

### 1995 წ.

**დინამო (თბილისი) — დინამო (ბათუმი) 1:0**

*1:0 დემეტრაძე (27)*

**დინამო (თბ):** ზოიძე, ბერაძე, ნ.ლობჟანიძე, დიდავა, მ.მაჭავარიანი, კიკნაძე, ნემსაძე (ყიფიანი 56), ჯამარაული (დემეტრაძე 16), ა.იაშვილი, ქინქლაძე, ცქიტიშვილი

**დინამო (ბთ):** ბალაძე, გოგიტიძე, ფუტკარაძე (ა.მუჯირი 80), ი.მახარაძე, შეყილაძე, თორღაშვილი, მ.მახარაძე, მაჭუტაძე, ტუღუში, უჯმაჯურიძე, კანტიძე (ხომერიკი 46)

### 1996 წ.

**დინამო (თბილისი) — დინამო (ბათუმი) 1:0 (დ.დ.)**

*1:0 ინალიშვილი (96)*

**დინამო (თბ):** გ.ჭანტურია, კობიაშვილი, ნ.ლობჟანიძე, დიდავა, მ.მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე (ცქიტიშვილი 105), ყიზილაშვილი, კერძევაძე, ანჩაბაძე (ინალიშვილი 56), ა.იაშვილი (დემეტრაძე, 71)

**დინამო (ბთ):** ტოგონიძე, შანიძე, ჩიქოვანი, ი.მახარაძე, შეყილაძე, თორღაშვილი (კანტიძე 73), მ.მახარაძე, ღლონტი, ტუღუში, უჯმაჯურიძე, ა.მუჯირი

### 1997 წ.

**დინამო (თბილისი) — დინამო (ბათუმი) 1:0**

*1:0 დემეტრაძე (31)*

**დინამო (თბ):** ზოიძე, კალაძე, ზ.ჯელაძე, დიდავა, ცქიტიშვილი (კერძევაძე 55), გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, გ.ჩხაიძე, ყიზილაშვილი (ხომერიკი 80), ანჩაბაძე, დემეტრაძე

**დინამო (ბთ):** ტოგონიძე, ი.მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორღაშვილი (კანტიძე 46), მ.მახარაძე, ღლონტი, ტუღუში, უჯმაჯურიძე, ა.მუჯირი.

### 1998 წ.

**დინამო (ბათუმი) — დინამო (თბილისი) 2:1 (დ.დ.)**

*1:0 კანტიძე (14), 1:1 ალექსიძე (36), 2:1 ჭიჭვეიშვილი (118)*

**დინამო (ბთ):** ტოგონიძე, ი.მახარაძე (ღლონტი 46), სიჭინავა, შეყილაძე, მინდაძე, თორღაშვილი (მაქაცარია 86), მ.მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, კანტიძე, სოლოღაშვილი

**დინამო (თბ):** ზოიძე, ნ.ლობჟანიძე, გუჩუა, დიდავა, დ.მუჯირი, ზ.ჯელაძე, კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია, ცქიტიშვილი, სახვაძე

### 1999 წ.

**ტორპედო (ქუთაისი) — სამგურალი (წყალტუბო) 0:0 (4:2პ)**

**ტორპედო:** გრ.ჭანტურია, ახვლედიანი (იმედაძე 59), იონანიძე, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, ა.შეყრილაძე, კვეტენაძე, ვ.თურმანიძე, დ.ჯანაშია, გ.მეგრელაძე, კ.ჩხეტიანი (მაზანიშვილი 66)

**სამგურალი:** ასლანაძე, მახვილაძე, ბურნაძე, ვოსკანოვი, გ.ჯანელიძე (დარსაძე 101), გ.კილასონია, აფციაური (ჯინჭარაძე 79), ი.ჯუღელი, პეტრიაშვილი (ფრანგიშვილი 101), სუხიაშვილი, შენგელია

### 2000 წ.

**ლოკომოტივი (თბილისი) — ტორპედო (ქუთაისი) 0:0 (4:2პ)**

**ლოკომოტივი:** გ.ლომაია, ბალაშვილი, ლ.მიქაძე, აბრამიძე (რუსია 80), ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, გ.კვარაცხელია, ჭიჭვეიშვილი, ჯუღელი (გ.ჩხაიძე, 88), ხიზანიშვილი, მ.ჯიშკარიანი

**ტორპედო:** ზოიძე, იონანიძე, მახვილაძე (ა.შეყრილაძე, 99), ვ.თურმანიძე, ხვადაგიანი, ახვლედიანი, კვეტენაძე, გოგიაშვილი, დ.ჯანაშია (ასათიანი, 82), იმედაძე (მეგრელაძე, 46), კ.ჩხეტიანი

### 2001 წ.

**ტორპედო (ქუთაისი) — ლოკომოტივი (თბილისი) 0:0 (4:3პ)**

**ტორპედო:** ზოიძე (ტოგონიძე 120), იონანიძე, აბრამიძე, დიდავა (ჯინჭარაძე 115), ს.თოდუა, ქემოკლიძე, კვეტენაძე, სილაგაძე, დ.ჯანაშია (ასათიანი, 66), აშვეთია, ხვადაგიანი

**ლოკომოტივი:** გ.ლომაია, ბალაშვილი, მ.შელია, სალუქვაძე, ბაქრაძე, რ.ონიანი, ანჩაბაძე, ჭიჭვეიშვილი, კაიდარაშვილი (გ.შენგელია 91), გოგიჩაიშვილი (დათვაძე 8), გილაური

### 2002 წ.

**ლოკომოტივი (თბილისი) — ტორპედო (ქუთაისი) 2:0**

*1:0 დავითაშვილი (34), 2:0 ზ.ჯანაშია (63)*




**ლოკომოტივი:** გ.ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, რ.ონიანი, ქორიძე (დავითნიძე 90), დავითაშვილი (რუსია 67), ჭიჭვეიშვილი (ლაცაბიძე 88), გოგიჩაიშვილი, სირაძე, ზ.ჯანაშია.

**ტორპედო:** სტურუა, იონანიძე (ბაბუნაშვილი, 46), მახვილაძე, დიდავა, ს.თოდუა (ახალკაცი 68), აბრამიძე, ქემოკლიძე, ხვადაგიანი, ლ.ჭელიძე, ასათიანი, პოროშინი (ქუთათელაძე 59)

### 2003 წ.

**დინამო (თბილისი) — სიონი (ბოლნისი) 3:1**

*1:0 ხიზანეიშვილი (9), 2:0 დარასელია (16), 3:0 ანჩაბაძე (45), 3:1 ისიანი (75)*

**დინამო:** ზოიძე, და როშა (ახალაია, 46), ამისულაშვილი, ხიზანეიშვილი (კანდელაკი 76), შაშიაშვილი, დარასელია, გოგობერიშვილი, ბურდული (ვაშაკიძე 60), კვირკველია, ანჩაბაძე, ალექსიძე

**სიონი:** ვოლკოვი, ბურნაძე, სვანაძე (გოგიტაძე 46), შ.ხუჯაძე, გაბისკირია, ე.გვასალია, წივწივაძე, შავგულიძე, კ.დაუშვილი (ბაქრაძე 59), დათვაძე (ისიანი 70), ფანჩულიძე

### 2004 წ.

**დინამო (თბილისი) — ტორპედო (ქუთაისი) 2:1**

*0:1 დავითაშვილი (3), 1:1 შ.კაშია (61), 2:1 სილაგაძე (64)*

**დინამო:** ზოიძე, სილაგაძე, კანდელაკი, შ.კაშია, შაშიაშვილი, კვირკველია, ნემსაძე, კაკალაძე (ხმალაძე 78), ახალაია, ანჩაბაძე (გრიგალაშვილი 88), ს.იაშვილი (ლ.მელქაძე 59)

**ტორპედო:** სტურუა, მახვილაძე, გამეზარდაშვილი, ლ.ჭელიძე, ს.თოდუა, მემარნიშვილი (მ.ხუციშვილი 46), დავითაშვილი, ბაბუნაშვილი (შ.მუმლაძე 82), კოშკაძე, ბოლქვაძე (კ.ჩხეტიანი, 79), ნერგაძე

### 2005 წ.

**ლოკომოტივი (თბილისი) — ზესტაფონი 2:0**

*1:0 ბობოხიძე (55), 2:0 მანჩხავა (60)*

**ლოკომოტივი:** სტურუა, სეთურიძე, დ.გიგაური, მახვილაძე, გ.ონიანი, ლ.ქებაძე (ყიფიანი 90), სანიკიძე, რ.ონიანი, მანჩხავა, ბობოხიძე (კახელიშვილი 80), სირბილაძე (რ. დე ანაია 70)

**ზესტაფონი:** სომხიშვილი, ჩიკვილაძე (იმედაძე 63), შ.ლონღაძე, ს.თოდუა, გუჩუა (ბესარაშვილი 57), ძამსაშვილი, გ.თურმანიძე, განუგრავა (ნუდნი 66), კ.ჩხეტიანი, ზირაქიშვილი, იონანიძე.

### 2006 წ.

**ამერი (თბილისი) — ზესტაფონი 2:2 (4:3პ)**

*1:0 დავითაშვილი (10), 1:1 იონანიძე (29), 2:1 წინამძღვრიშვილი (50), 2:2 ლონღაძე (90)*

**ამერი:** ქვაჩახია, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, დეკანოსიძე, დობროვოლსკი, ბოლქვაძე, სევასტოპულო (დოლიძე 60), დავითაშვილი (გ.კვახაძე 78), წინამძღვრიშვილი (ტატანაშვილი 72)

**ზესტაფონი:** გრ.ჭანტურია, გ.თურმანიძე, შ.ლონღაძე, ს.თოდუა, კ.ჩხეტიანი, ბენაშვილი (იმედაძე 73), განუგრავა, ბჟალავა (ნუდნი 61), ბ.ნოზაძე (გ.ჭელიძე 68), ფიფია, იონანიძე

### 2007 წ.

**ამერი (თბილისი) — ზესტაფონი 1:0**

*1:0 ტატანაშვილი (61).*

**ამერი:** ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, დოლიძე (კაკაშვილი 86), დობროვოლსკი, ბოლქვაძე (მესხი 69), დეკანოსიძე, დავითაშვილი, ტატანაშვილი (ჩიმაკაძე 72)

**ზესტაფონი:** გრ.ჭანტურია, საჯაია, ს.თოდუა (ფიფია 66), შ.ლონღაძე, კ.ჩხეტიანი (გ.ჩხეტიანი, 71), ტორესი, კესანი, ვიეირა, გ.ჭელიძე, რ.ონიანი, იონანიძე

### 2008 წ.

**ზესტაფონი — ამერი (თბილისი) 2:1**

*1:0 ონიანი (57), 2:0 გოცირიძე (62), 2:1 ტატანაშვილი (88)*

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, ს.თოდუა, უ.ლობჟანიძე, საჯაია, აკუასაგა, რ.ონიანი, ხიდეშელი, ვიეირა (იონანიძე 85), ბ.გოცირიძე (შ.ლონღაძე 81), ნ.კვასხვაძე (მ.დაუშვილი 72)

**ამერი:** ნადირაშვილი, მემარნიშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე (ტატანაშვილი 65), დოლიძე (ჩიმაკაძე 83), დობროვოლსკი, დიდავა, დეკანოსიძე, კ.შალამბერიძე (ა.ალავიძე 60), რ.გოცირიძე

### 2009 წ.

**დინამო (თბილისი) — ოლიმპი (რუსთავი) 1:1 (2:0პ)**

*1:0 ნერგაძე (79), 1:1 მეგრელაძე (90)*

**დინამო:** ლორია, თომაშვილი, გ.კაშია, ნერგაძე, ხმალაძე, შ.კაშია, ნემსაძე (ტომიჩი 119), დილმელაშვილი, კოშკაძე, მერებაშვილი (კაკუბავა 90), ჯუისი (აკირემი 86)

**ოლიმპი:** ალავიძე, დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი (ფიფია 86), თ.ლონღაძე, აკუასაგა, ხუბუა (ჩიკვილაძე 72), გ.ჩხეტიანი (გ.ჭელიძე 88), მაჭავარიანი, გ.ონიანი, მეგრელაძე, სეთურიძე

### 2010 წ.

**ვიტ ჯორჯია (თბილისი) — დინამო (თბილისი) 1:0**

*1:0 დათუნაიშვილი (41)*

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, ხურცილავა, ა.კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, ვასაძე, რაზმაძე, გ.დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი (გურეშიძე 90), ბერიაშვილი (ვ.კვარაცხელია 68), ლიპარტია (ბეჭვაია 79)

**დინამო:** ლორია, თომაშვილი, გ.კაშია, კრსტესკი (თექთურმანიძე 77), ჩიკვილაძე, შ.კაშია (რობერტინიო 67), კაკუბავა, ედნილსონი, კახელიშვილი (ჯუისი 58), კოშკაძე, ვაწაძე

## შედეგები

### ფეხბურთი

**ერთა თასი**

ირლანდია-ჩრ.ირლანდია ........ 5:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

**პლეი-ოფი**

ოსნაბრიუკი-დინამო ........ 1:3(დდ)

**შვედეთი. ალსვენსკა**

მალმიო-ჰელსინბორგი ........ 0:1-ზე შეწყდა

### კალათბურთი

**ნბა. პლეი-ოფი**

**ნახევარფინალი 4 მოგებამდე**

მაიამი-ჩიკაგო ........ 101:93

სერიის ანგარიში ........ 3:1

### ჩოგბურთი

**როლან გაროსი**

**ქალები**

ივანოვიჩი-ლარსონი ........ 6:7;6:0;2:6

ციბულკოვა-კინგი ........ 7:6;3:6;2:6

ვიკმაიერი-ნიკულესკუ ........ 6:0,6:3

ჰრადეცკა-სევასტოვა ........ 6:3;5:7;6:1

აზარენკო-ჰლავაჩკოვა ........ 6:3;6:3

რუსი-ერაკოვიჩი ........ 2:6;6:4;6:4

ბალტაჩა-სტივენსი ........ 7:5;6:2

დულჟერუ-პოუს ტიო ........ 6:3;6:4

კლაისტერსი-იაკიმოვა ........ 6:2;6:3

შნიდერი-კირსტეა ........ 1:6;3;6

პერვაკი-პარმენტიე ........ 6:7;4:6

პეტკოვიჩი-იოვანოვსკი ........ 6:4;7:6

**კაცები**

ვოლანდრი-კლემანი ........ 3:6;6:1;6;7;4:6

ალმაგრო-კუბოტი ........ 6:3;6:2;6:7;6:7;4:6

ჰაასე-ხიმენო ტრავერი ........ 6:2;7:6;6:3

ჩელა-სმიჩეკი ........ 7:6;6:1;6:1

კოლშრაიბერი-კიურეი ........ 6:3;1;6;2:6;4:6

მელცერი-ბეკი ........ 6:3;6:4;6:2

ნადალი-ისნერი ........ 6:4;6;7;6:7;6:2;6:4

ჰირალდო-ანდუჰარი ........ 6;7;3;6;3;6

სოდერლინგი-ჰარისონი ........ 6:1;6;7;6:3;7:5

მალისე-ტურსუნოვი ........ 7:5;3:6;6:3;3:6;6:1

ანერსონი-მაიუ ........ 6:4;6:4;6:7;6:3

ვერდასკო-მონაკო ........ 6:2;7:5;4:6;4:6

შარდი-დიმიტროვი ........ 6:2;6:4;6:4

სიმონი-რასელი ........ 6:3;4:6;6:1;6:0

### ჰოკეი

**ნჰლ. პლეი-ოფი**

**ნახევარფინალი 4 მოგებამდე**

ვანკუვერი-სან ხოსე ........ 3:2(ოტ)

სერიის ანგარიში ........ 4:1

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# საბონისმა ევროპა წარადგინა და საქართველო გაიხსენა

**დასაწყისი მე-16 გვერდზე**

კარგად არის ცნობილი ჩემთვის და მოხარული ვარ, რომ ამჯერად აქ სათამაშოდ არ ჩამოვედი. წარსული ჩვენ უკვე გავიხსენეთ გუშინ, გავიხსენებთ დღესაც და ალბათ ხვალაც, — ხუმრობით აღნიშნა საბონისმა და ალბათ მიხვდებით, რა გახსენებაც იგულისხმა.

„საბასმა“ ისიც აღნიშნა, რომ ნბა-ს იშვიათად ვუყურებ და ზაზა ფაჩულიაზე ბევრი არაფერი ვიცი, ხოლო ვოვა სტეფანია უფრო გაიხსენა და დასძინა, რომ ის სხვა პოზიციაზე თამაშობდა და მისი დაჭერა მე არ მიხდებოდაო.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების შანსებს ევროპის ცემპიონატზე, საბონისმა თქვა, რომ თანაბარ ჯგუფში ვართ და ვინც კონკრეტულ მომენტში იქნება მზად ევროპის ჩემპიონატისთვის, შემდეგ ეტაპზე ის გუნდი გავაო. ხოლო რაც შეეხება მთლიანად ფავორიტს, მისი აზრით, ასეთი გუნდი ევროპაზე არ არსებობს.

— ევროპის ცემპიონატზე თამაში გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე მსოფლიოზე, ან ოლიმპიადაზე. იქ ხან აფრიკული, ხანაც აზიური გუნდი გამოერევა და მათი დამარცხება იოლად ხდება. ევროპაზე კი თითქოს 2-3 ფავორიტია, მაგრამ თითქმის არ ხდება, რომელიმე მათგანს უეჭველად გაემარჯვოს.

საბონისზე გულთბილად ისაუბრა მისმა ყოფილმა მეტოქემ, ქართული კალათბურთის ლეგენდამ, ნიკოლოზ დერიუგინმა.

— ძალიან ჭკვიანი მოთამაშე იყო. მოედანზე ყველაფერს ხედავდა და სწორად აზროვნებდა. მე გამუდმებით მის წინააღმდეგ მიწევდა თამაში და ვის წინააღმდეგაც მითამაშია, საუკეთესო იყო.

სპორტი

# საქართველომ მსოფლიო მოგებით დაიწყო

მსოფლიო თასის ალაფა საქართველოს 20-წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა ფრთხილად დაიწყო. კანადელ თანატოლებს პირველ ტაიმში საჭირო ქულების მოპოვებით ეთამაშა, შესვენების შემდეგ კი გალაღა და 4 ლელოსთან ერთად პრემიალური ქულაც ჩაიჯიბა.

მსოფლიო თასის ალაფის დაწყებამდე, პატარა „ბორჯღალოსნები“ უმეტესად ხელოვნურსაფარიან მოედნებზე ვარჯიშობდნენ და ეს მათ თამაშზე აისახა. კუნთებმა ასეთ ცვლილებას ვერ გაუძლო, მით უმეტეს, რომ კანადელებმა თავი არ დაზოგეს, მასპინძლებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და პაატა ნარიმანაშვილის შეგირდებს წარმატების მისაღწევად მთელი ენერგიის დახარჯვა მოუხდათ.

მატჩი რთული გამოდგა — კანადელები არაფრის დათმობას არ აპირებდნენ და მოედანზე ნამდვილი ბრძოლა გაიმართა. ჩვენებს კი, ბურთი რაქიდან სწრაფად გაჰქონდათ და მოკლე დარტყმებს ახორციელებდნენ, მაგრამ კანადელთა დაცვა შეუვალი ხდებოდა, მაგრამ მე-4 წუთზე მეტოქე დაჯარიმდა და ბახვა კობახიძემ შორეული ჯარიმა ძელებსშუა გააძვრინა.

კიდევ ოთხ წუთში კანადელები უკვე თამაშგარისთვის დაჯარიმდნენ და კობახიძემ ანგარიში 6:0 გახადა. ნელ-ნელა ქართველთა უპირატესობა გამოიკვეთა. ერთია, დერეფანში მოვიკოჭლებდით, მაგრამ ამ კომპონენტში ვერც კანადელები ვარგოდნენ.

მე-16 წუთზე კი, კანადელები ქართველთა ნახევარზე დაჯარიმდნენ. პირველ ტაიმში „ბორჯღალოსნებისთვის“ ზურგის ქარი უბერავდა, ამიტომ კობახიძემ საკუთარი ნახევრიდან, დაახლოებით 55 მეტრიდან კარში დაარტყა, მიზანმა არ უმტყუნა და უპირატესობა ცხრა ქულამდე გაიზარდა.

29-ე წუთზე საქართველოს ნაკრები კარის გასწვრივ თვრამეტიოდე მეტრში დაჯარიმდა და ლაიემ ანდერვუდმა ერთი საპასუხო ჯარიმა გაიტანა. ტაიმის მიწურულს ქართველებმა კარგი მოლი დააყენეს და შეუტიეს. კანადელები დაჯარიმდნენ, ქართველებმა შერკინება ირჩიეს, მაგრამ სალელოვე შეტევა არ გამოვიდა.

სამაგიეროდ, ტაიმის მიწურულს მეტოქე კიდევ ერთხელ დაჯარიმდა და კობახიძემ დაახლოებით 42 მეტრიდან გატანილი ჯარიმით „ბორჯღალოსნები“ ცხრაქულიანი უპირატესობით დააწინაურა — 12:3.

მეორე ტაიმის დებიუტში კანადელებმა კარგი შეტევა წამოიწყეს და მასპინძლებს მათი იერიშის შეჩერება ჯარიმით მოახერხეს და ანდერვუდმა ჩამორჩენა შეამცირა. ამან ქართველები „გააბრაზა“, მათ მეტოქეს მოლით შეუტიეს და ჩათვლის მოედანს 10 მეტრამდე მიუახლოვდნენ. კანადელები დაჯარიმდნენ, საქართველომ ამჯერაად შერკინება ირჩია და უჩა მჭედლიშვილმა ლელოც გაიტანა, მაგრამ რეფერიმ არ ჩათვალა და უპირატესობა ჯარიმა დაგვიბრუნა. ჩვენებმა ბურთი სწრაფად გაათამაშეს, რამდენიმეწამიანი ჭიდილის შემდეგ კი, ლევან ჩილაჩავამ ბურთი მეტოქის ჩათვლის ხაზს იქით გადადო და მატჩის პირველი ლელო მიითვალა, ხოლო კობახიძემ რეალიზაცია გამოიყენა.

კანადელთა საპასუხო შეტევა მწვავე გამოდგა და სალელოვე შანსიც მიეცათ, მაგრამ საბედნიეროდ ბლოკისთვის დაჯარიმდნენ. სტუმრები არ დანებდნენ, მალე ჯარიმის შესრულების უფლება მიიღეს, ანდერვუდს დარტყმა გაუფუჭდა, თუმცა, 55-ე წუთზე მეორე შანსი ხელიდან არ გაუშვა და ანგარიში შეამცირა — 9:19.

ეს ანგარიში ტაბლოზე ძალიან ცოტა ხანს დარჩა — გიგა თხილაიშვილმა ულამაზესი ლელო გაიტანა. მან ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედნიდან დაახლოებით 30 მეტრში მოიხელთა, ჯერ მოედნის ცენტრისკენ შეიწია, მერე ხაზი გაჭრა და ლელო ძელებსშუა გაიტანა, კობახიძემ კი რეალიზაცია გამოიყენა.

ქართველებმა მესამე ლელო 73-ე წუთზე გაიტანეს. მეტოქის ჩათვლის მოედნიდან დაახლოებით 7-8 მეტრში, „ბორჯღალოსნებმა“ აუტი პირველ კაცზე მოაწოდეს, რასაც კანადელები არ ელოდნენ, კოტე მიქაუტაძემ მათი დაბნეულობით ისარგებლა, ხაზი გაჭრა და ლელო მიითვალა, კობახიძემ ისევ ზუსტად გარდასახა. პრემიალურ ქულას კიდევ ერთი ლელო სჭირდებოდა და საქართველოს ნაკრებმა ძალისმიერად შეუტია, რამაც შედეგი ბოლო წუთზე გამოიღო და ზურაბ ჟვანიამ ქართველთა მეოთხე ლელო გაიტანა. ამჯერად კობახიძის დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა და ტაბლოზე 38:9 დაფიქსირდა.

ჩვენივე ჯგუფის პირველ შეხვედრაში იაპონიამ ზიმბაბვე □შევარდენის□ სტადიონზე 37:24 დაამარცხა.

ა ჯგუფის პირველ შეხვედრაში სამოამ აშშ უშანსოდ დატოვა და 48:11 გაანადგურა, ხოლო ურუგვაიმ 33:5 რუსეთი დაამარცხა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# სხვადასხვა ქვეყანაში საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პრეზენტაცია გაიმართება

საქართველოს დაუმოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსთან ერთად გეგმავს ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის პრეზენტაციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

როგორც „მედიანიუსს“ ეკონომიკის სამინისტროდან აცნობეს, 2011 წლის 24-26 მაისს ავსტრიის დედაქალაქი უმასპინძლებს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და ცნობილ უძრავი ქონების გამოფენას — „რიალ ვენა 2011“. საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო მონაწილეობს უძრავი ქონების გამოფენაში და წარმოადგენს მიმდინარე საინვესტიციო პროექტებს აღნიშნულ სფეროში. მონაწილე ქვეყნებს შორის არიან: ავსტრია, ნიდერლანდები, ჰგერმანია, შვეიცარია, პოლონეთი, აშშ, რუმინეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი და სხვა ქვეყნები.

25-29 მაისს დაგეგმილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ვერა ქობალიას ვიზიტი გერმანიაში, რომლის ფარგლებშიც მინისტრი მიიღებს მონაწილეობას ტრანსპორტის კონფერენციაში ლაიპციგში და შეხვდება გერმანიის ტრანსპორტისა და ტექნოლოგიების მინისტრის მოადგილეს, ასევე ბუნდესტაგის ეკონომიკისა და ტექნოლოგიების კომიტეტის თავმჯდომარეს. მოგვიანებით ვერა ქობალია შეხვედრებს გამართავს ქ. ბერლინში გერმანული ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან და საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოს პრეზენტაციას გააკეთებს.

2011 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით საქართველოს საინვესტიციო სააგენტო და საქართველოს საელჩო ინდოეთში აწყობს ქართული ღვინის დღეს. საინვესტიციო სააგენტოს ექსპორტის ხელშეწყობის სამსახურის ორგანიზებით ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ქართული ღვინის სამი კომპანიის: „თბილღვინოს“, „ბაგრატიონის“ და „ვაინმენის“ წარმომადგენელი და მოეწყობა ქართული ღვინის დეგუსტაცია. ინდოელ სტუმრებს უმასპინძლებს ქართული ფოლკლორული ანსამბლი „ჩვენებურები“, წარმოდგენილი იქნება ქართველი მზარეულის მიერ მომზადებული ტრადიციული კერძები. საზეიმო მიღების მთავარ მიზანს ქართული კულტურის, სამზარეულოს და ქართული პროდუქციის პოპულარიზაცია წარმოადგენს. მიღებაზე მოწვეულნი არიან ინდოეთის მთავრობის წევრები, ბიზნესმენები, რომლებიც უკვე მუშაობენ საქართველოსთან და ის ბიზნესმენები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თანამშრომლობით.

27 მაისს დელიში საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი შეხვდება სასტუმროების სექტორში მომუშავე ბიზნესმენებს და საქართველოში არსებული უძრავი ქონების სექტორში და ტურისტულ ინფრასტრუქტურაში არსებული საინვესტიციო შესაძლებლობების პრეზენტაციას გააკეთებს.

2011 წლის 27 მაისს უკრაინის დედაქალაქ კიევში გაიმართება საქართველოს საინვესტიციო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორებიც არიან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, საქართველო-უკრაინის ბიზნესკლუბი, „ბი ჯი კაპიტალი“ და „რაკია ჯორჯია ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“.

ღონისძიებას დაესწრებიან უკრაინის წამყვანი კომპანიებისა და სამთავრობო წრეების წარმომადგენლები, რომელთაც სიტყვით მიმართავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე არჩილ კეკელია და გააცნობს ქვეყნის საინვესტიციო კლიმატს.

30-31 მაისს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია ეწვევა ოსლოს, სადაც შეხვდება ნორვეგიის ტრანსპორტისა და კომუნიკაციის, ასევე ნავთობისა და ენერგეტიკის მინისტრებს. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ოსლოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში საქართველო-ოსლოს ბიზნესფორუმის ორგანიზება.

**მედიანიუსი**

# მშვიდობისმოყვარე ქვეყნების რეიტინგში საქართველო 134-ე ადგილს იკავებს




მშვიდობისმოყვარე ქვეყნების რეიტინგში 153 ქვეყანას შორის საქართველო 134-ე ადგილს იკავებს. 2011 წლის შესაბამის ინდექსი ავსტრალიის ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტმა შეიმუშავა.

რეიტინგის შედგენისას ინსტიტუტის მკვლევარებმა რამდენიმე მაჩვენებელი შეაჯერეს. მათ შორის ამ თუ იმ ქვეყანაში არსებული შეიარაღებული კონფლიქტები, სამხედრო ბიუჯეტის ოდენობა, ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან, ქვეყანაში არსებული კრიმინალური ვითარება და მსჯავრდებულთა რაოდენობა.

2009 წელს აღნიშნულ რეიტინგში საქართველო 134-ე ადგილს იკავებდა, 2010 წელს კი 142-ეს.

2011 წლის რეიტინგში ყველაზე მშვიდობისმყოფელი ქვეყანა ისლანდია აღმოჩნდა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. სომხეთი 109-ე ადგილზეა, ხოლო აზერბაიჯანი 122-ზე. რაც შეეხება რუსეთს, ეს უკანასკნელი მშვიდობისმყოფელ სახელმწიფოთა რეიტინგში 147-ე ადგილზეა.

**მედიანიუსი**

## თქვენი ხასიათი: ტესტი



***1. პირველი პაემანი. რა დრო გჭირდებათ თავის მოსაწესრიგებლად?***

ა. 3 საათი. ბ. 20 წუთი. გ. ვერ გადამიწყვეტია, რა ჩავიცვა.

***3. წვეულებაზე ამჩნევთ, რომ რამდენიმე ვაჟი (გოგონა) გიყურებთ. რას გაიფიქრებთ:***

ა. ალბათ დამცინიან. ბ. კარგად დააკვირდებით. გ. მათკენ არ გავიხედავ.

***3. საკუთარ თავს სიზმარში ხშირად ხედავთ, საინტერესოა, რა სიტუაციაში?***

ა. სიზმრებს ვერ ვიხსენებ. ბ. ხშირად დავფრინავ. გ. ვიღაც მომდევს.

***4. დილაობით ხშირად ვარჯიშობთ?***

ა. დიახ. ბ. მხოლოდ მაშინ, როდესაც მომინდება. გ. ძალიან ზარმაცი ვარ ვარჯიშისთვის.

***5. მაღაზიაში ვიღაც ჯინსებს იზომავს და მოულოდნელად ღილი მოსწყდა:***

ა. გაიცინებთ. ბ. ეყვით, შენს ადგილას დიეტაზე დავჯდებოდი. გ. რა მოხდა ისეთი?

***6. რომელ ვარსკვლავს აქვს ყველაზე კარგი ფიგურა?***

ა. პამელა ანდერსონს. ბ. ჯერი ჰოლიველს. გ. ბიორკს.

***7. როდესაც საკუთარ გარეგნობას თანატოლების გარეგნობას ადარებთ, რა დასკვნამდე მიდიხართ?***

ა. არ ვადარებ. ბ. ჩემი ფიგურით ვამაყობ. გ. სასოწარკვეთილი ვარ.

**პასუხები შეაფასეთ ასე: ა. 9 ქულა. ბ. 1 ქულა. გ. 2 ქულა.**

**პასუხები**

**0-4 ქულა:** წვრილმან ფიზიკურ ნაკლს ყურადღებას არ აქცევ. ორი კილოგრამით მეტი ან ნაკლები, თხელი თმა ან მოკლე ფეხები შენთვის არასრულფასოვნების კომპლექსის მიზეზი არ ხდება.

**5-9 ქულა:** ხანდახან კმაყოფილი ხარ საკუთარი თავით, ხანდახან კი ვერ იტან თავს. ეს სავსებით ნორმალურია.

**10-14 ქულა:** სარკეში ჩახედვისთანავე ხალისი გეკარგება, საკუთარ გარეგნობას ყოველთვის უპოვი რაიმე ხინჯს. სულაც არ არის აუცილებელი, იდეალურად გამოიყურებოდე.

**გ. თ.**

## იუმორი



***

მოსწავლემ საკონტროლოში ორი ქულა დაიმსახურა. მამამისი სკოლაში საქმის გასარჩევად მივიდა.

მასწავლებელი ცდილობს აუხსნას, რომ მისმა შვილმა ყველაფერი მეზობლისაგან გადაიწერა:

— თავად განსაჯეთ, აი, შეკითხვა: ვინ არის „სურამის ციხის“ ავტორი? ნინიკო წერს: „დანიელ ჭონქაძე“ და თქვენი ვაჟიც წერს: „დანიელ ჭონქაძე“.

— მერე რა, რატომ გგონიათ, რომ ჩემმა შვილმა არ იცის?

— განვაგრძოთ. შეკითხვა: ვინ არის „ომი და მშვიდობის“ ავტორი? ნინიკო პასუხობს: „პუშკინი“ და თქვენი ვაჟიც პასუხობს: „პუშკინი“.

— მერე რა მოხდა, ხომ შეიძლება, რომ ორივე შეცდა.

— დავუშვათ. მაგრამ, აი, შემდეგი შეკითხვა: რომელ წელს დაიბადა ვაჟა ფშაველა? ნინიკო წერს: „არ ვიცი“, თქვენი ვაჟი კი — „არც მე“.

***

— ვერ მეტყვით, რით განსხვავდება ეს ორი ტელეფონი ერთმანეთისაგან?

— ეს ორი ტელეფონი ერთმანეთისაგან იმით განსხვავდება, რომ ერთი ემპე-3 ფლეიერია, მეორე კი — ფოტოაპარატი...

***

— ძვირფასო ქალებო, თუ მამაკაცი არაფერს გჩუქნით, ყველგან თავის ჭუჭყიან წინდებს ყრის, ლუდის ქილით ხელში ტელევიზორის წინ გდია, გიხაროდეთ, თქვენ ერთადერთი ხართ, რომელთანაც თავს მართლაც კარგად გრძნობს...

**გ. თ.**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ცოცხალი ორგანიზმის აგებულების უმარტივესი ერთეული; 2. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 3. ხორბლისა და ჭვავის შეჯვარებით მიღებული უხვმოსავლიანი მარცვლეული კულტურა; 4. მდინარე გურიაში; 5. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 8. მშვიდი, უშფოთველი ცხოვრება; 9. სპირტიანი სასმელების კონტრაბანდისტი აშშ-ში; 12. მხატვრული ნაწარმოების სქემატური, მოკლე შინაარსი, ძირითადი ქარგა; 14. ღვინის ძველებური საწყაო; 16. მონასტერი ხარაგაულის რაიონში.

**თარაზულად:** 1. კლდეში ნაკვეთი ქალაქი შიდა ქართლში; 6. წითელი, წვრილმარცვლიანი ნაყოფის მქონე მაგარნაჭუჭიანი ხილი; 7. სამეცნიერო ნაშრომის, ლექციის, სტატიის მოკლე შინაარსი; 9. ინგლისური მსუბუქი ავტომობილი; 10. ჩეხური მოტოციკლეტი; 11. მუდმივი მყიდველი; 13. კვერნისებრთა ოჯახის მღრღნელი ცხოველი; 15. ავსტრალიური თუთიყუში; 17. მხატვრობის ერთ-ერთი ჟანრი; 18. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 19. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. წიაღისეულის მოპოვების ადგილი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გულანი; 2. სირმა; 3. ფლირტი; 4. ჯილღაო; 6. ბაზიერი; 9. მეტრი; 11. დუმფარა; 15. სამთავისი; 16. „ნატალი“; 17. კუნაპეტი; 19. აჯამეთი; 21. მეჯლისი; 22. მწყერი.

**თარაზულად:** 5. წუწურაქი; 7. ამსტელი; 8. „ილიადა“; 10. ხელფასი; 12. აიეტი; 13. „გიუმი“; 14. ჯვრისწერა; 18. მაფია; 20. მაჩუბი; 23. „მწვანე“; 24. ჯარა; 25. „გელაპი“; 26. როსი; 27. ისტვუდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პურადი; 2. ტალი; 3. ბუკინისტი; 4. ლარნი; 5. შარტავა; 8. კატარი; 9. ბალახვანი; 12. ტაპირი; 14. ანხელი; 16. ავიზო.

**თარაზულად:** 1. პალიასტომი; 6. „კუკარაჩა“; 7. რაშკული; 9. ბოლიდი; 10. პიცა; 11. „ჩაკრულო“; 13. აჭარა; 15. მანილა; 17. დიხაშხო; 18. „ჩინური“; 19. ოფელია; 20. ტონიაცი.

# სირიაში დაღუპულთა რიცხვმა ათასს გადააჭარბა

სირიაში მიმდინარე არეულობის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა ათასს გადააჭარბა. ინფორმაციას ამის შესახებ უფლებადამცველების განცხადებაზე დაყრდნობით „ალ-ჯაზირა“ ავრცელებს.



ერთ-ერთი ეგვიპტური უფლებადაცვითი ორგანიზაციის ინფორმაციით, დაღუპულთა რიცხვი 1062-ია, ათი ათასზე მეტი კი დაკავებულია.

სირიაში არეულობის დაწყებისთანავე უცხოელ ჟურნალისტებს ქვეყანაში შესვლა ეზღუდებათ.

დასავლეთის სახელმწიფოები კი სირიას სულ უფრო მეტ სანქციას უწესებენ. 9 და 23 მაისს ევროკავშირმა სირიის ლიდერს ბაშარ ასადს და 13 სირიელ ჩინოვნიკს საკუთარ ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა, მსგავსი სანქცია 18 მაისს აშშ-მაც დააწესა. 24 მაისს კი ცნობილი გახდა, რომ შვეიცარიის ბანკებში ასადის ანგარიშები გაუქმდება. სირიაში არეულობები 2011 წლის 15 მარტიდან მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

# ევროპის საბჭო საქართველოში მიმდინარე ანტიკორუფციულ რეფორმას დადებითად აფასებს

ევროპის საბჭო საქართველოში მიმდინარე ანტიკორუფციულ რეფორმას დადებითად აფასებს.

საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ გატარებული რეფორმები და პარტიათა დაფინანსების გამჭვირვალობის საკითხი ორგანიზაციის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფოთა ჯგუფმა განიხილა.

— დადებითად იქნა შეფასებული ის რეფორმები, რომლებიც საქართველოში გატარდა, როგორც ანტიკორუფციული კანონმდებლობის დახვეწის, ისე ამ კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით. ეს საკმაოდ დიდი წარმატებაა, — აცხადებს ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი.

ევროპის საბჭოს ანტიკორუფციულმა სტრუქტურამ დოკუმენტიც შეიმუშავა, რომელშიც სამოქმედო გეგმები და რეკომენდაციებია ასახული.

**ინტერპრესნიუსი**

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე იფიგერია შარაშიძე, შვილები მარიკა, გიგლა, ეკა, გვანცა ჩიქოვანები, შვილიშვილები სანდრო, ნინო ტორონტაძეები, გიორგი, ზურაბ ჩიქოვანები, ბორის, ზურაბ ჭილვარიები, დედმამიშვილები გივი, ნანა ჩიქოვანები, სიძე ანდრო ტორონტაძე, რძლები ეკა კუპრაშვილი, ნანი ჩხეიძე, ძმისშვილები რუსუდან, ქეთინო ჩიქოვანები, დისშვილები შოთა, თამუნა კაპანაძეები, მძახლები ნინო მამისაშვილი, ჟუჟუნა ჯაფარიძე, ლალი კობაიძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზურაბ გრიგოლის ძე ჩიქოვანი**

პანაშვიდი: 26, 27 მაისს, 17 საათზე, ქობულეთის ქ.№10.

გამოსვენება: 28 მაისს, 15 საათზე, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

ფონდი „ჰარმონია და მშვიდობა“ სამძიმარს უცხადებს ლალი მაისურაძეს დედის

**ელენე ჩიკვილაძე-მაისურაძის**

გარდაცვალების გამო.

ნორა, არჩილ, გოგა, ქეთი ანთელავები, ნანა გვარამია, მაია წერეთელი, თემურ, გიორგი კობახიძეები, ნანა, ვალერი ჯიქიები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ძვირფასი ბიძაშვილისა და ბიძის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

**თენგიზ ანთელავას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე შურა, შვილები ნინო და ლია, და ნუცა (ნაცო), ძმები ვასო და კოტე, შვილიშვილები დავით და ბონდო (ერეკლე) სამუშიები, იოსებ ჩიქავა, სიძე გურამ ჩიქავა, შვილთაშვილი კონსტანტინე, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბონდო აკაკის ძე სამუშია**

პანაშვიდი: 28, 29, 30 მაისს, 16 საათზე, ქ.ზუგდიდი, ბორჯომის ქუჩა II შესახვევი, №14.

გამოსვენება: სამშაბათს, 31 მაისს, 15 საათზე, ქ. ზუგდიდის, საჯვაროს უბნის, ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის შობის ტაძრიდან.

კავშირგაბმულობის კომპანიების „ახალი ქსელების“, „ახტელის“, „სისტემნეტის“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ „ფოპტნეტის“ აღმასრულებელ დირექტორს, ბატონ კოტე სამუშიას გარდაეცვალა ძმა

**ბონდო სამუშია**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ჩეხეთში იზეიმებენ

**27 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავს ჩეხეთის რესპუბლიკაში საზეიმოდ აღნიშნავენ. ქალაქ ბრნოში ერთდროულად რამდენიმე კულტურული ღონისძიება გაიმართება. კულტურული პროგრამა ითვალისწინებს როგორც საქართველოს უძველესი და უახლესი ისტორიის პრეზენტირებას, ასევე ქართული კულტურის, ტრადიციების, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის, ქართული სამზარეულოსა და ქართული ღვინის მრავალფეროვნების წარმოჩენას.**

ეკა ირემაშვილი

ღონისძიებების ფარგლებში გაიხსნება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქეოლოგიური მემკვიდრეობის მართვის ცენტრის მიერ მომზადებული ფოტოგამოფენა სახელწოდებით „ქართული არქეოლოგია“. სპეციალურად ამ დღისთვის მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტი, სოფელ საბათლოში (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი), ახლადაღმოჩენილ არქეოლოგიური ძეგლის შესახებ, რომლის პრეზენტაციაც 27 მაისს გაიმართება.

ღონისძიების ორგანიზატორები არიან მასარიკის უნივერსიტეტი, ქალაქ ბრნოს (ჩეხეთში სიდიდით მეორე ქალაქი) მერია, ცენტრი „დიალოგი“, სტუდენტური კავშირი „ბი ინტერნაციონალი“, საქართველოს საელჩო ჩეხეთის რესპუბლიკაში, ქართული დიასპორა ჩეხეთის რესპუბლიკაში. შეხვედრა გაიმართება ქალაქ ბრნოს კულტურის სახლის დარბაზებში. შეხვედრას დაესწრებიან ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, საქართველოს ელჩი ჩეხეთის რესპუბლიკაში ქალბატონი ნინო ნაკაშიძე, რადიო თავისუფლების ჟურნალისტი ბატონი კობა ლიკლიკაძე, ჩეხი პუბლიცისტი და ყოფილი დისიდენტი პეტრუშკა შუსტროვა.

ღონისძიებას საქველმოქმედო იქნება. საგანგებოდ მომზადებულ ყულაბაში მოგროვებული თანხა, საქართველოში, სიღნაღის რაიონში, გონებადაქვეითებული ბავშვთა სახლს მოხმარდება.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ტალინში გამოფენა მიეძღვნება. მისი ორგანიზატორი ესტონეთში ქართველთა სათვისტომო და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი არიან. 26 მაისს ტალინში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკაში გაიხსნება. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული 1918-1924 წლებით დათარიღებული წერილობითი და ფოტოდოკუმენტები, რომლებიც ასახავს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბების პროცესს, მისი მთავრობის მოღვაწეობას, საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. გამოფენილ მასალებს შორის იქნება საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონები, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი და მისი აღწერილობა, საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი კრების ოქმი, კანონი „საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ“ და სხვა საინტერესო დოკუმენტები. ფოტოებზე ასახულია დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელები, საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავ ზეიმზე სტუმრად მყოფი II ინტერნაციონალის დელეგაცია თბილისში, დამფუძნებელი კრების სხდომა, სახალხო გვარდიელთა ჯგუფი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა 1989-2010 წლებში. თანამედროვე პერიოდის ფოტოები საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ფოტოარქივშია დაცული. ესტონეთში დაგეგმილ ღონისძიებამდე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ხელმძღვანელმა თეონა იაშვილმა პოლონეთში ვარშავაში გამართულ იუნესკოს მსოფლიო მეხსიერების პროგრამის IV საერთაშორისო კონფერენციაში „კულტურა — მეხსიერება — იდენტურობა“ მიიღო მონაწილეობა. კონფერენცია შეეხებოდა კულტურათაშორის ურთიერთობებს, მსოფლიო მეხსიერებას, იდენტურობასა და თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევებს. ღონისძიების ფარგლებში მონაწილეებს შორის გაიმართა დისკუსიები დოკუმენტების ფორმით დაცული კაცობრიობის მემკვიდრეობისა და კულტურული მრავალფეროვნების შესახებ. კონფერენციის მონაწილეები ასევე ეწვევნენ პოლონეთის ეროვნულ ბიბლიოთეკას, ებრაული ისტორიის ინსტიტუტსა და საისტორიო ჩანაწერების ცენტრალურ არქივს. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ პოლონეთის კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის სამინისტრო და მსოფლიო მეხსიერების პროგრამის პოლონური კომიტეტი, იუნესკოს პოლონური კომისია, პოლონეთის სახელმწიფო არქივის ცენტრალური ოფისი, ეროვნული კულტურული ცენტრი. კონფერენციაში მონაწილეობას 50-მდე ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებებისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლი იღებდნენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავი უკვე აღინიშნა მადრიდში. საელჩოს მიღებას ესპანეთში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების, ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, პარლამენტის, სამეცნიერო წრეების, განათლებისა და კულტურის, ესპანური ბიზნესის წარმომადგენლები დაესწრნენ. მათ საქართველოს ელჩმა ნიკოლოზ ნათბილაძემ მიმართა, რომელმაც შეკრებილ საზოგადოებას ასე მიმართა: „მაქვს პატივი გიმასპინძლოთ საქართველოს დამოუკიდებლობის ოცი წლისთავის მიღებაზე. მადლობას ვუცხადებ ესპანეთის მთავრობას, კონგრესს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერისათვის. საქართველო ლიდერი რეფორმატორი ქვეყანაა, რომელიც გახდა მაგალითი რეგიონში მეზობელი ქვეყნებისათვის. ქვეყანამ, ბოლო 20 წლის განმავლობაში, მძიმე პერიოდი გაიარა და მადლობა ყველა მხარდამჭერ სახელმწიფოს.

საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლის იუბილე იზეიმეს ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. მსგავსი მასშტაბურობით ეს ღონისძიება ამერიკაში პირველად აღინიშნა. ღონისძიება სმიტსონიანის მუზეუმში გაიმართა და მას 3 ათასამდე სტუმარი დაესწრო. ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა საქართველოს ელჩმა თემურ იაკობაშვილმა შეკრებილ საზოგადოებას მისცა შესაძლებლობა ეხილათ ქართული ცეკვა სუხიშვილების შესრულებით, მოესმინათ ქართული სიმღერა ანსამბლ „შინისგან“ და დაეგემოვნებინათ ქართული სამზარეულო. საგანგებოდ ამ დღისთვის ეროვნული კერძების მოსამზადებლად, ქართველი მზარეულები ხუთი დღის განმავლობაში მუშაობდნენ. ღონისძიებაზე საქართველოსა და აშშ-ის ჰიმნები ქართველმა მომღერალმა სოფო ნიჟარაძემ შეასრულა. ელჩმა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა საპატიო ჯილდო გადასცეს იმ ამერიკელ სამხედრო მაღალჩისნოსანს, რომელიც ავღანეთში ქართულ ბატალიონს მეთაურობდა.

საგანგებოდ 26 მაისისთვის საქართველოში ნოე რამიშვილისა და ნოე ჟორდანიას შვილები თბილისში ჩამოვიდნენ. ისინი 27 მაისს გამართულ დიასპორის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებსაც დაესწრებიან. საქართველოს პარლამენტში გაიმართება ნოე ჟორდანიას ვაჟის, რეჯებ ჟორდანიას წიგნის პრეზენტაცია, რომელშიც მოთხრობილია ბოლშევიკებისგან დევნილი ნოე ჟორდანიასა და მთავრობის სხვა წევრების ცხოვრება.

საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით „ქართული კულტურის დღეები“ გაიმართა ჰააგაშიც. ღონისძიებები გამოფენებსა და კონცერტებს მოიცავდა. ჰოლანდიაში იმყოფებოდა საქართველოს პირველი ლედი სანდრა ელისაბედ რულოვსი, რომელმაც ჰააგის მერიაში ფოტოგამოფენა გახსნა. ჰააგის მერიაში გამართული ფოტო□გამოფენის სახელწოდებაა „შთაბეჭდილებები თბილისის შესახებ“. პროექტი ფლამანურ-ნიდერლანდური სახლის ინიციატივით ჩატარდა, რომელიც წარმოადგენდა ფოტოების და მოთხრობების კრებულს. თითოეული მათგანი კი თბილისს მიეძღვნა. მერიაში წარმოდგენილი იყო ბელგიელი და ქართველი ფოტოგრაფების — ბერტ ფილიპის და კახა კახიანის ფოტოები.

საქართველოს პირველმა ლედიმ შეხვედრები გამართა ჰააგის ვიცე-მერთან და ქალაქ დორდრეხტის მერთან. უკვე გადაწყვეტილია, რომ მომავალ წელს მაისში დორდრეხტის მუზეუმში ნიკო ფიროსმანის ნამუშევრები გამოიფინება.

ქართული კულტურის დღეები გაიხსნა კონცერტით „საღამო საქართველოში“. მასში მონაწილეობა ქართველმა პიანისტმა ნინო გვეტაძემ მიიღო და კლასიკური მუსიკის კონცერტი გამართა. საღამოზე შესრულდა ნოდარ გაბუნიას, შოპენისა და ლისტის ნაწარმოებები. კონცერტის მეორე ნაწილი კი მიეძღვნა ქართულ ტრადიციულ ცეკვასა და მრავალხმიან სიმღერას ქართული ანსამბლის „რუსთავის“ შესრულებით.

სპეციალურად ამ დღეებისთვის ჰააგაში „ქართული ბაზრობა“ გაიხსნა. სხვადასხვა პავილიონში შესაძლებელი იყო ქართული კულტურის უკეთესად გაცნობა, ქართული ღვინისა და სამზარეულოს დაგემოვნება. წარმოდგენილი იყო ხელნაკეთი სამკაული, ჭურჭელი, თექა. ქართული თანამედროვე ხელოვნების გამოფენის ფარგლებში კი მოეწყო ქართველი მხატვრების ალექსანდრე ბანძელაძის, გია ეძგვერაძის, ილიკო ზაუტაშვილის, ოლეგ ტიმჩენკოს, ილია ჩიტაძის, ქეთი კაპანაძის ნახატები როზა ბადნურის პირადი კოლექციიდან.

„ქართული კულტურის დღეები“ ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებითა და საქართველოს პირველი ლედის სანდრა ელისაბედ რულოვსის მხარდაჭერით მოეწყო.

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 26 მაისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **13.30** ქართ. ფილმი **"ამბავი ივანე კოტორაშვილისა"** **14.40** ქართული დოკუმენტალისტიკა **17.00 ფეხბურთი.** საქართველოს თასის ფინალი **19.05** საუკუნის პორტრეტები – ე. თაყაიშვილი **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00, 03.20** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** კონცერტი – "ქართული ხმები" **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"ოკეანის ფსკერზე"** (მ. პფაიფერი) **04.20** მხ. ფილმი **"ბოროტი ქალი"** (**12**) (ჯ. ბლეკი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები – ნ. ჟორდანია **16.30** საუკუნის პორტრეტები – ე. თაყაიშვილი **17.00** მეხსიერება **20.00** მხ. ფილმი **"ამბავი ივანე კოტორაშვილისა"** **01.00** მხ. ფ. **"დედინაცვალი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმჟყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ნიჭიერი (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"ავრორა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** პროფილი **23.30** ტოტო **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** შეგირდი (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ქართ. ფილმი **"უშენოდ მგონი მოვკვდები"** (**12**) **00.00 შეგირდი 00.30** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი (გან.) **02.25** მხ. ფ. **"საიდუმლო სია"** (**15**) (ჰ. ჯეკმენი) (სუბტ.) **04.30** მხ. ფილმი **"სიკვდილის შემდეგ"** (**12**) (ჟ. ვან დამი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** პულსი **16.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.00** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **00.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **02.00** ფარული კამერა **02.30** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"მონტალბანო"** **12.50** სერ. **"უკვალოდ"** **14.50** სცენა **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"სკოლის მეგობრები"** **19.30** სერ. **"ცნობილი ოჯახები"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დოკ. ფილმი "მოკითხვა უთხარით საქართველოს" **10.50** დრო და ადამიანები – ნოე ჟორდანია **11.05** სუფთა დაფა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"მონანიება"** მე-2ნ. **13.30** კონცერტი – ანიტა რაჭველიშვილი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ.ფ. **"ვალსი პეჩორაზე"** **17.10** დოკ. ფილმი "გაფითრებული თებერვლის ლანდი" **18.05** საღვთისმეტყველო საუბრები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** დოკ. ფილმი "ექვთიმე" (პრემიერა) **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** დრო და ადამიანები – მ. კოსტავა **21.40** წარმატების ფორმულა **22.20** დრო და ადამიანები – ზვიად გამსახურდია **22.35** დოკ. ფილმი "ღირსი მამა ექვთიმე ათონელი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სატ. სპექტაკლი **"ბედი ქართლისა"** **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** დოკ. ფ. "წინანდალი" **01.50** დოკ. ფილმი "ქართველი ლეგიონერი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**26 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6768

ევრო —2,3482

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7043

რუსული რუბლი — 0,0591

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-23, ღამით — 12-15

**დასავლეთ საქართველო,** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-25, ღამით — 13-14

**სამხრეთ საქართველო,** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-21, ღამით — 6-12

## ამინდის პროგნოზი 26 მაისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

**WWW.PHERDI.GE** ☎ **95-90-60**

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


# საბონისმა ევროპა წარადგინა და საქართველო გაიხსენა

### საქართველოში სტუმრად იმყოფება ცნობილი კალათბურთელი, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი არვიდას საბონისი.



შეგახსენებთ, რომ წელს ევროპის ჩემპიონატი ლიტვაში ჩატარდება და საბასი ევროვასკეტ2011ის ოფიციალური ელჩია და ყველა იმ ქვეყანას სტუმრობს, რომელიც ამ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. მისი მიზანია, მომავალ შეჯიბრს პრეზენტაცია გაუკეთოს და ცხადია, არც საქართველო გამოტოვა. საბონისს თან ახლავს სხვა ოფიციალური პირებიც, რომელთან ერთადაც გუშინ თბილისი მერიოტში პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციას ასევე ესწრებოდნენ ლიტვის ელჩი საქართველოში იონას პასლაუსკასი და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი.

**არვიდას საბონისი:**

— ლიტვამ მიიღო შანსი, ემასპინძლა ასეთი დიდი ტურნირისთვის. გვინდა ყველას დავანახოთ ჩვენი სტუმართმოყვარეობა და თუ როგორ გვიყვარს კალათბურთი. ამ შეჯიბრში საქართველოს ნაკრები პირველად მონაწილეობს და იმედი მაქვს, რომ გამარჯვებები გექნებათ. ალბათ, თქვენი პირველი გამოსვლა ევროპის ჩემპიონატზე, ბოლო არ იქნება.

**ბესიკ ლიპარტელიანი:**

— მინდა დიდი მადლობა გადავუხადო არვიდას საბონისს აქ ჩამოსვლისთვის. ჩვენ პირველად მოვხვდით ევროპის ჩემპიონატზე და შევეცდებით, ჯგუფიდან გავიდეთ. იმედი მაქვს, ლიტველი გულშემატკივარიც მხარს დაგვიჭერს.

ამის შემდეგ საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა ეკრანზე აჩვენეს ლიტვური კალათბურთის ისტორია და თუ როგორ ემზადება ქვეყანა ევროპის ჩემპიონატისთვის. კარგად იყო აღწერილი, დარბაზების მშენებლობა და ინფრასტრუქტურის განვითარება. ყველაზე საინტერესო ის აღმოჩნდა, რომ ჯერჯერობით ყველაზე მეტი ბილეთი ლიტვაში დაჯავშნული საქართველოს ნაკრების გულშემატკივრებს აქვთ. კლაიპედაში, სადაც ჩვენი გუნდი ითამაშებს, მის მხარდამჭერებს ბილეთების უკვე 40 პროცენტი აქვთ შეძენილი. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ნაკრებს ლიტვური ფირმა ტუტა შემოსავს, რომელიც ამ ტურნირსთვის სპეციალურად დაამზადებს სპორტულ სამოსელს, რომელსაც „საბონისი 2.20" ეწოდება. ალბათ ადვილი მისახვედრია, რომ 2.20 ლეგენდარული კალათბურთელის სიმაღლეს აღნიშნავს.

პრესკონფერენციის შემდეგ საბასმა ჟურნალისტებისთვის ცალკე მოიცალა და რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი გაიხსენა ქართული კალათბურთისა და მისი მოღვაწეობის პერიოდის შესახებ.

— საქართველო ყოველთვის კარგად მახსენდება. აქ თამაში მუდამ რთული იყო და ბევრი მოგებით ვერ დავიკვეხნით. დარბაზი ყოველთვის სავსე იყო და გულშემატკივრობა — მხურვალე. თქვენი სტუმართმოყვარეობა და გული

გაგრძელება მე-13 გვერდზე


# 16 მაისიდან

# იყიდება

**100 წიგნი**

## „ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 5**

## სერვანტესი

**გაზეთი და წიგნი ერთად**
**8 ლარი**


## ასტროპროგნოზი 26 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — გელით საჩუქარი და კარგი ახალი ამბავი. **კურო** — არ დაიგვიანოთ, შეხვედრაზე არ დაგელოდებიან. **ტყუპები** — ახალი წამოწყება გაამართლებს. **კირჩხიბი** — გულს ნუ გაიტეხთ, საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. **ლომი** — წარმატებული დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **ქალწული** — გელით ახალი ნაცნობობა, საქმე გასერიოზულდება. **სასწორი** — განიმუხტეთ, ცუდზე ნუ იფიქრებთ. **ღრიანკალი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მშვილდოსანი** — ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ ჩათვლით. **თხის რქა** — არ აჩქარდეთ, ყველაფერს მოასწრებთ. **მერწყული** — სამაგიეროს გადახდაზე არც იფიქროთ, საქმე ისედაც მოწესრიგდება. **თევზები** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაცის დამტკიცება სურს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მწყრის მართვე; 2. „ვეფხისტყაოსნის" დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 3. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 4. მაკედონიის დედაქალაქი; 6. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 9. აღმოსავლური ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 11. ზღვისპირა კურორტი ლატვიაში; 15. უბანი ძველ თბილისში; 16. მწვანით მოსილი, წყლიანი ადგილი უდაბნოში; 17. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 19. ჩრდილო ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 21. ასპირინის გამომგონებელი გერმანელი ქიმიკოსი; 22. ებრაელთა სასულიერო პირი.

**თარაზულად:** 5. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 7. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 8. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 10. მტკნარ წყლებში, ჭაობში ბინადარი სისხლის მწოველი ჭია; 12. სახელმწიფო აზიაში; 13. საქონლის საერთო წონა შეფუთვიანად; 14. ქაღალდის ფულის შემსწავლელი დისციპლინა; 18. ზმნის წარსული დრო გრამატიკაში; 20. მიქელანჯელოს ქანდაკება; 23. ანსამბლ „როლინგ სტოუნზის" ლიდერი; 24. უმაღლეს სამხედრო პირთა და დიდებულთა ტიტული ოსმალეთსა და ეგვიპტეში; 25. ბუღალტრული ბალანსის ნაწილი, ვალებისა და ვალდებულებების შესახებ; 26. თხუნელას მეორე სახელწოდება; 27. სახელმწიფო ევროპაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

